გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№4 (760) 16 - 17 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი

## „აიეტის“ ქსელიდან „ობიექტივი“ ბიძინა ივანიშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუს ეთერში გასვლის წინ გათიშეს!



მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net

გვ. 3

რა კვლევის გამოქვეყნებას ითხოვს ირმა ინაშვილი და რა არგუმენტით პასუხობს ბრალდებებს „სუპერ ტვ“ (აიეტი) და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია

## „მუხროვანის ამბოხის“ მონაწილეების ლიკვიდაციის სპეცოპერაციას გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და ვანო მერაბიშვილი პირადად ესწრებოდნენ!



გვ. 4

ამნისტირებული ლევან ამირიძე სკანდალური საქმის დეტალებს ახმაურებს

## რას ითხოვენ საინგილოს ქართველები ახალი ხელისუფლებისგან




გვ. 2



„ის ხალხი, ვინც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსაყვანად უკანასკნელი გაიღო, ისევ გულნატკენი და ჩანიხლულია, ეს ბატონმა ბიძინამ აუცილებლად უნდა იცოდეს!“

გვ. 9

## რატომ ითხოვს კახა ლომაიას დაბრუნებას და რის გამო გადაწყვიტა დუმილის დარღვევა მანანა ნიკოლაიშვილმა

## ზუგდიდი 30 000-კაციანი პერმანენტული აქციებისთვის ემზადება!

გვ. 2



## „ბიძინა ივანიშვილმა მიხეილ სააკაშვილი ფსიქოლოგიურად გატეხა!“

გვ. 6

## „არც შემხვედრი სარჩელის მომზადებას ვგეგმავ და არც კომპენსაციის მოთხოვნას ვაპირებ, სულ სხვა გეგმები მაქვს!“

ალადგენს თუ არა „ქართულ პარტიას“ ირაკლი ოქრუაშვილი



გვ. 7

## რა 4 კანონპროექტი მომზადდა „ოცნების“ გამოსაცდელად და ვინ აპირებს „სასიკვდილო შიმშილობის“ დაწყებას სააკაშვილის რეზიდენციის წინ

თემურ შაშიაშვილი: „მოქალაქე სააკაშვილის მიმართ გამოჩენილი ძალადობის გამო მზად ვართ, პასუხი ვაგოთ!“

გვ. 11

## „საქპატენტის“ თავმჯდომარეს ირაკლი ღვალაძეს, სასამართლოში უჩივლებენ



გვ. 5



# რას ითხოვენ საინგილოს ქართველები ახალი ხელისუფლებისგან

მერაბ ზერიძე

**ხე ფესვებიდან იწყებაო. საქართველოს ფესვები, პირველ რიგში, ისტორიულ ჰერეთსა (საინგილო) და ტაო-კლარჯეთშია. თავის დროზე, უსამართლოდ გასხვისებულ მიწებზე მცხოვრებ ქართველებს დღეს ძალიან უჭირთ და გადაგვარების, გაქრობის საფრთხის წინაშე დგანან. ამჯერად, კახში, ზაქათალასა და ბელაქანში მცხოვრებ თანამემამულეებსა და მათ გასაჭირზე ვისაუბრებთ.**

საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული მეგობრობა არანაირ ეჭვს არ იწვევს. პირიქით, ორ სახელმწიფოს, ხალხს ერთმანეთი სჭირდება და ასე უნდა გაგრძელდეს კიდეც. სამწუხაროდ, ეს სულისკვეთება დღევანდელ აზერბაიჯანში მცხოვრებ ჩვენს სისხლსა და ხორცზე ნაკლებად აისახება ისევე, როგორც, ზოგადად, ერთმანეთის მიმართ რეალურ დამოკიდებულებაზე.

**უკვე მერამდენე თვეა, საზღვარზე გადასულ ქართულ ავტომანქანებს ე.წ. დაზღვევის გადასახადს ახდევინებენ. მისი სიდიდე ტექნიკის ძრავზეა დამოკიდებული. გავრცელებული ინფორმაციით, ამ მოსაკრებელს მოქალაქეებს ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე ართმევენ. ისიც უნდა დავამატოთ, რომ ხშირად, ეს ნორმა ჩვენი ქვეყნის მოქალაქე და აქ მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებზე არ ვრცელდება. როგორც ჩანს, სახელმწიფო საზღვარზე სახელმწიფოებს შორის მეგობრობა თავიანთ ენაზე თარგმნეს და გაავრცელეს. და კიდევ, საზღვარზე რიგში დგომა ქართულ ავტომანქანებს უწევთ, აზერბაიჯანულისგან განსხვავებით.**

ძნელია იმის თქმა, ასეთი, აშკარად არამეგობრული დამოკიდებულება უკავშირდება თუ არა საქართველოში მომხდარ ბოლო სახელისუფლებო ცვლილებებს. ფაქტია, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ბაქოს ზოგიერთ წრეებში ფრთხილი ოპტიმიზმით შეხვდნენ. ორივე მხრიდან გარკვეული განცხადებებიც გაკეთდა, რომელთა შინაარსიც ცნობილია და თავს აღარ შეგაწყენთ. ევროპის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის დედაქალაქში განხორციელდა და ამით ყველაფერს, წესით, წერტილი უნდა დასმოდა, თუმცა ბოლო ინფორმაციით, საზღვარზე არაფერი შეცვლილა და ვიღაცები გამალებით განაგრძობენ ჯიბეების გასქელებას.




ამ ფონზე, უფრო დიდ კითხვის ნიშნებს ბადებს, თუ რა ელით ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს. ბოლო წლებში, ისედაც მიტოვებულად გრძნობდნენ თავს და ასეთი პოლიტიკის გაგრძელება, კარგს არაფერს მოიტანს. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან მათი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და მიზანმიმართული შევიწროება დაიწყო. სახელ-გვარიდან დაწყებული, სულიერი თუ მატერიალური კულტურის ძეგლებით დამთავრებული, ყოველგვარი ქართულის ამოძირკვას ლამობენ. ინგილოების უფლებების დაცვით, ყოფილი მთავრობა თავს ნაკლებად იწუხებდა. ამასობაში, კუთხის თითო-ოროლა ქართული სკოლაც დაკეტეს.

ჰერელები იმედოვნებენ, რომ საქართველოს სათავეში მოსული ახალი მთავრობა მათ გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანს. მათი თქმით, ყველაზე დიდი ყურადღება საინგილოში მოქმედ ქართულ სკოლებსა და სექტორებს უნდა დაეთმოს. კერძოდ, აზერბაიჯანული სკოლის ქართული სექტორი, ცალკე სკოლად უნდა გამოიყოს და დირექტორად საქართველოში განათლებამიღებული პირი დაინიშნოს. მათი თქმით, ეს აუცილებელი ნაბიჯია იმისთვის, რომ გამაჰმადიანებული სოფლების ქართული სექტორები მუდმივად დახურვის საშიშროების წინაშე არ იდგნენ:

**„გაიხსნას ქართული საბავშვო ბაღები, რომლებიც 90-იან წლებში უკანონოდ დაგვიხურეს. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მოგვცეს უფლება, რათა ახალშობილებს დავარქვათ ქართული სახელები და მსურველებმა აღიდგინონ თავიანთი ისტორიული გვარები. ეროვნული იდენტიფიკაციის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაბიჯია.**

**აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, გვაღიაროს ეთნიკურ ქართველებად; მოგვცეს საშუალება, რათა ვისარგებლოთ აზერბაიჯანის კონსტიტუციით მონიჭებული უფლებებით ისევე, როგორც საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები სარგებლობენ საქართველოს კონსტიტუციით.**

**საქართველოდან წიგნების გატანის უფლება მოგვცენ (ვგულისხმობთ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ქართულ მხატვრულ ლიტერატურას).**

**შესაძლებელი იყოს, რომ საქართველოდან მუსიკისა და ცეკვის მასწავლებლები მოვიწვიოთ.**

**აზერბაიჯანში საქართველოს ელჩად დაინიშნოს ისეთი პიროვნება, რომელიც ჩვენს ტკივილს გაიზიარებს. სასურველი იქნებოდა, ვინმე ჩვენებური ქართველი იქნეს საელჩოში სამუშაოდ გამოგზავნილი, რომელსაც უკეთ ეცოდინება პრობლემები და დროგამოშვებით შეახსენებს ელჩს ამის შესახებ.**

**თბილისში აღდგეს ჰერეთის (საინგილოს) საშეფო საბჭო, რომელიც საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში დაგვეხმარება.**

**თბილისში სამკურნალოდ ჩამოსულ ჩვენს ხალხს ორმაგ თანხას ახდევინებენ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. კარგი იქნებოდა, ჩვენც იმდენი გადაგვეხადა მკურნალობაში, რამდენსაც საქართველოს მოქალაქეები იხდიან.**

**სასურველი იქნებოდა სტუდენტებს, რომლებსაც აზერბაიჯანში ქართული სკოლა აქვთ დამთავრებული და საქართველოში სწავლობენ უმაღლეს სახელმწიფო თუ კერძო სასწავლებლებში, მიეცეთ შეღავათები სწავლის გადასახადზე.**

**იქნებ დადგა დრო, რომ თვეში თუ ორ თვეში ერთხელ მაინც მოგვაკითხონ საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, რათა ადგილობრივმა ქართველობამ დაცულად იგრძნოს თავი. ქართული ტელევიზიები ჩამოვიდნენ და გააშუქონ ჩვენი ხალხის გასაჭირი".**

აი, ასეთი მოთხოვნები აქვთ ჰერელებს საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან და ამ სურვილებში განსაკუთრებული არაფერია. ისინი ითხოვენ ელემენტარულ გარანტიებს, რათა ასიმილაციის მსხვერპლნი არ გახდნენ და გადარჩნენ. ეს მით უფრო ყურადსაღებია იმ ფონზე, როდესაც საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს სრული კულტურული ავტონომია აქვთ მინიჭებული. ვერც ერთ ფაქტს ვერ ნახავთ, რომ საქართველოში აზერბაიჯანული სკოლა დაეხურათ, ან აქაურისთვის გვარი ან ეროვნება შეეცვალათ. ასეთი რამ არ ყოფილა და არც არასოდეს იქნება. ამ დროს, საინგილოში აბსოლუტურად საპირისპირო რეალობაა. 20 ათასამდე გამაჰმადიანებულ ქართველს დღემდე ვერ დაუმტკიცებია ოფიციალურად თავისი ისტორიული წარმომავლობა. პირიქით, ქართული ბაღები დიდი ხანია გაუქმებულია და ახლა მთელი ძალებით ქართულ სკოლებს მისდგნენ. ეროვნული სკოლის დახურვიდან სრულ ასიმილაციამდე კი ერთი ნაბიჯია. ჰერეთში დღესაც ნახავთ სოფლებს, სადაც ქართულად მხოლოდ სოფლის უხუცესები საუბრობენ. ასეთი კატასტროფა ოცდამეერთე საუკუნეში აღარ უნდა განმეორდეს.

ახალმა ხელისუფლებამ ჰერეთის პრობლემატიკას დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს და, აზერბაიჯანელ კოლეგებთან თანამშრომლობით, მტკივნეული საკითხები უნდა გადაწყდეს. მით უმეტეს, რომ ხშირად, ასეთი არამეგობრული ნაბიჯების ინიციატორი ადგილობრივი ადმინისტრაციაა და ბაქოში ამაზე არც არაფერი უწყიან. ნებისმიერი მეგობრობა ორმხრივად უნდა ვითარდებოდეს, სხვა შემთხვევაში გაუგებრობას თავიდან ვერ ავიცილებთ. თბილისი-ბაქოს წაკიდება ვისაც აწყობს, ეს ყველასთვის ნათელია და დასკვნა მან უნდა გააკეთოს, ვინც დღეს არასწორად იქცევა.

# სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილს ზუგდიდელებისგან კარგი არაფერი ელის“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**აჟიოტაჟი არ ცხრება სამეგრელოში პრეზიდენტ სააკაშვილის სამუშაოდ გადასვლის შესახებ. ეს ინფორმაცია პირველად ზუგდიდელებთან შეხვედრისას, ქვეყნის პირველმა პირმა თავად გააჟღერა, თუმცა საზოგადოებისა და ექსპერტების დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს მხოლოდ სააკაშვილის პიარსვლა იყო სამეგრელოს მოსახლეობის გულის მოსაგებად. სამაგიეროდ, ფაქტს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ უარყოფს, თუმცა არც დეტალებს აკონკრეტებს. განცხადებამ კი საფუძველი არაერთ თეორიას დაუდო: ერთნი ამბობენ, კოჰაბიტაციის რეჟიმიდან გამოსული პრეზიდენტი ზუგდიდში გამაგრებასა და პროვოკაციის მოწყობას გეგმავს ახალდანიშნულ გუბერნატორ, თენგიზ გუნავასთან ერთადო. მეორენი ფიქრობენ, რომ სააკაშვილი საქართველოს დაშლის გეგმას მიზანმიმართულად მიჰყვება — დასავლეთში თავად აპირებს გაბატონებას, აღმოსავლეთს კი ბიძინა ივანიშვილს უტოვებს. რეალურად, შარშან საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ საუკეთესო შედეგი მართლაც, სამეგრელოში აჩვენა, სადაც ფოთის გარდა, „ნაციონალებმა“ ყველა რაიონი მოიგეს. ადგილობრივი მოსახლეობისთვის კი აზრი არავის უკითხავს და როგორც ჩანს, იდეით აღფრთოვანებულნი არც სამეგრელოში არიან. „ვერსიის“ ინფორმაციით, რეგიონში მასშტაბური, გამაფრთხილებელი აქციებისთვის მზადება იწყება, დეტალების დასაზუსტებლად კი „ეროვნულების“ ლიდერს, სანდრო ბრეგაძეს ვესაუბრეთ.**

## ზუგდიდი 30 000-კაციანი პერმანენტული აქციებისთვის ემზადება!

— ზუგდიდში გადასვლა სააკაშვილის ინიციატივაა და ამაზე საუბარი მის გარემოცვაში ახლაც მიმდინარეობს — მათ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდში გადასვლის სურვილი აქვთ, საიდანაც სიტუაციის მართვას აპირებენ. დაიწყება პროვოკაციები, რისთვისაც სააკაშვილი საკმაოდ დიდი ხანია ემზადება. ჯერ კიდევ არჩევნებამდე მქონდა ინფორმაცია, რომ 1 ოქტომბრის მერე, თუკი ნაციონალურ მოძრაობას „ქართული ოცნება“ დაამარცხებდა, ქვეყანაში არეულობა დაიწყებოდა, რისთვისაც ახალაიას ბანდფორმირებები იყვნენ მომზადებულნი. ეს ბანდფორმირებები თავდაცვის სამინისტროში უკვე აღრიცხულია, მაგრამ მათი წევრები ახლა დაშლილები არიან და ჯერ კიდევ ახალაიას კლანის წარმომადგენლებად ითვლებიან. იქ კიდევ აქტიურობენ მსგავსი დაჯგუფებების წევრები და პროვოკაციაზეც ნებისმიერ დროს წავლენ. გგონიათ, თენგიზ გუნავა მართლა გუბერნატორობისთვის დაინიშნა სამგრელო-ზემო სვანეთში? ის პირსისხლიანი ჯალათია, ყველა ბრძანებას შეასრულებს და არასოდეს დასვამს კითხვას — რატომ! სააკაშვილს კი, რატომღაც, ჰგონია, რომ მას სამეგრელოში მხარს ყველაზე მეტი ადამიანი უჭერს.

**— ობიექტურად, საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მას სწორედ სამეგრელომ არ მოუტანა?**

— სწორედაც რომ ასე ჰგონია, თითქოს იმ საპროტესტო მუხტს, რაც ახლა თბილისშია მის წინააღმდეგ, სამეგრელოში გაექცევა და იქ უფრო დაცული იქნება მოსახლეობისგან, მაგრამ სააკაშვილს პირადად ვპირდები: სამეგრელოში ის ბევრად დიდ საპროტესტო მუხტს მიიღებს, ვიდრე ეს თბილისში, ქუთაისსა თუ საქართველოს ნებისმიერ სხვა ქალაქშია! სააკაშვილი შეცდომაშია შეყვანილი და ილუზია აქვს, რომ მართლაც სარგებლობს მაღალი მხარდაჭერით ამ რეგიონში. თან დიდი ხანია, არსებობს საქართველოს დაშლის გეგმა. თავის დროზე, როცა ზვიად გამსახურდია სამეგრელოში ჩამოვიდა, ბორის ელცინმა მას შემოუთვალა, დსთ-ში შესვლაზე ხელს თუ არ მოაწერ, დასავლეთ საქართველოს საზღვარი რიკოთთან გადაიკვეთება და აღმოსავლეთ საქართველოში პრეზიდენტი შევარდნაძე იქნება, შენ კი დასავლეთ საქართველოს პრეზიდენტად დარჩებიო. გამსახურდიამ ამაზე უარი თქვა, რასაც შეეწირა კიდეც.

**— ფიქრობთ, სააკაშვილი დასავლეთ საქართველოში აპირებს გამაგრებას?**

— სააკაშვილს რომ დასავლეთ საქართველოს გაკონტროლება სურს, ეს ნათელია და, სხვათა შორის, მისი გარემოცვის სურვილსაც ემთხვევა. თან იგი ზვიად გამსახურდია არ არის, ასეთ გეგმაზე უარი თქვას. რუსეთში დღესაც არიან ძალები, რომელთა ოცნება საქართველოს დანაწევრებაა. ამაზე რამდენიმე რუსი პოლიტიკოსის მინიშნებაც გაკეთდა. გეტყვით, აქ რა გეგმა მოქმედებს — სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნა სურს, მაგრამ ძალიან კარგად იცის, განმეორებითი არჩევნების პირობებში, შესაძლოა, „ნაციონალებმა“ ბარიერიც ვერ გადალახონ, ამიტომ, თუ ის მთავრობასა და პარლამენტს დაშლის, ეს არეულობის პირობებში უნდა გააკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დამარცხება გარანტირებულია!

**— ჩვენი ინფორმაციით, ზუგდიდში საპროტესტო აქციების ტალღა იწყება. იქნებით თუ არა აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი და რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი სამუშაოდ მართლაც ზუგდიდში გადავა?**

— ვფიქრობ, სააკაშვილს ზუგდიდელებისგან კარგი არაფერი ელის. ამ საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ლიდერი მეც ვიქნები! სააკაშვილის მიერ მისი რეზიდენციის ზუგდიდში გადატანაზე საუბარიც კი უკვე პროვოკაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. უკვე გაფრთხილებული მყავს ჩემი აქტივისტები და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები სამეგრელოში საკმაოდ ძლიერ პოზიციებს ფლობენ. სააკაშვილი მიიღებს 30 000-კაციან აქციას, რომელიც პერმანენტულად გაგრძელდება და ჩვენ მას ზუგდიდში პროვოკაციის მოსაწყობად არ გავაჩერებთ!

# „აიეტის“ ქსელიდან „ობიექტივი“ ბიძინა ივანიშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუს ეთერში გასვლის წინ გათიშეს!




## რა კვლევის გამოქვეყნებას ითხოვს ირმა ინაშვილი და რა არგუმენტით პასუხობს ბრალდებებს „სუპერ ტვ“ (აიეტი) და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ მაუწყებლობა „სუპერ ტვ“-ს (ყოფილი „აიეტი“) დირექტორმა, გიორგი ხორხელმა, საკუთარ ქსელში 2013 წლის 10 იანვარს გათიშა. ეს ზუსტად ის დღეა, როდესაც „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. ქართული არხის ნაცვლად, „სუპერ ტვ“-ს ქსელში, რუსული არხი ჩართეს. ამასთან დაკავშირებით, მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა სპეციალური მიმართვა გაავრცელა, რასაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:**

„მედია-კავშირ „ობიექტივის“ მაუწყებლობა საკაბელო კომპანია „სუპერ ტვ“-მ, იგივე „აიეტმა“, 10 იანვარს გამორთო. კომპანიის ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, რომ ჩაატარა კვლევა და თითქოსდა, მოსახლეობა (ამ კვლევის თანახმად), ქართული ტელე-არხების სანაცვლოდ, რუსული არხების ჩართვას ითხოვს. მოსახლეობას არანაირი რუსული არხების ჩართვა არ უთხოვია. გამოდის, რომ კერძო საკაბელო კომპანიისთვის მომსახურების პაკეტში პრიორიტეტულია ოკუპანტი ქვეყნის ტელეარხების ჩართვა, ვიდრე ქართული არხების გავრცელება. ჩნდება კითხვა: ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჩვეულებრივი დივერსიაა?!

იმის მიუხედავად, რომ „სუპერ ტვ“ კერძო კომპანიაა და კარგად გვესმის თავისუფალი ბიზნესის ფუნქციონირების პრინციპები, აუცილებლად მიგვაჩნია, ზემოხსენებულ საკაბელო კომპანიას განვუმარტოთ: საქართველოს სახელმწიფოში პრიორიტეტული უნდა იყოს ქართული ტელეარხების ტრანსლაცია და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა დავუთმოთ სივრცე უცხოურ არხებს. სამი დღის მანძილზე, „ობიექტივში“ უამრავი აბონენტი რეკავს, რომელიც „სუპერ ტვ“-ს პაკეტიდან „ობიექტივის“ გადაცემების მოხსნას აპროტესტებს. როგორც ვიცით, ზარები არ წყდება „სუპერ ტვ“-ის ოფისშიც.

ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია მოსახლეობის ამ რაოდენობის გამოხმაურება იმისთვის, რათა მარტივი დასკვნა გამოვიტანოთ: „სუპერ ტვ“-ს კვლევა ან საერთოდ არ ჩატარებულა, ან რაც ჩაატარა, არაობიექტურია. ხსენებული გამოკითხვა არ ასახავს აბონენტთა სურვილს. უხეშად შეიზღუდა „ობიექტივის“, როგორც დამოუკიდებელი მაუწყებლის უფლებები. მოვითხოვთ, გამოქვეყნდეს კომპანიის კვლევა და გახდეს საჯარო; მოვითხოვთ, „სუპერ ტვ“-მ ტელეარხების პაკეტში სასწრაფოდ აღადგინოს „ობიექტივის“ მაუწყებლობა; მოვითხოვთ, პარლამენტმა „მასთ ქერი“ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოს“.

***„ვერსიას“ მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი ესაუბრება. მისი თქმით, დღის მანძილზე, „ობიექტივის“ ოფისში უამრავი ადამიანი რეკავს, რომლებიც მზად არიან, დატოვონ „სუპერ ტვ“-ს პაკეტი, თუ კომპანია „ობიექტივის“ მაუწყებლობას არ აღადგენს:***

**— ირმა, დამეთანხმებით, რომ „მასთ ქერი“ მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში არ უნდა გვახსენდებოდეს, ამ კანონპროექტის ავტორები არ დაგიკავშირდნენ?**

— „მასთ ქერის“ ავტორები მაშინ იღებენ ხმას, როდესაც პრობლემა კონკრეტულად, მათ ეხება. ეს არ არის ნორმალური მოვლენა ქვეყანაში, ხმა მაშინ უნდა ამოიღო, როდესაც პრობლემა ნებისმიერ მედიასაშუალებას უჩნდება. უკვე ვესაუბრე ლაშა ტუღუშს და აუცილებლად შევხვდები, რადგან, როგორც მითხრეს, სწორედ მას აქვს მომზადებული „მასთ ქერის“ კანონპროექტი, პარლამენტის დეპუტატს თინა ხიდაშელსაც ვესაუბრე. ვიცი, უახლოეს ხანში მიიღებენ კანონს „მასთ ქერის“ ამოქმედების შესახებ, მაგრამ ეს „უახლოესი ხანა“ რა დრო ან რა ვადაა, არ ვიცი. „ობიექტივი“ მაყურებელს კარგავს, საეთერო მაუწყებლობა და ჩვენი, როგორც ტელე და რადიომაუწყებლის უფლებები შეიზღუდა, ამიტომ რა ვადებზეა საუბარი, ლაშა ტუღუშთან სწორედ ამის გარკვევა მინდა.

**— ცხადია, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიაც უნდა გამოგეხმაუროთ, რომელმაც არა მარტო ტელე და რადიომაუწყებლობის ლიცენზიები უნდა გასცეს, ხანდახან მაუწყებლების ინტერესებიც უნდა დაიცვას, ასე არ არის?**

— ვიდრე კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობა არ შეიცვლება, არ ვიცი, რაზე უნდა ვისაუბროთ. ჩემი ინფორმაციით, კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი ქვეყნიდან გაქცეულია, თითქოსდა შვებულებაშია, მაგრამ, პრაქტიკულად, ერთი თვეა არ მუშაობს, უფუნქციოდ არიან კომისიის წევრებიც. წლების განმავლობაში, ეს ორგანო მედიასაშუალებებისთვის პოლიტიკური ზემოქმედებისა და ზეწოლის ბერკეტი იყო. ახლა კი უფუნქციოდ და გაუგებარ ვითარებაშია დარჩენილი, ამიტომ იმედი არ მაქვს, მარეგულირებელი კომისიის მხრიდან რეაგირება იქნება. მე უფრო თქვენს აზრს ვიზიარებ „მასთ ქერის“ ავტორების აქტიურობასთან დაკავშირებით, მედიაექსპერტები თუ ბუმბერაზებიც უნდა გააქტიურდნენ, ყოველ შემთხვევაში, ასე იმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში და შესაბამისად, ამ ხალხმა უნდა იმოქმედოს.

**— შეთქმულების თეორიების არ მჯერა, მაგრამ სატელევიზიო ინტერვიუ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან 10 იანვარს ჩაწერეთ, სწორედ ამ ინტერვიუში საუბრობდით სხვადასხვა ჯგუფებზე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ, „შავი პიარის“ აგორებით არიან დაკავებულები. „ობიექტივის“ საკაბელო ტელევიზიიდან გათიშვაც ამ ჯაჭვის გაგრძელება ხომ არ არის?**

— დიახ, „სუპერ ტვ“-მ, ზუსტად იმ დღეს გამორთო ჩვენი მაუწყებლობა ქსელიდან, როდესაც ეს ინტერვიუ ჩავწერეთ. გეთანხმებით, შეთქმულების თეორიების მეც არ მჯერა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ის „შავი პიარისტები“ აკონტროლებენ ამ საკაბელო კომპანიასაც. დამაფიქრებელი ისაა, როდესაც კომპანიის დირექტორი გეუბნება, რომ რუსული არხები, ანუ ოკუპანტი ქვეყნის ტელევიზიები უნდა ჩართოს. პირდაპირ გეტყვით, გვყავს კერძო, ქართული კომპანია, რომელიც ქართველ მაუწყებელს პაკეტიდან იღებს, ეს რას ნიშნავს? რომელი კვლევა ამბობს, რომ „ობიექტივის“ ნაცვლად, რუსული არხის, „ჩვენი ფეხბურთი“ ჩართვა სურთ? ნებისმიერ ვითარებაში დავუმტკიცებთ „აიეტის“ ხელმძღვანელობას, რომ ეს კვლევა არარეალურია.




***„ვერსია“ საკაბელო მაუწყებლობა „სუპერ ტვ“-ს (ყოფილი „აიეტი“) დირექტორს, გიორგი ხორხელს დაუკავშირდა.***

**— ბატონო გიორგი, თქვენი საკაბელო მაუწყებლობიდან „ობიექტივი“ რატომ გათიშეთ?**

— თავდაპირველად, „ობიექტივი“ ჩვენს ქსელში იმ დროს ჩავრთეთ, როდესაც ქვეყანაში „მასთ ქერის“ პრინციპი მოქმედებდა. იძულებული ვიყავი, ქსელში ჩამერთო და ამ ჩართვის სანაცვლოდ, სხვა არხი გავთიშე. ვადის ამოწურვის ანუ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დაძაბული მდგომარეობა იყო, შეგნებულად არ გავთიშე „ობიექტივი“. ახლა იძულებული ვიყავი, გამეთიშა, რადგან ტექნიკურად, საშუალება არ მაქვს, საკაბელო ქსელში ტელეარხების რაოდენობა გავზარდო. ხალხი რუსულ არხებს ითხოვს, „ობიექტივის“ მიღებას კი ჩვეულებრივი ანტენის დამონტაჟებითაც შეძლებენ. რაც მთავარია, სავარაუდოდ, ორ-სამ თვეში ვაპირებ ტექნიკური საშუალებების შეძენასა და არხების რაოდენობის გაზრდას. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მომავალში ისევ ჩავრთო „ობიექტივი“, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩვენების ხარისხი გამოსწორდება და ამ ტელეკომპანიის რეიტინგიც მოიმატებს.

**— ირმა ინაშვილი ითხოვს, გამოაქვეყნოთ ის კვლევა, რის საფუძველზეც ქსელიდან „ობიექტივი“ გათიშეთ. მას საეჭვოდ მიაჩნია, მოსახლეობა ქართულის ნაცვლად, ოკუპანტი ქვეყნის ტელეარხებს ითხოვდეს. გაასაჯაროებთ ამ კვლევას?**

— ჩვენ არანაირ კვლევას არ ვატარებთ, მხოლოდ აბონენტების მოთხოვნებს ვაფიქსირებთ. არ მესმის, რა შუაშია ოკუპანტი ქვეყანა, რადგან ჩემს ქსელში არსებული 70 არხიდან, 60 — რუსულენოვანია. რა ვქნა, არ უნდა ვაჩვენოთ ეს არხები? ეს კერძო კომპანიაა, სადაც თვითონ ვიღებ გადაწყვეტილებას, რომელენოვანი არხი უნდა ჩავრთო. გარდა ამისა, რუსული არხების ჩართვის დიდი ინტერესი არც მე მაქვს, რადგან როდესაც რომელიმე არხს ვრთავ, იქით ვუხდი ფულს. რა თქმა უნდა, მირჩევნია, ბევრი უფასო არხი ჩავრთო და ამით ხარჯები შევიმცირო.

**— „ობიექტივი“ თქვენი ქსელიდან 10 იანვარს გაითიშა, ზუსტად იმ დღეს, როდესაც ირმა ინაშვილმა ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან. გარდა ამისა, „მასთ ქერის“ ვადა 1 ოქტომბრის შემდეგ ამოიწურა და რაღა მაინცდამაინც, 10 იანვარს გათიშეთ „ობიექტივი“?**

— კომპანია ვალდებულია, გადაწყვეტილება, ნებისმიერი არხის ჩართვის ან გათიშვის შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას 10 სამუშაო დღით ადრე აცნობოს. ეს წერილი მარეგულირებელ კომისიაში ახალ წლამდე გავგზავნე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, ბიძინა ივანიშვილთან ჩაწერდნენ ინტერვიუს თუ ვინმე სხვასთან. ამიტომ პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ არაფერ შუაშია, რადგან შესაბამისი შეტყობინება წინასწარ გავაკეთე.

***„ვერსია“ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრს, ირაკლი მოსეშვილს გაესაუბრა. მისი თქმით, „სუპერ ტვ“-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სამართლებრივად სწორია, მაგრამ მორალური თვალსაზრისით, უმჯობესია, საკაბელო მაუწყებლებმა პრიორიტეტი ქართულ არხებს მიანიჭონ:***

„რას ჩასვამს თავის ბადესა და ქსელში, ეს „სუპერ ტვ“-ს გადასაწყვეტია, მაგრამ კარგი იქნება, თუ პოპულარიზაციას ქართულ არხებს გაუწევენ. გარდა ამისა, არ მგონია, რომ „ობიექტივს“ ნაკლები რეიტინგი აქვს, ვიდრე რომელიმე ისეთ არხს, რომელიც „სუპერ ტვ“-ს ქსელში გადის. ჩემი აზრით, ყველა ქართული არხი უნდა იყოს საკაბელო ქსელში, ამიტომ სასურველია, პრიორიტეტული ქართულენოვანი მაუწყებლები იყვნენ, მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა თუ ტექნიკური შესაძლებლობების მიუხედავად. მთავარია, ისინი მინიმალურ ტექნიკურ სტანდარტებს აკმაყოფილებდნენ, მაგრამ არ მგონია, „ობიექტივს“ ნაკლები მაყურებელი ჰყავდეს, თუნდაც მათსავე ეთერში განხორციელებული ზარების რაოდენობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, საკაბელო ოპერატორებს ვერაფერს მოვთხოვ, მაგრამ ვურჩევ, ქართულ არხებს მეტად დაუჭირონ მხარი და ქსელში ჩართონ. რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტებს, სასურველია, ამ თემაზე პარლამენტმა იმსჯელოს და „მასთ ქერითა“ თუ სხვა პრინციპით, საკაბელო ტრანზიტორები აიძულოს, თუნდაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე ანუ 2015 წლის ივნისამდე, ქსელში ქართული არხები ჩასვან“.

***„ვერსია“ კანონპროექტ „მასთ ქერის“ ერთ-ერთ ავტორს, „რეზონანსის“ მთავარ რედაქტორსა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენელს, ლაშა ტუღუშსაც დაუკავშირდა:***

„როგორც იცით, პარლამენტში უკვე შევიტანეთ კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, სადაც „მასთ ქერის“ თაობაზეცაა საუბარი. ამ კანონპროექტის მიხედვით, „მასთ ქერის“ პრინციპი ამუშავდება არა ორი-სამი თვით, არამედ — მუდმივად. ამ შემთხვევაში, მგონია, ბევრი პრობლემა მოგვარდება და საერთო მაუწყებლები მუდმივად ჩაერთვებიან საკაბელო მაუწყებლების ქსელში. როგორც წესი, კანონპროექტის განხილვა უახლოეს ხანში დაიწყება და იმედი მაქვს, მალე ამოქმედდება“.

## 16 იანვარს, „ობიექტივის“ ჟურნალისტები, SUPER TV-ს მიერ „ობიექტივის“ გათიშვასთან დაკავშირებით, ბრიფინგებს გამართავენ

მედიაკავშირ „ობიექტივის“ მაუწყებლობა საკაბელო კომპანია SUPER TV-მ (იგივე „აიეტი“ ) გამორთო. ოფიციალური მიზეზი კომპანიის კვლევას უკავშირდება, რომლის ფარგლებშიც, აბონენტებმა (თითქოსდა) რუსული არხების ჩართვა მოითხოვეს, ქართული არხებისა და კონკრეტულად, „ობიექტივის“ სანაცვლოდ. 2013 წლის 16 იანვარს ბრიფინგებს გამართავენ „ობიექტივის“ ჟურნალისტები:

12.00 — „პრაიმ თაიმის“ პრესკლუბში „ობიექტივის“ დირექტორი თეა ნადირაძე;

13.00 — FRONTNEWS პრესკლუბში „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი – „ობიექტივის“ დირექტორი თეა ნადირაძე;

14.00 — FROM.GE- პრესკლუბში „ობიექტივის“ პროდუსერები: ანი კიკნაძე, ილია ჩაჩიბაია. საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამთა ღლონტი;

14.00 — „მაესტროს“ პრესკლუბში „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი.

# „მუხროვანის ამბოხის“ მონაწილეების ლიკვიდაციის სპეცოპერაციას გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და ვანო მერაბიშვილი პირადად ესწრებოდნენ!



## ამნისტირებული ლევან ამირიძე სკანდალური საქმის დეტალებს ახმაურებს



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**2009 წლის 5 მაისს მუხროვანის არშემდგარი ამბოხი — დადგმული სპექტაკლი თუ სამხედრო გადატრიალების მცდელობა? ოფიციალური საგამოძიებო მასალების თანახმად, რუსეთიდან ალექსანდრე ებრალიძის მიერ დაფინანსებული სამხედროები, მუხროვანის სატანკო ბატალიონში დაუმორჩილებლობის გამოცხადებით ცდილობდნენ თბილისის ბლოკირებას, კომენდანტის საათის გამოცხადებასა და 40 დღეში არჩევნების დანიშვნას. ამის შემდეგ საქართველოში თავად ებრალიძე უნდა ჩამოსულიყო. აღნიშნული ბრალდებების სასამართლო პროცესზე დამტკიცება ვერ მოხერხდა. ამბოხებიდან 2 კვირაში კი, თიანეთის გზატკეცილზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ლევან ამირიძე და კობა ოთანაძე დააკავეს, გია კრიალაშვილი კი ადგილზე გარდაიცვალა. სამწლიანი პატიმრობის შემდეგ, ამნისტირებული ლევან ამირიძე საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს და „ვერსიასთან“ მუხროვანის ამბოხის დეტალებს იხსენებს.**

— ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, სამხედრო აღლუმის მომზადება გავაპროტესტე. მაშინ სპეცოპერაციის დაჯგუფების რეინჯერთა ბატალიონის მეთაური ვიყავი. ჩემ ქვედანაყოფში ისეთი ბიჭები იყვნენ, რომლებსაც ომის დროს ოჯახის წევრები ცოცხლად დაუწვეს, დაგვეღუპა უამრავი მეგობარი, თანამებრძოლი. მათი გვამები გაციებულიც არ იყო, ჩვენ კი უკვე ზეიმის გამართვას გვთხოვდნენ. ჩემ მიერ ხმამაღლა გამოთქმულ უკმაყოფილებას, სამხედროებზე ზეწოლა მოყვა. ბიჭებს სოდ-სა და კუდ-ში იბარებდნენ, მორალურად და ფსიქოლოგიურად ამუშავებდნენ, ჩემზე ინფორმაციის მოგროვებას ავალებდნენ — რას ვსაუბრობდი, როგორი განწყობა მქონდა ხელისუფლების მიმართ და ა.შ. გაუგებარია, თუ ჩემ მიმართ უნდობლობა გაუჩნდათ, რატომ არ დამიძახეს და თანამდებობის დატოვება არ მომთხოვეს?! ბოლოს, ჩემი შტაბის უფროსი პროვოკაციული ბრალდებით დააკავეს. ზემოთ კარგად იცოდნენ, რომ ამაზე უკან ნამდვილად არ დავიხევდი. მეგობრის დაკავება გავაპროტესტე, რის შემდეგაც თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადების დაწერას ვგეგმავდი, მაგრამ ამის საშუალება აღარ მომეცა.

**— თუმცა მაშინ ამბოხების ოფიციალურ მიზეზად, ხელისუფლების შეცვლა და ნატო-ს სამხედრო წვრთნების ჩაშლა დასახელდა. ითქვა ისიც, რომ თქვენ რუსეთიდან გაფინანსებდნენ. შეგიძლიათ გაიხსენოთ, რა მოხდა რეალურად, 2009 წლის 5 მაისს და როგორ აღმოჩნდნენ თქვენთან ოფიცრები კობა ოთანაძე და გია კრიალაშვილი?**



**რუსეთიდან დაფინანსების მიღების შესახებ ინფორმაცია სრული აბსურდი იყო. სინამდვილეში, ქვეყნის მაშინდელ პირველ პირებს შეეშინდათ, თანამდებობის დატოვების შემდეგ, ჩემთვის სხვა სამხედრო მეთაურებსაც არ მოებაძათ. სწორედ ამიტომ შეფუთეს საქმე ისე, თითქოს სამხედრო გადატრიალებას ვაწყობდით.**

რაც შეეხება კობა ოთანაძესა და გარდაცვლილ გია კრიალაშვილს, მათთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. როცა კობამ და გიამ შეიტყვეს, რომ ჩემ წინააღმდეგ პროვოკაცია მზადდებოდა, მუხროვანში მეგობრულად, უბრალოდ, ჩემი ამბის მოსაკითხად მოვიდნენ. მეგობრების ჩემ გვერდით ყოფნამ, როგორც ჩანს, ზოგიერთები ძალიან გააღიზიანა, მიხეილ სააკაშვილს ხომ ყველა, ვინც მას არ ეთანხმება, ქრონიკული გადამტრიალებელი ჰგონია?! ასე მიება გია კრიალაშვილი და კობა ოთანაძე ჩემ პროტესტს. საინტერესოა, თუ ამბოხს რეალურად ვამზადებდი, როგორ უნდა დამხმარებოდნენ ისინი, როცა გიაცა და კობაც გადამდგარი თადარიგის პოლკოვნიკები, ოფიცრები იყვნენ, არც ჯარი ჰყავდათ და არც პირადი შემადგენლობა, მით უმეტეს, ზედმეტია საუბარი სამხედრო შეიარაღებაზე.

ჩვენი სიმართლის დამტკიცება შეუძლებელი გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუხროვანში სხვა საჯარისო ქვედანაყოფები ამოიყვანეს და ნაწილი მთლიანად ალყაში მოაქციეს. გაჩნდა ალბათობა, რომ ამ ვითარებაში მართლაც, ვიღაცას ესროლა, რასაც შეიძლება მსხვერპლიც მოჰყოლოდა. ეს ყველაფერი რომ არ მომხდარიყო, სიტუაციას გავერიდეთ, რადგან სააკაშვილს ცოცხლები ნამდვილად არ ჩავბარდებოდით.

**— დღემდე ბურუსითაა მოცული თქვენი დაკავების სპეცოპერაციაც. რა მოხდა სამი წლის წინ, თიანეთის გზატკეცილზე, ითქვა, რომ თქვენი მეგობარი გია კრიალაშვილი სპეცოპერაციის ადგილზე უკვე მოკლული მოასვენეს.**

— არა, ეს ტყუილია. სპეცოპერაციისას გია კრიალაშვილი ჩემ გვერდით იჯდა და სროლის დაწყებისთანავე გარდაიცვალა.

**მოგეხსენებათ, 5 მაისის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში ძებნაში ვიმყოფებოდით. უკვე ქვეყნიდან გასვლას ვაპირებდით, რაშიც ჩვენი ახლობელი უნდა დაგვხმარებოდა და მანქანა მოეყვანა. როგორც ჩანს, თვითონაც ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა და სამართალდამცავებს ჩვენი გეგმების შესახებ უამბო. ერთი სიტყვით, საქართველოდან ჩვენი გასვლა გაშიფრეს. კაცი რომ მანქანას მოგიყვანს, მით უმეტეს ახლობელი, ვერ იფიქრებ, რომ გღალატობს. როცა შენში მოღალატე არ ზის, გგონია, სხვაც სუფთა პიროვნებაა. მოკლედ, მანქანაში გულუბრყვილოდ ჩავსხედით, ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, მანქანიდან მძღოლი გადახტა, საბარგულიდან კი სამი სპეცრაზმელი ამოხტა. ფაქტობრივად, ჩაგვცხრილეს, ნამდვილად არ ველოდით, ასე თუ გაგვწირავდნენ. გვიან გავიგეთ, რომ სააკაშვილს თურმე, ჩვენი ლიკვიდაციის ბრძანება გაუცია.**

**— თუმცა თქვენ საქმეში ნათქვამია, რომ სპეცოპერაციისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეთ და სროლის აუცილებლობაც ამან განაპირობა...**

— აბსურდია, ჩვენ იარაღი არ გვქონდა, თანაც მანქანაში სამი სპეცრაზმელი იმალებოდა. მაშინ ნამდვილად არ გვიეჭვია, რომ ჩვენთან ერთად კიდევ ვინმე მგზავრობდა.

**სპეცოპერაციაში 300-მდე ოპერმუშაკი მონაწილეობდა, წინასწარ ჰყავდათ მოყვანილი ექიმებიც. მე და კობა ოთანაძეს, რომლებიც სასიკვდილოდ ვიყავით დაჭრილები, წიხლებს გვირტყამდნენ. იქვე იყვნენ გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და ვანო მერაბიშვილი. ეს უკანასკნელი გამუდმებით ტელეფონზე საუბრობდა, ეტყობა, ვიღაცას ანგარიშს აბარებდა ჩვენი დაკავების შესახებ.**

**— გათავისუფლების შემდეგ, საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვთ. სარჩელს თქვენ მიერ დასახელებული მაღალი თანამდებობის პირების მიმართ შეიტანთ?**

— მოგეხსენებათ, ბრალი ამბოხის მეთაურობის, ამბოხში დახმარებასა და დაუმორჩილებლობაზე წაგვიყენეს. ახლა ჩვენ, უბრალოდ, სამართლიანი სასამართლოს პირობებში, იმის დამტკიცება გვინდა, რომ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. კონკრეტულ პიროვნებებს ნამდვილად არ ვუჩივლებთ. მაშინ სახელმწიფო გვიჩიოდა, ჩვენც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ შეგვაქვს სარჩელი. როცა გაირკვევა, რომ მუხროვანის ამბოხი ნამდვილად დადგმული სპექტაკლი იყო, იმედი მაქვს, მისი რეჟისორებიც სათანადოდ დაისჯებიან. სხვათა შორის,

**ჩვენ საქმეში კიდევ ერთი გაურკვეველი დეტალი არსებობს: 2009 წელს შსს-მ საქმე 316 მუხლის მეორე ნაწილით აღძრა, რაც დაუმორჩილებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული ბრალდების მიხედვით, მაქსიმუმ ჩინის დაქვეითებით ან თანამდებობიდან გადაყენებით უნდა დავესაჯეთ, თუმცა პროკურატურამ ბრალდებები დაგვიმძიმა და ამბოხების დახმარებაში დაგვადანაშაულა. როგორც გითხარით, ამ პერიოდში, მოქმედი მეთაური ვიყავი, ამიტომ თუ ამბოხება ვცადე, საინტერესოა, ვის ვეხმარებოდი?! ეს ფაქტი ჩვენ საქმეში დღემდე დაუდგენელია.**

როგორც გითხარით, პროკურატურაში საქმე უკვე განვაახლეთ და სასამართლოში რეფორმების ჩატარებას დაველოდებით, რადგან ჯერ კიდევ ის მოსამართლეები განიხილავენ საქმეებს, რომლებმაც წლების წინ გაგვასამართლეს. ჩვენი საქმე უკვე ოთხი წელია სტრასბურგშია და ვნახოთ, იქ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ.

**— სამხედრო სამსახურში დაბრუნებას თუ გეგმავთ?**

— თუ ქვეყანას დავჭირდები, სამხედრო უნარები, ჯერჯერობით, არ დამიკარგავს. მართალია, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ ნამდვილად მზად ვარ, ქვეყანას კვლავ ერთგულად ვემსახურო.

## ვერსიანიუსი

### საავტორო უფლებათა ასოციაცია ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან სეგმენტურ შეხვედრებს გამართავს

საქართველოში საავტორო უფლებების შესახებ არსებული მდგომარეობის, საავტორო უფლებების უკეთ რეალიზებისა და დაცვის მიზნით, საავტორო უფლებათა ასოციაციისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების სეგმენტური შეხვედრები გაიმართება ეტაპობრივად. ესენი იქნებიან: კომპოზიტორები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, დიზაინერები, ფოტოგრაფები და ა.შ.

შეხვედრების მონაწილეები დეტალურად გაეცნობიან ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციაში გაწევრიანების პროცედურას, საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმებსა და ასოციაციის მიერ შეთავაზებული დახმარების საშუალებებს. შეხვედრებზე საავტორო უფლებათა სფეროში არსებულ პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზებზეც იმსჯელებენ.

*„პირველი“*

### თბილისი 10 რაიონად დაიყოფა



როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, რაიონების დაყოფა მარტივად მოხდება. მაგალითად, ვაკე-საბურთალოს ნაცვლად, ვაკისა და საბურთალოს რაიონები იქნება, იგივე პრინციპით მოხდება სხვა რაიონების დაყოფაც: **„დაყოფის ეს პრინციპი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ არ მოხდება ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდა, რადგან გამგეობის მომსახურების ცენტრები, დაყოფის შემდეგ, უკვე ორ რაიონს მოემსახურება“.**

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს: ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების უკეთ გადაწყვეტასა და დარეგულირებას, მასში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლებას და, შესაბამისად, თბილისელების საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ინტერესების უფრო ეფექტურად დაკმაყოფილებას.

*„ინტერპრესნიუსი“*



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

რა ფსიქოლოგიური ტერორი მოქმედებს „საქპატენტში" და პრემიების რა სისტემას აპროტესტებენ ძველი თანამშრომლები?

# „საქპატენტის" თავმჯდომარეს ირაკლი ღვალაძეს, სასამართლოში უჩივლებენ

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტის" თავმჯდომარეს, ირაკლი ღვალაძესა და იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ელენე ქემაშვილს, მათი ყოფილი თანამშრომელი დინარა ნავდარაშვილი სასამართლოში უჩივლებს. იგი წლების განმავლობაში, „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტში მუშაობდა და, სამსახურიდან 2011 წლის 3 ნოემბერს, უკანონოდ დაითხოვეს. მისი თქმით, ხელშეკრულების ვადა 2011 წლის 1 დეკემბერს იწურებოდა და თუკი სამსახურში დეკემბრამდე დარჩებოდა, იურიდიული ბერკეტი ხელიდან გამოეცლებოდა. შეგახსენებთ, საქპატენტში „ძველი" და „ახალი" თანამშრომლების თემა 2010 წლის იანვრიდან გაიხსნა. ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში, ამ ორგანიზაციაში პროკურატურა შევიდა და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, სხვადასხვა კანონდარღვევა აღმოაჩინა, შესაბამისად, ძველი ხელმძღვანელობა ახლით ჩაანაცვლეს, რამდენიმე პირი კი დააპატიმრეს. „საქპატენტის" თავმჯდომარის პოსტზე, ფინანსთა მაშინდელი მინისტრის, კახა ბაინდურაშვილის მოადგილე ირაკლი ღვალაძე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, 2010 წლის იანვრის დასაწყისში, 4-წლიანი ვადით დაინიშნა, რომელმაც ყოფილი დირექტორი დავით გაბუნია ჩაანაცვლა. დინარა ნავდარაშვილი „ვერსიასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციაში სიტუაცია სწორედ ამის შემდეგ დაიძაბა.**

— თავდაპირველად, ირაკლი ღვალაძე თბილი და რბილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა კარგად ვიცოდით, რომ მას „ირაკლი დამანგრეველს" უწოდებდნენ. ეს ბატონი თავისი გუნდით მოვიდა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებითა და არაპროფესიონალებით. ცოტა ხანში, დაიწყო თანამშრომლების გაშვება, მაგრამ დასაწყისში, შედარებით დაბალი რანგის პერსონალს მიადგა. სიტუაცია დაიძაბა, ხალხიც დაიღალა და ის, რაც ბატონმა დავით გაბუნიამ წლების განმავლობაში, კოლეგებთან ერთად შექმნა, დაანგრია. სამსახურიდან ახალგაზრდა პროგრამისტები გაყარა, ისე დაანგრიეს ჩვენი ძველი ინტერნეტ-პროგრამა, რომ 10-15 წუთიან საქმეს, დღენახევარი ვუნდებოდით. ამის შემდეგ, მცოდნე და განათლებულ თანამშრომლებს მიადგა, რადგან ისინი კატეგორიულად არ მოსწონდა.

**— ქალბატონო დინარა, პირადად რას გერჩოდათ ან ირაკლი ღვალაძე ან „საქპატენტის" იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარე ელენე ქემაშვილი?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტში ვმუშაობდი და არანაირი შეხება არ მქონია ელენე ქემაშვილთან. მას არც კი ვიცნობდი. 2011 წლის შემოდგომაზე, როდესაც შვებულებიდან დავბრუნდი, ასეთი სიტუაცია დამხვდა, ჩემი დეპარტამენტის უფროსი გიორგი ქურდიანი, სხვა დეპარტამენტში გადაუყვანიათ და მის ადგილას, ელენე ქემაშვილი დაუნიშნავთ. მას, როგორც იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის თავმჯდომარეობაც კანონდარღვევით შეუთავსეს. შესაბამისად, ორ სრულ ხელფასს, თავისი დანამატებითა და პრემიებით იღებდა. 2011 წლის 1 ნოემბერს, ბიძინა ივანიშვილის პირველი პრესკონფერენციის ტრანსლაციის დროს, სამსახურში ყველას ტელევიზორი და კომპიუტერი გვქონდა ჩართული და მის გამოსვლას ვუყურებდით. მაშინ დიდი იმედი მომეცა, რადგან, სხვებისგან განსხვავებით, მასზე მხოლოდ კარგი მესმის...

**— ბიძინა ივანიშვილი თქვენი ნათესავია?**

— არა, მხოლოდ ახლობელია და მისი ქველმოქმედების შესახებ მესმოდა, რადგან კარგად ვიცნობდი იმ ადამიანებს, რომლებსაც უანგაროდ ეხმარებოდა. 1 ნოემბერს, ელენე ქემაშვილი საკმაოდ გაბრაზებული ჩანდა. საღამოს კაბინეტში დამიბარა და პირდაპირ მითხრა, რომ ძალიან ვეზიზღები და ვერ მიტანს, ამიტომ მეორე დღიდან სამსახურში მისვლა ამიკრძალა, თან დასძინა, რომ გამათავისუფლა. ჩვენ ხომ ერთმანეთს არ ვიცნობდით, ამიტომ ვკითხე, როდის ან რა ვითარებაში შევზიზღდი, მან მიპასუხა, რომ ჩემს CV-ს გადახედა და დარწმუნდა, მე აბსოლუტურად უინიციატივო, წარუმატებელი ადამიანი ვარ, რადგან 15 წლის განმავლობაში, ერთსა და იმავე ორგანიზაციაში, ერთი და იგივე საქმეს ვაკეთებდი. მაინცდამაინც დასაძრახი CV არ მაქვს, ბევრგან მიმუშავია, მათ შორის, გზების დეპარტამენტში, „ტექინფორმში", ბოლოს — „საქპატენტში". სხვადასხვა დროს, საქმეთა მმართველი, კანცელარიის გამგე და კადრების განყოფილების უფროსი ვიყავი. როგორც გითხარით, ეს ამბავი 1 ნოემბერს მოხდა, დეკემბერში კი ჩემთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა იწურებოდა და ვთხოვე, დეკემბრამდე დავრჩენილიყავი, რადგან ეს პერიოდი დამეხმარებოდა, ახალი სამსახური მომეძებნა და ჩემი მოხუცი მშობლები ნელ-ნელა შემემზადებინა. რაც მთავარია, გულწრფელად ვთხოვე, არ დაეტოვებინა შურისძიების საშუალება, თუკი დეკემბრამდე სამსახურში დამტოვებდა, ამ უკანონობის გასაჩივრების იურიდიული ძალა ხელიდან გამომეცლებოდა და სასამართლოში სარჩელის შეტანას ველარ შევძლებდი. მინდა თქვენს წინა კითხვას დავუბრუნდე, ალბათ, სამსახურიდან იმიტომ გამიშვეს, რომ ირაკლი ღვალაძემ და ელენე ქემაშვილმა, ამით პრეცედენტი შექმნეს, როგორი სასტიკები და უსამართლოები არიან. პრეზენტაციების ორგანიზებიდან გამომდინარე ითვლებოდა, რომ ძველ თანამშრომლებს შორის, ყველაზე წარმატებული ვიყავი. ჩემი გაშვებით, სხვები დარწმუნდებოდნენ, რომ „საქპატენტში" არავის ინდობენ. სამსახურიდან გათავისუფლება ჩემმა მოხუცმა მშობლებმა ისე განიცადეს, რომ მამა დაბრმავდა, დედა კი ლოგინად ჩავარდა...

ყველაზე დიდი უკანონობა ის არის, რომ ირაკლი ღვალაძემ პრემიალური სისტემა შემოიღო, რომლითაც მხოლოდ თვითონ და მისი გუნდის წევრები ჯილდოვდებიან, ისინი თვეში ერთხელ, ერთი თვის ხელფასის ოდენობის პრემიას იღებენ. საზოგადოებას ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის პრემია გაუკვირდა, არადა ღვალაძის ერთი თვის ხელფასი 3 000 ლარია და დეკემბერში 4-ჯერ 3 000 ლარი, ანუ 12 000 ლარი აიღო.

**— თქვენ ეს ზუსტად იცით?**

— დიახ, ამის დადასტურება შემიძლია.

**— დამადასტურებელი საბუთი ხელთ გაქვთ?**

— ახლა არ მაქვს, მაგრამ აუცილებლად მოვახერხებ და მექნება. ამას თვითონაც არ მალავენ, კანონში აქვთ ჩაწერილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაც კანონში წერია, ზუსტად ისაა უკანონობა. წინა ხელისუფლებასაც ბევრი რამ ჰქონდა კანონში ჩაწერილი, რასაც ახლა, ივანიშვილის გუნდი ნელ-ნელა ცვლის. სხვათა შორის, თუკი რომელიმე სტრუქტურა დაინტერესდება და „საქპატენტში" შემოწმებაზე შევა, იქ ბევრად საინტერესო ფაქტებს გადააწყდება.

**— სამსახურიდან დათხოვნის გამო, პირადად ირაკლი ღვალაძეს რატომ არ მიმართეთ?**

— ირაკლი ღვალაძესთან, მისი თანაშემწის საშუალებით მქონდა ურთიერთობა. იმ პერიოდში დაიწყეს ძველი საქმეების გაპიარება ისე, თითქოს ყველაფერი მათ გააკეთეს, სინამდვილეში კი, ეს საქმეები დავით გაბუნიას თავმჯდომარეობისას დაიწყო. გარდა ჩემი საქმიანობისა, რომელიც მასშტაბური იყო, დამავალეს მათ მიერ გაპიარებული საქმეების ორგანიზება. თვითონ ვერ იმახსოვრებდა, ვის რა ჰქონდა დარეგისტრირებული, ამიტომ პრეზენტაციამდე სიას მაკეთებინებდა. სასტიკად აკრძალული მქონდა „ჩარეცხილების" სიაში შეტანა, მაგრამ უკვე ვიცოდი, ვინ შეიძლებოდა



მოსწონებოდათ და პრეზენტაციებზე მხოლოდ ამ ადამიანებს ვიწვევდი.

ერთ-ერთ ბოლო პრეზენტაციაზე, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის მეუღლე, მაკა მეტრეველი უნდა მომეწვია, რადგან დარეგისტრირებული ჰქონდა სასაქონლო ნიშანი — „ფეშენ ვიკი". შესაბამისად, მაკა მეტრეველი სიაში შევიყვანე, დავურეკე და მეორე დღეს დაგეგმილ პრეზენტაციაზე დავპატიჟე. დამთანხმდა, მაგრამ ღვალაძის თანაშემწემ მითხრა, რომ ბაქრაძის მეუღლე სიიდან უნდა ამომეღო. იმ პერიოდში, ჭორი გავრცელდა, თითქოს სააკაშვილსა და ბაქრაძეს შორის სიტუაცია დაიძაბა. არ ვიცი, სიმართლეა თუ არა, მაგრამ ღვალაძე საკმაოდ ფრთხილი და მშიშარა კაცია, აბსოლუტური მარიონეტია, რომელსაც დღეში 15-ჯერ შეუძლია გადაწყვეტილების შეცვლა. მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, იმდენად მშიშარაა, რომ თანამშრომლებს შორის, ღვალაძემ ხმაც კი გაავრცელა, ბიძინა ივანიშვილის ნათესავი ვარ და ვერაფერს დამაკლებენო, რაც სიმართლე არ არის.

ისევ 2011 წლის 1 ნოემბრის ამბავს ვუბრუნდები, კატეგორიულად მომთხოვეს, დამერეკა მაკა მეტრეველთან და მიწვევა გამეუქმებინა, რაც არ გამიკეთებია, რადგან ქართველი ვარ, დედამ გამზარდა და ადამიანს ერთხელ რომ დაპატიჟებ, მერე უარი აღარ უნდა უთხრა. არ გასულა 15 წუთი, ისევ თანაშემწე მირეკავს და მთხოვს, ბაქრაძის ცოლი ისევ დავპატიჟო. ძალიან რომ არ გადაგღალოთ, მთელი საღამოს განმავლობაში, 15 წუთში ერთხელ მირეკავდა თანაშემწე და ხან მთხოვდა, ქალბატონი მაკა სიიდან ამომეღო, ხან — ისევ დამერეკა და დამეპატიჟებინა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა საშინელ, ფსიქოლოგიურ სტრესში ვიქნებოდი? ცხადია, რამდენჯერაც თანაშემწემ მაკა მეტრეველის ჯერ დაპატიჟება და მერე სიიდან ამოღება მომთხოვა, იმდენჯერ დავეთანხმე, მაგრამ ქალბატონ მაკასთან მხოლოდ ერთხელ დავრეკე და დავპატიჟე. ცხადია, მეორე დღეს პრეზენტაციაზე მოვიდა და იმის გამო, რომ ვინმეს შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, გვერდიდან არ მოვშორებულვარ...

ახლა ვაპირებ ირაკლი ღვალაძესთან შეხვედრას, რადგან ხომ მაქვს იურიდიული უფლება ვიცოდე, რატომ და რა მიზეზით გამათავისუფლეს სამსახურიდან? დავუშვათ, წარუმატებელი ადამიანები არ უყვართ, მაგრამ ეს როგორ დავიჯერო, როდესაც ზუსტად ვიცი, სამსახურში 10 კლასის განათლების მქონე ძველი თანამშრომლები ისევ მუშაობენ.

**— როგორც მითხარით, სასამართლოში სარჩელიც უნდა შეიტანოთ, ხომ?**

— დიახ, ირაკლი ღვალაძისა და ელენე ქემაშვილის წინააღმდეგ უნდა შევიტანო სარჩელი და როგორც მორალური, ასევე — მატერიალური ზიანის კომპენსაცია მოვითხოვო. საშინელება ვნახე და განვიცადე, რადგან 100-მდე თანამშრომელი გაუშვეს სამსახურიდან და ამ 100 ადამიანის გარდა, სხვა თანამშრომლების ცოდვაც მათ კისერზეა.

**გამოგონების დეპარტამენტის უფროსმა, დილის 11.00 საათზე, „სკაიპით" შეატყობინა თანამშრომლებს, რომ იმ დღეს შემცირება იგეგმებოდა და საღამოს 17.00 საათზე თათბირი დანიშნა. ხომ წარმოგიდგენიათ, 12.00-დან 17.00 საათამდე, რა სტრესი გამოიარეს ადამიანებმა? ჩემთან ერთად გაუშვეს ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ნერვიულობის ნიადაგზე, დიაბეტი და ფსორიაზი განუვითარდა. ის ორი შვილის დედაა, რომელსაც არც მშობლები ჰყავს, არც — ნათესავები, მისი ქმარი ციხეშია. იცით, რა სახსრებით არსებობს? ძველი თანამშრომლები უგროვებენ პურის ფულს ჩუმად და უგზავნიან სახლში. ჩემი მეორე მეგობარი ბუღალტერიაში მუშაობდა, თურმე სიმსივნე ჰქონია, იცოდა, მაგრამ მალავდა და მხოლოდ სიკვდილის წინ თქვა, რომ სამსახურიდან გაგდების ეშინოდა. ერთ-ერთ პარასკევს გვიანობამდე იმუშავა, რადგან პრემიები უნდა დაეთვალა, სამუშაო შეასრულა, მაგრამ ცუდად გახდა, ორშაბათს დარეკა სამსახურში და თანამშრომლებს უთხრა, რომ ცუდად იყო, სამშაბათს კი საავადმყოფოში დააწვინეს. სამწუხაროდ, ერთ კვირაში გარდაიცვალა, რადგან ღვიძლი დაეშალა. წარმოგიდგენიათ, დაშლილი ღვიძლით იარა სამსახურში ბოლომდე, ექიმები გაოცდნენ, თუ ღვიძლი დაშლილი ჰქონდა, როგორ მუშაობდა ყოველდღიურ რეჟიმში და თუ არა, მაშინ შეუძლებელი იყო, ერთ კვირაში დაშლოდა... გამოგონების დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი ევა არ გაუთავისუფლებიათ, მაგრამ ისეთ ფსიქოლოგიურ სტრესში ჰყავდათ, ერთ დღეს, სამსახურიდან სახლში მისულმა, შვილს სთხოვა, ჩაი მოედუღებინა, თვითონ სავარძელში ჩაჯდა და ვიდრე ჩაი ადუღდებოდა, ადგილზე გარდაიცვალა... მე რომ სამართალდამცველი ვიყო, ირაკლი ღვალაძესა და ელენე ქემაშვილს მივუსჯიდი, რომ აუცილებლად ატარონ გულსაკიდი წარწერით: ადამიანებო, ფრთხილად, სიცოცხლისათვის საშიშია და განერიდეთ!**

## ვერსიანიუსი

### შტატგარეშე თანამშრომლების აყვანის კუთხით მთავრობამ გამონაკლისი დაუშვა უშიშროების საბჭოსთვის




ეს ინფორმაცია მთავრობის სხდომიდან გამოსულმა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ, ბათუ ქუთელიამ განაცხადა. მისივე განმარტებით, აღნიშნული საკითხი გადაწყდა დადებითად. კერძოდ, დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში, ეროვნული უშიშროების საბჭო აიყვანს დამატებით ტექნიკურ პერსონალს შტატგარეშე თანამშრომლების სახით.

შეზღუდვას, შტატგარეშე თანამშრომლების აყვანასთან დაკავშირებით, საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 23-ე მუხლი აწესებს. კერძოდ, კანონის თანახმად, შტატგარეშე თანამშრომლების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უწყებაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 2%-ს.

*„ინტერპრესნიუსი"*

### სასაზღვრო პოლიციის უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე აღარ იქნება



ეს ცვლილება სასაზღვრო პოლიციის შესახებ კანონში შედის, რომლის მიხედვით, სასაზღვრო პოლიციის უფროსს პრემიერ-მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენითა და პრეზიდენტთან შეთანხმებით დანიშნავს.

კანონის დღევანდელი რედაქციის თანახმად, სასაზღვრო პოლიციის უფროსი შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იყო.

*„ნიუსპრესი"*

## ვანო მერაბიშვილი: „საქართველოში საბიუჯეტო კრიზისი დაიწყო“

ეს განცხადება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა, ვანო მერაბიშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. მისი თქმით, საბიუჯეტო კრიზისი საქართველოს ბიუჯეტში რეალური შემოსავლების კლებით არის გამოწვეული. საქართველოში შემცირებულია ეკონომიკური აქტიურობა, რაც გამოიხატება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის კლებაში, შემცირდა საქართველოში წარმოება და ვაჭრობა. საგანგაშოდ გაიზარდა საქართველოს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ვალის ოდენობა.

როგორც მერაბიშვილმა აღნიშნა, ამ კრიზისის შენიღბვის მიზნით, დღევანდელმა მთავრობამ ძველი, 2003 წლამდე, შევარდნაძის ეპოქაში არსებული პრაქტიკა — გადასახადების წინასწარ გადახდა აღადგინა: **„გადასახადების წინასწარ გადახდა მასობრივად დაიწყო. კომპანიებს დეკემბერში ახდევინებდნენ იანვარში გადასახადელ თანხებს, რაც სავალალო მდგომარეობადე მიგვიყვანს“.**

ნაციონალური მოძრაობის გენმდივანმა საბიუჯეტო კრიზისის გამომწვევი მიზეზებიც დაასახელა, რომელთა შორის უპირველესი, ბიზნესების შევიწროებაა:

**„მიმდინარეობს ბიზნესების ყოველდღიური, მასობრივი შემოწმება როგორც ფინანსური პოლიციის, საგადასახადო ინსპექციისა და პროკურატურის, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, რაც ყველაზე საგანგაშოა. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩემი მინისტრობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა დეპარტამენტს აკრძალული ჰქონდა გამოძიება და შემოწმება ნებისმიერი ბიზნესისა. მაშინ არც ერთი ბიზნესმენი და ბიზნესი არ შემოწმებულა საგადასახადო ან სხვა ტიპის დარღვევებთან დაკავშირებით“.**

მეორე მიზეზად მერაბიშვილმა ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება დაასახელა: **„ამან უკვე გამოიწვია უმუშევრობის ზრდა და, შესაბამისად, ბიუჯეტში შემოსავლების კლება. რაც მთავარია, დღევანდელ მთავრობას არ გააჩნია ერთიანი, მკაფიო ეკონომიკური მოქმედების გეგმა“.**

ამ ფაქტებთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს და 22 იანვარს მედიას ბოლო სამ თვესთან დაკავშირებით, ყველა ციფრი და მონაცემი გადაეცემა: **„ეს არის საგანგაშო და ახალი მთავრობისგან გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს“.** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებასთან დაკავშირებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის განცხადებას პასუხობს და აცხადებს, რომ 2013 წელს პროექტების განხორციელების კუთხით, სამინისტროს მიერ 180 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება, ვიდრე შარშან, 2012 წელს დაწყებული ყველა გარდამავალი პროექტი კი აუცილებლად გაგრძელდება: **„საქართველოს 25-მდე მუნიციპალიტეტში ინიცირებულია წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტები. განხორციელდება დასავლეთ-აღმოსავლეთ მაგისტრალის დამატებითი მონაკვეთების მშენებლობა. პროექტების თვალსაზრისით, 2013 წელი ძალიან დატვირთული იქნება და იმაზე მეტი ადამიანი დასაქმდება, ვიდრე 2012 წელს იყო დასაქმებული. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამინისტროს პროექტების შეფერხებების გამო, უმუშევრობის ზრდასა და საბიუჯეტო კრიზისს ნამდვილად არ ველოდებით“.**

*„ინტერპრესნიუსი“*



# „ბიძინა ივანიშვილმა მიხეილ სააკაშვილი ფსიქოლოგიურად გატეხა!“





ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**დიდი შერიგება, დიდი გარიგება თუ დიდი სპექტაკლი — სააკაშვილ-ივანიშვილის მიერ, მსოფლიო პატრიარქისა და ილია მეორეს საზოგადოებაში ძველით ახალი წლის ერთობლივად შეხვედრის კადრებსა და დიალოგებზე მთელი საზოგადოება ალაპარაკდა! ფართო განხილვის საგანი გახდა ქვეყნის ორი მთავარი ფიგურის ჟესტები, ფრაზები და მინიშნებები, რასაც ამომრჩეველში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა და ისეთ უხერხულ თემასაც კი შეეხო, ვინ უფრო უყვარს საქართველოს პატრიარქს, სააკაშვილი თუ ივანიშვილი?! იყო თუ არა მშვიდად მომღიმარი პრემიერის, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ხმადაბალი საუბარი კოჰაბიტაციის ნამდვილი ფოიერვერკი, როცა გუშინ სააკაშვილი მთელ „ოცნებას“ თავს ღიად ესხმოდა, ხვალ კი პარლამენტი პრეზიდენტს უფლებამოსილებას შეუკვეცს. რომელმა მხარემ რა გზავნილი ჩადო საკუთარ ქცევებსა და მოქმედებებში და ჯამში, ვინ დარჩა მოგებული ამ პიარხერხებით — არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი მოვლენების განვითარებას „ვერსიისთვის“ აანალიზებს.**

— არა მგონია, ეს ან შერიგება იყოს, ან სპექტაკლი, უბრალოდ, ორი ადამიანი ერთმანეთს ისეთ ადგილას შეხვდა, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ალბათ, ბევრმა შეამჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი იჯდა, როცა პრეზიდენტი მივიდა და მას უსიტყვო ჟესტიკულაციით აჩვენა, ვინაა პირველი ქვეყანაში. მან სააკაშვილს ხელის მოძრაობით ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო — ჩემი აზრით, ეს თხოვნა კი არა, მითითება იყო, აქ დაჯექიო. ძალიან გულუბრყვილოები უნდა ვიყოთ, დავიჯეროთ, რომ მათ შორის არანაირი კომუნიკაცია არ არსებობს. ბუნებრივია, არის და ამაში არაფერია არც ცუდი, არც განსაკუთრებული, უბრალოდ, მომხდარი იმის კიდევ ერთხელ დემონსტრირება იყო, რომ ივანიშვილი დღეს უფრო მეტად ცდილობს სააკაშვილის ფსიქოლოგიურად გატეხვას, ხოლო სააკაშვილი გატყდა და იქ დაჯდა, სადაც მიუთითეს.

**— საზოგადოებამ პიკანტურ დეტალებს დიდი ყურადღება მიაქცია — პრემიერის ფეხზე არადგომა პრეზიდენტის შემოსვლისას, კომენტარი, სადღეგრძელო არ არის საჭიროო და ა.შ. — ეს ყველაფერი უმნიშვნელო დეტალია თუ გარკვეულ მინიშნებებსაც შეიცავს?**

— ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილი ფსიქოლოგიურად გატეხა! ახლა ბიძინა ფიქრობს, რომ იგი ვადის ამოწურვამდე, ასეთ დღეში ეყოლება, მეორე მხრივ, არ ვიცი, ასე რის საფუძველზე გატყდა სააკაშვილი. ჩანს, ბიძინას პირისპირ ზედმეტ შეწინააღმდეგებას ვერ უბედავს, ხოლო ზურგსუკან, როცა თავის გუნდთან ან მხარდამჭერებთანაა, „ოცნებას“ უხვად ამკობს. სამაგიეროდ, როცა ერთად არიან, ბიძინა ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ ისაა პირველი. ისე, ალბათ, ივანიშვილს სააკაშვილი ასეთ რეჟიმში მაშინაც ჰყავდა, როცა მის გუნდს ფინანსურად ეხმარებოდა. ბიძინასგან აქამდე არაერთხელ გაგვიგია, სააკაშვილი მოვიდა, მთხოვა და ა.შ. როგორც ჩანს, სააკაშვილი ივანიშვილთან მისვლის, მითითებულ ადგილას ჯდომისა და თხოვნის მუდმივ რეჟიმში აქამდეც იყო!

**— ეს მას ხელს არ უშლის, რომ რამდენიმე საათით ადრე გამოიწვიოს პრემიერის ძალოვანი უწყებები, დააბრალოს ქრთამის აღება პატრულს, კანონდარღვევით დანიშნოს მთავრობისთვის მიუღებელი პირი გუბერნატორად?**

— სამწუხაროდ, უკვე მივეჩვიეთ, რომ ქვეყნის პირველი პირი ხშირად უარგუმენტო და უსაფუძვლო ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას. ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი სიცრუეა, თითქოს პატრულის მხრიდან ქრთამის აღების ფაქტი პირველად გამოვლინდა — მთავარი პროკურატურიდან და სასამართლოდან მონაცემები რომ გამოვითხოვოთ, ვნახავთ, დაარსების დღიდან დღემდე, პატრულის თანამშრომლების მიმართ სისხლის სამართლის რამდენი საქმეა აღძრული ქრთამის აღებაზე. ალბათ, ახლა შს ცდილობს, სააკაშვილს უაზრო პოლემიკაში არ შეყვეს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, საზოგადოებისთვის ინფორმაცია მოეწოდებინათ, რა და როგორ არის სინამდვილეში. რაც შეეხება სააკაშვილის განწყობების სწრაფ ცვლას, მას, სამწუხაროდ, ორმაგი სტანდარტები ახასიათებს. იგი 9 წელი მოსახლეობას ჩარეცხილს, მუმიას, ჯოჯოებსა და ტარაკნებს ეძახდა — ეს ის ხალხია, ვისი პრეზიდენტიც იყო და ვისი პრეზიდენტობაც ახლაც სურს. დააკვირდით, რომელ რეგიონშიც ჩადის, იმ რეგიონზე ამბობს, რომ მისთვის ყველაზე საყვარელი ხალხი სწორედ იქ ცხოვრობს, უპრეცედენტო პროექტები სწორედ იქ განხორციელდა და ა.შ.

**— ყველასთვის მოულოდნელად, პრემიერმა სააკაშვილისადმი პატრიარქის განსაკუთრებულ სიყვარულსაც გაუსვა ხაზი — ამ განცხადებაშიც ფრაზებს შორის კითხვა მოგვიწევს?**

— ვერ ვატყობ, რომ პატრიარქს განსაკუთრებით უყვარს მიხეილ სააკაშვილი. შეიძლება, ივანიშვილმა ამით თავისი წინა საქციელი დააბალანსა, მიხვდა, რომ სააკაშვილი ამდენი ხალხის წინაშე დაამცირა და მისი ასე გაშვება არ მოინდომა. ალბათ, პრემიერი ჯერაც თავის რეალურ განწყობას უჩვენებს სააკაშვილს, ვერ ხვდება, რომ პოლიტიკაშია და ხანდახან ბალანსია ხოლმე საჭირო. აი, სად დათო უსუფაშვილისა და სააკაშვილის შეხვედრა — რომ არ გვცოდნოდა, რა ბატალიებიც იყო მათ შორის ცოტა ხნის წინ, შესაძლოა, ახლო მეგობრებადაც კი ჩაგვეთვალა. ესაა პოლიტიკა! ივანიშვილმა კი სააკაშვილს შეხვედრის დაწყებისთანავე უჩვენა, ვინ არის „სახლში“ მთავარი. ერთი სიტყვით, ჩანდა, სააკაშვილი მის მითითებებს დაემორჩილა.

**— სააკაშვილი არ ჰგავდა დამორჩილებულს, როცა მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას, პრემიერის თანდასწრებით თქვა, ჩვენი პატრიარქი არ დაუშვებს საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებასო!**

— სააკაშვილმა ეს თემა ომსა და ოკუპაციას ისე მიაბა, თითქოს, ბიძინას არ უკავშირდებოდა. სინამდვილეში, ყველამ ძალიან კარგად ვიცით მისი აზრი გამონათქვამებიდან გამომდინარე, რომ ახლა ხელისუფლებაში სწორედ რუსეთის ჯაშუშები გვყავს, რომლებიც პრორუსულ ორბიტაზე ტრიალებენ. რა უნდა ექნა ივანიშვილს, თავი ემართლებინა?! შესაბამისად, სააკაშვილმა გამოიყენა თავისი პიარტექნოლოგია და გზავნილი მაინც გაუშვა, რათა შემდგომ, თავის თანამოაზრეებთან მაინც ეტრაბახა, ივანიშვილს არ დავუთმეო. ვფიქრობ, მომხრეებს გზავნილი ორივე მხარემ გაუგზავნა. ერთი მხრივ, ივანიშვილმა მოახდინა დემონსტრირება, რომ ის მართავს სააკაშვილს ფსიქოლოგიურად, მიშამ კი თანამებრძოლებს გააგებინა, მე არ ვნებდებიო! პრინციპში, ისიც ყველასთვის გასაგები გახდებოდა, რომ რაღაც დონის კონსულტაციები მიმდინარეობს უმრავლესობა-უმცირესობას შორის.

**— რა იქნება შედეგი — საჯარო პირების ამნისტიის კანონის გაცვლა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცაში?**

— არ მინდა ვიფიქრო, რომ მოხდა შეთანხმება — შესაძლოა, პროკურატურამ თანამდებობის ყოფილი პირების მოქმედებების შეფასება შეწყვიტოს, „ოცნებამ“ კი პრეზიდენტს ძირითადი ბერკეტი ჩამოართვას უფლებამოსილების შეკვეცით. მე თავიდანვე ვეწინააღმდეგებოდი პოლიტიკურ ამნისტიას, ხოლო თუ მაინცდამაინც გვინდა ამ კანონის მიღება, მაშინ იმ საჯარო მოხელეთა კლასიფიკაცია უნდა მოვახდინოთ, ვინც მმართველ რგოლში არ იყო და უბრალოდ, დავალებას ასრულებდა.

**აი, მმართველი რგოლის მოქმედებები კი აუცილებლად უნდა შეფასდეს და განაჩენი სასამართლომ უნდა გამოუტანოს. ასეთი საქმეები ინდივიდუალურად უნდა განიხილონ და არა მასობრივი ამნისტიის კანონით. ამნისტია გვარებს ვერ განსაზღვრავს, ამიტომ, თუ კანონი შეეხება კონკრეტულ მუხლებს, მაშინ მისით როგორც დაბალი, ისე მაღალი თანამდებობის პირები ისარგებლებენ. როგორც კი ამნისტიის კანონპროექტის ტექსტი გამზადდება, უცებ გახდება გასაგები, საით მიდის პროცესი. თუ ამნისტია შეეხება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, უკვე შეგვიძლია გარიგებაზეც ვისაუბროთ.**

საერთოდ, ვფიქრობ, „ნაციონალები“ „ოცნების“ გარკვეულ ფრთასთან განსაკუთრებულ ურთიერთობას დაიჭერენ.

ისინი უკვე ცდილობენ დემონსტრირებას, რომ მათი აზრები „რესპუბლიკელების“ აზრებთან ახლოსაა. ამას „ნაციონალები“ სპეციალურად აკეთებენ, რათა ხალხში ამ აზრის ფორმირება მოხდეს. თან კოალიციაში შემავალ სუბიექტებს შორის შიდადაპირისპირებაზეც კარგად მუშაობენ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ „ნაციონალები“ კარგი პიარტექნოლოგები არიან — ისინი ეცდებიან, კოალიციის ზოგიერთ წევრთან ურთიერთობები დაათბონ და ძველი კავშირები აამოქმედონ.

**— სააკაშვილს სამოქმედოდ ჯერ კიდევ დიდი დრო აქვს.**

— მომავალი თვენახევარი ძალიან კრიზისული იქნება, რადგან კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას, დაახლოებით, თვე და 20 დღე სჭირდება.

**სააკაშვილი, ერთი მხრივ, ტექნოლოგიების კარგი მცოდნე, მეორე მხრივ, იმპულსური ადამიანია, რომლის გადაწყვეტილებები, ხანდახან, საღ აზრს ეწინააღმდეგება, ვნახოთ, რომელი იჭარბებს ამ თვენახევარში!**
**ახლა მიხეილ სააკაშვილს ორი ტიპის გადაწყვეტილების მიღება შეუძლია — ერთი, წავიდეს ვა-ბანკზე, როცა, შესაძლოა, დღევანდელი მდგომარეობა მისთვის ტკბილი მოგონება აღმოჩნდეს და ხალხის იმხელა აგრესია მიიღოს, ამ ტალღამ ყველა „ნაციონალი“ პოლიტიკური სცენიდან წალეკოს. მეორე — ეს ვადა ბოლომდე მიიტანოს და მისცეს თავის თანაპარტიელებს საშუალება, 4 წელი საპარლამენტო ტრიბუნა გამოიყენონ. საბოლოოდ, ნებისმიერი კრიზისი ვადამდელი არჩევნებით დასრულდება, რაც მას არ აწყობს.**

# „არც შემხვედრი სარჩელის მომზადებას ვგეგმავ და არც კომპენსაციის მოთხოვნას ვაპირებ, სულ სხვა გეგმები მაქვს!“



რუსუდან შელია
პოლიტიკა

## აღადგენს თუ არა „ქართულ პარტიას“ ირაკლი ოქრუაშვილი



**სამსახურეობრივი გულგრილობა, უკანონო შეიარაღებული ფორმირების მეთაურობა, „ჯეოსელის“ აქციების უკანონოდ დაუფლების მცდელობა, ქრთამის აღებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვა — თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელსაც აღნიშნული ოთხი ბრალდება ჰქონდა წაყენებული, თავისუფალია. მასთან ერთად, პატიმრობიდან უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისთვის ბრალდებული ხუთი პირიც გაათავისუფლეს. ხუთწლიანი დევნილობის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული ყოფილი მინისტრის მისამართით არაერთი კითხვა დაგროვდა, თუმცა ირაკლი ოქრუაშვილი, ამ ეტაპზე, მედიის წარმომადგენლებთან სამომავლო გეგმებზე საუბრისგან თავს იკავებს. ყოფილი მინისტრის განცხადებით, მხოლოდ რამდენიმე დღე სჭირდება იმისთვის, რომ ყველა შეკითხვას ვრცლად და კონკრეტულად უპასუხოს. მანამდე კი „ვერსია“ ირაკლი ოქრუაშვილთან ბლიც-ინტერვიუს გთავაზობთ.**

**— ბატონო ირაკლი, დღეს, როცა სასამართლომ ორი ბრალდება მოგიხსნათ, ხოლო დანარჩენ ორ ბრალდებაზე გირაო შეგიფარდეს და თავისუფალი ხართ, ხუთწლიანი პოლიტიკური დევნის პასუხად რას მოიმოქმედებთ, შემხვედრი სარჩელის მომზადებას ან თუნდაც, კომპენსაციის მოთხოვნას არ გეგმავთ?**

— არც შემხვედრი სარჩელის მომზადებას ვგეგმავ და არც კომპენსაციის მოთხოვნას ვაპირებ. დღეს სულ სხვა გეგმები მაქვს.

**— კონკრეტულად, რა შედის თქვენ გეგმებში?**

— ამ კითხვაზე ცოტა მოგვიანებით გიპასუხებთ, რამდენიმე დღეში მედიის წარმომადგენლებს შევხვდები და ჩემი მომავალი ნაბიჯების შესახებ ვრცლად და კონკრეტულად, ამის შემდეგ ვისაუბროთ. გპირდებით, თქვენ არც ერთ კითხვას უპასუხოდ არ დავტოვებ.

**— რაც შეეხება თქვენს პარტიას, რომელიც დაშლილია და რომელშიც, ფაქტობრივად, თეო ტლაშაძის გარდა, არც არავინ შემოგრჩათ, მის აღდგენაზე ფიქრობთ?**

— ვფიქრობ, ვფიქრობ...

**— ეს ავტომატურად, ნიშნავს, რომ პოლიტიკაშიც ბრუნდებით?**

— არ ვიცი... ხომ გითხარით, ჯერ ვერაფერს ვამბობ.

**— ალბათ, უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ, ახალი ხელისუფლების პირობებში, რა ნიშას დაიკავებთ. აპირებთ „ქართული ოცნების“ ლიდერთან, რომელიც თქვენი პარტიის მისამართით კრიტიკას არ იშურებდა, შეხვედრას ან თანამშრომლობას?**

— ამ ეტაპზე, რეალურად, ჩამოყალიბების სტადიაში ვარ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, დრო გვიჩვენებს ყველაფერს.

**— ეროსი კიწმარიშვილზეც გკითხავთ. თქვენ შორის განხეთქილების მიზეზი რეალურად, ბიძინა ივანიშვილი გახდა თუ გარკვეულ საკითხზე ვერ შეთანხმდით თქვენი პარტიის თანათავმჯდომარესთან?**

— ეს საკითხი ჩემთვის აბსოლუტურად უინტერესოა, მის ირგვლივ საუბარიც არ ღირს, რადგან თავად ეროსი კიწმარიშვილმა დაკარგა ჩემთვის აქტუალობა.

**— არც თქვენ ყოფილ ადვოკატ ეკა ბესელიაზე გსურთ საუბარი, რომელსაც თქვენი თანაგუნდელები პოლიტპატიმართა სიიდან თქვენი ამოღების გამო ერთპიროვნული და ცინიკური გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებდნენ?**

— რა ან რამდენი უნდა ვისაუბრო ეკა ბესელიაზე?! პირდაპირ გეტყვით, ეროსი კიწმარიშვილთან ერთად, ჩემთვის ბესელიამაც დაკარგა აქტუალობა.




# საქართველოს პარლამენტმა პატიმრების ამნისტია დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა, დაახლოებით, 3 000 პატიმრის გათავისუფლებასა და ათასობით პატიმრისთვის საპატიმრო ვადის შემცირებას. საქართველოს წინა ხელისუფლებას, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა, პატიმრების წამებასთან დაკავშირებულმა სკანდალმა დარტყმა მიაყენა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ახალი მთავრობა, რომელიც პრეზიდენტის ოპონენტია, აცხადებს, რომ ბევრი ადამიანი უსამართლოდ იყო დაპატიმრებული. მაგრამ სააკაშვილმა ამნისტიას „კრიმინალების მასობრივი გათავისუფლება“ უწოდა და განაცხადა, რომ ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება. პატიმრების პირველი ნაწილის გათავისუფლებას კვირას საღამოს ელოდებიან.

თბილისში **BBC**-ის კორესპონდენტ დემიენ მაკგინესის თქმით, ზოგიერთ ქართველს ეშინია, რომ ეს ნაბიჯი შეიძლება 1990-იანი წლების კრიმინალურ წლებთან დაბრუნებას ნიშნავდეს.

ბევრი ქართველი შიშობს, რომ ძლევამოსილი კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებიც ქვეყნიდან გაიქცნენ, როდესაც წინა მთავრობა ხელისუფლებაში იყო, დაბრუნდებიან, თუკი გადაწყვეტენ, რომ ახალი ადმინისტრაცია კრიმინალის მიმართ მკაცრი არ არის, — ამბობს მაკგინესი.

საქართველოში პატიმრების რიცხვი ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოში, მაგრამ არსებობს ბრალდებები, რომ ბოლო წლებში კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა სასტიკ ქმედებებში გადაიზარდა, — დასძენს იგი.

### დაძაბულობის ზრდა

ოქტომბრის არჩევნებამდე, ნაციონალური არხების მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ასახული იყო ციხის მცველების მხრიდან პატიმრების ცემა და მათზე სექსუალური ძალადობა.

სკანდალს ქუჩის საპროტესტო აქციები მოჰყვა და იმ დროს ოპოზიციის ლიდერ ივანიშვილს იმის შესაძლებლობა მისცა, მთავრობა სასტიკ ხელისუფლებად წარმოეჩინა. ბოლო დროს, ივანიშვილის მთავრობასა და სააკაშვილს შორის დაძაბულობა შეიმჩნევა მაშინ, როდესაც სააკაშვილი თანამდებობაზე უნდა დარჩეს ამ წლის ბოლოს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. გასულ თვეში სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტიის წევრებს დევნიან, როდესაც ყოფილი მთავრობის რამდენიმე მინისტრი სხვადასხვა ბრალდებებით დააპატიმრეს, თუმცა ახალი ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ის უბრალოდ, იძიებს ყოფილი მთავრობის დროს ჩადენილ დანაშაულებსა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს.



## საქალაქო სასამართლო ამნისტირებულ პატიმართა საქმეების განხილვას იწყებს

საქალაქო სასამართლოში იმ პატიმრების საქმეების განხილვა იწყება, რომელთაც ამნისტია შეეხო.

სასჯელაღსრულების სამინისტროდან სასამართლოში, ამ დროისათვის, უკვე 2 ათასზე მეტი საქმეა გადაგზავნილი. ამნისტირებულთა საქმეების განხილვა ორი თვის ვადაში უნდა დასრულდეს.

წინასწარი მონაცემებით, საქალაქო სასამართლოს ყოველ მოსამართლეზე, დაახლოებით, ათასი საქმე მოდის განსახილველად, უპირატესად, განიხილება იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომელთაც მთლიანად ეხება ამნისტია.

შეგახსენებთ, რომ ამნისტიის კანონი სულ 18 ათასზე მეტ პატიმარს შეეხო, მათგან 3 ათასი უნდა გათავისუფლდეს, ნაწილს კი სასჯელი შეუმსუბუქდება.

*„ნიუპორტი“*

## საფრანგეთის პრესა 21 ქართველის დაკავების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს



საფრანგეთში 21 ქართველია დაკავებული. აღნიშნული ფაქტის შესახებ ფრანგული პრესა წერს. მათი ინფორმაციით, სპეცოპერაცია ბოლო დღეების განმავლობაში ჩატარდა. ჟურნალისტები ჟანდარმერიაზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ ქართველები ევროპაში რუსულ მაფიასთან კავშირში იმყოფებიან. დანაშაულებრივ ჯგუფს ბრალად ედება ასობით საბანკო ბარათის მოპარვა, რომლის საშუალებითაც, ანგარიშებს ტეხდნენ. საქართველოს საელჩოს საფრანგეთში სპეცოპერაციისა და ქართველების დაკავების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ მიუღია, თუმცა, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან გახდა ცნობილი, დაკავებულებს ნამდვილად აქვთ ქართული გვარები, მაგრამ ბევრი მათგანი საქართველოს მოქალაქე არ არის.

*„ნიუპორტი“*

## ყოფილი პოლიტპატიმრები უკანონო პატიმრობას პროკურატურაში გაასაჩივრებენ



ყოფილი პოლიტპატიმრები — გიორგი დემეტრაძე, ვახტანგ მაისაია და ლევან გოგიჩაიშვილი უკანონო პატიმრობას პროკურატურაში გაასაჩივრებენ.

ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე, ფულად კომპენსაციასთან ერთად, იმ მაღალჩინოსანთა დასჯას მოითხოვს, რომლებიც უშუალოდ, მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ოპოზიციური მოძრაობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი აბსოლუტური გასამართლებისთვის იბრძოლებს, ვახტანგ მაისაია კი აპირებს, ჰააგის სასამართლოს მიმართოს, რათა მისი საქმე სამხედრო ტრიბუნალმა განიხილოს.

**„უპირველეს ყოვლისა, დაველაპარაკებით ადვოკატს და შემდეგ შევიტანთ სარჩელს პროკურატურაში. ჩვენ 100 პროცენტით ვართ დარწმუნებულები, რომ საქმეს მოვიგებთ. რაც შეეხება ფულად კომპენსაციას, სანამ დამიჭერდნენ, ვემზადებოდი თბილისში და უნდა წავსულიყავი ერთ-ერთ გუნდში. მქონდა მოწვევა კიევიდან. ფულად კომპენსაციასაც მოვითხოვ და აუცილებლად უნდა დაისაჯონ ის მაღალჩინოსნები, რომლებმაც შემსრულებლებს ეს საქმე დაავალეს“,** – აღნიშნა დემეტრაძემ.

*„მედიანიუსი“*

მსოფლიო საქართველოზე

# საქართველო პოლიტიკურ პატიმრად მიჩნეულ 190 ადამიანს ათავისუფლებს

ოლესია ვართანიანი,
ენდრიუ კრამერი

The New York Times

**კვირას, საქართველომ 190 პატიმარი გაათავისუფლა, რომლებსაც კანონმდებლებმა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიანიჭეს. ეს პატიმრების პირველი ჯგუფი გახლდათ, რომელიც ახალი პარლამენტის მიერ შარშან მიღებული მასშტაბური ამნისტიის კანონის ფარგლებში გათავისუფლდა.**

„ვფიქრობდი, რომ ეს დღე არასდროს დადგებოდა", — თქვა ერთ-ერთმა პატიმარმა დავით მესხიძემ, ყოფილმა სამხედრო ინჟინერმა, მას შემდეგ, რაც თბილისის შემოგარენში მდებარე ციხე დატოვა და საკუთარ დას გადაეხვია. პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ამნისტიის კანონი არ მოიწონა, მაგრამ პარლამენტმა საკმარისი ხმა მოაგროვა ამ კანონის მისაღებად მისი ხელმოწერის გარეშე. ამნისტია ახალი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირების ხორცშესხმაა. ივანიშვილმა მაშინ პირობა დადო, რომ გადავსებულ ციხეებში პატიმრების რიცხვს შეამცირებდა და გაათავისუფლებდა ადამიანებს, რომლებსაც პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევდა.

გათავისუფლებულ პატიმრებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ სამხედრო ამბოხში, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობასა და უკანონო პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობაში. მომდევნო ორი თვის განმავლობაში, ამნისტიის კანონით სარგებლობა შეუძლიათ, ასევე აპოლიტიკური მოტივით, სისხლის სამართლის დანაშაულებში ბრალდებულ პატიმრებს. ამნისტიის კანონი ციხეებიდან ათავისუფლებს 3 000-მდე პატიმარს, ხოლო 14 000-ზე მეტს საპატიმრო ვადა უმცირდება.

ბ-ნი ივანიშვილის პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" შარშან ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, რითაც ნიადაგი მომზადდა ძალაუფლებისთვის ბრძოლისთვის პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის. სააკაშვილი, რომლის პოპულარობაც შემცირდა მისი მეორე ვადის დასასრულისთვის, ოქტომბერში, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა გადადგეს. კანონით განსაზღვრული ვადებით, მას ხელახლა კენჭისყრის უფლება არ აქვს, მაგრამ მანამდე, პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა ძალაუფლება უნდა გაიზიარონ და ამნისტიის კანონი ერთგვარი ადრეული ტესტია, რომელიც გამოცდის იმას, როგორ იმუშავებს ეს შეთანხმება.

ბ-ნმა მესხიძემ, რომელმაც ციხე კვირას დატოვა, განაცხადა, რომ ოჯახი 2010 წლის შემდეგ არ უნახავს, როდესაც ის და კიდევ 12 ადამიანი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს. მან თქვა, რომ უდანაშაულო იყო და სააკაშვილის პროკურორებმა მთელი ეს საქმე შეთითხნეს, რადგან საქართველოში რუსეთისადმი „ზიზღის გაღვივება" სურდათ. ეს ორი ქვეყანა 2008 წელს ერთმანეთს ეომებოდა და კონფლიქტის შემდეგ, მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია.

**„ორი წლისა და სამი თვის განმავლობაში ვცდილობდი გამეგო, რატომ შემემთხვა ეს"**, — თქვა მესხიძემ, — **„ჩემი სამშობლოსთვის ცუდი არაფერი გამიკეთებია და მას ყოველთვის პირნათლად ვემსახურებოდი. უბრალოდ, არ გამიმართლა".**

ასობით ადამიანმა მოიყარა თავი კვირას, თბილისის შემოგარენში მდებარე ციხესთან. ისინი აპლოდისმენტებითა და ცრემლებით შეეგებნენ პატიმრების პირველ ჯგუფს, რომლებიც ჭიშკართან გამოჩნდნენ.

შარშან, საპარლამენტო კომისიამ პატიმრების 190-კაციან ჯგუფს, რომლებიც კვირას გათავისუფლდნენ, პოლიტიკური პატიმრების სტატუსი მიანიჭა და ისინი პირველები გაათავისუფლა. ყველა ყოფილი მთავრობის ოპონენტი იყო.

ბ-ნი სააკაშვილი კატეგორიულად არ დაეთანხმა მათ, ვინც განაცხადა, რომ ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებული იყო. **„ახალმა მთავრობამ დღეს რუსეთის აგენტები გაათავისუფლა"**, — განაცხადა სატელევიზიო მიმართვაში, — **„ახლა ყველა ფიქრობს: „რა კარგია, რომ ადამიანები გათავისუფლდნენ", მეც ბედნიერი ვიქნებოდი, რომ არ ვიცოდე, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. ეს პრობლემაა სახელმწიფოსთვის, მისი უსაფრთხოებისთვის".**

პრეზიდენტმა ამნისტიის კანონს ხელი არ მოაწერა, მაგრამ პარლამენტმა, რომელშიც დღეს სააკაშვილის ოპონენტები დომინირებენ, კოალიცია „ქართული ოცნების" სახით, იოლად დაძლია ვეტო დეკემბრის ბოლოს.

**„დღეს სინდისი გავუსუფთავეთ ჩვენს ქვეყანას"**, — განაცხადა პარლამენტის წევრმა და ამნისტიის კანონის ავტორმა ეკა ბესელიამ, გათავისუფლებულ პატიმრებთან შეხვედრის შემდეგ, — **„ეს ადამიანები სააკაშვილის პირადი პატიმრები იყვნენ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახლა, საქართველოს პოლიტიკური პატიმრები არ ჰყავს და შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ცივილური სამყაროს ღირსეული წევრები ვართ".**

კვირას გათავისუფლებულ პატიმრებს შორის რუსეთის ორი მოქალაქეა, რომელთა გათავისუფლებასაც მოსკოვი მოითხოვდა. ერთ-ერთი, 50 წლის პავლე ბლიაძე რუსეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი, იარაღის უკანონო ფლობაში იყო ბრალდებული.

**„საქართველოში სამი თვით, დასასვენებლად ჩამოვედი და დავრჩი აქ სამი წლით ციხეში"**, — განაცხადა ბლიაძემ, — **„საქართველოს უშიშროების ძალებმა მთხოვეს, კამერის წინ მეღიარებინა, რომ ფული ჩამოვიტანე სამხედრო აჯანყების ორგანიზატორებისთვის. არ დავთანხმდი და მათ ციხეში გამიშვეს".**



პოლიტპატიმრები

ინტერვიუ „ნიბა ინვესტის" ერთ-ერთ მფლობელ ბაკურ კილურაძესთან

# ბაკურ კილურაძე: „ჩემს განაჩენში ნათლად მიწერია, რომ ვარ დერჟინსკის იდეების მომხრე"



**– თქვენ ამნისტიის შედეგად დატოვეთ ციხე, როგორ აღმოჩნდით საპატიმროში?**

– ამ კითხვაზე უცნაური პასუხი მაქვს. მართლა არ ვიცი, როგორ და რატომ აღმოვჩნდი იქ, სადაც აღმოვჩნდი. ძალიან მინდა გავარკვიო, რა მოხდა რეალობაში.

**– ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიის, მსხვილი პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ერთ დღეს, საპატიმროში ხვდებით. რამე კონკრეტული წინაპირობები ჰქონდა ამ ფაქტს. მაგალითად, დაგიკავშირდნენ, რამეს ითხოვდნენ... ეს იყო ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული თუ სხვა რაიმე ინტერესები ჰქონდათ ყოფილ სამართალდამცავებს, რომელთაც თქვენი საქმე ჰქონდათ ჩაბარებული და იძიებდნენ?**

– ნამდვილად არავითარი წინაპირობა არ არსებობდა. არანაირი ურთიერთობა, არავითარი შეხების წერტილი სამართალდამცველებთან მანამდე არ მქონია. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩემი ურთიერთობა იყო ზუსტად საათნახევრიანი, 2010 წლის 13 ივლისს. ამის შემდეგ, არც ერთი ადამიანი შინაგან საქმეთა სამინისტროდან არ მინახავს, არც შემხვედრია, არც ჩვენება მიმიცია და არც არაფერი.

**– მაშინ, რა იყო თქვენი დაკავების მიზეზი?**

– ძალიან მინდა, ეს გავარკვიო და ეს კითხვა დავუსვა მას, ვისაც ამაზე პასუხის გაცემა შეუძლია.

**– ოფიციალურად, რა ბრალდებით იყავით დაპატიმრებული ?**

– ოფიციალური ვერსია ასეთია, რომელიც განაჩენში მიწერია, რომ ვიყავი ფელიქს დერჟინსკის იდეების მომხრე. მართალი გითხრათ, გამიგია და ვიცი, რომ არსებობდნენ მარქსისტები, ლენინისტები, სტალინისტები, კოსმოპოლიტები, გლობალისტები, მაგრამ დერჟინსკისტები თუ არსებობდნენ, ასეთი რამე პირველად გავიგე. განაჩენში ნათლად მიწერია, რომ ვარ დერჟინსკის იდეების მომხრე. ძალიან მაინტერესებს, ეს რა მიმართულებაა, რა მოძღვრებაა, ვის ემსახურება და ა.შ.

**– თქვენი სასამართლო პროცესები დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა და საზოგადოებისთვის რეალური ინფორმაცია უცნობია. დღეს რისი იმედი გაქვთ, ამ საქმის გამოძიება რა ფორმით უნდა მოხდეს, მიმართავთ პროკურატურას თუ როგორ აპირებთ იმის გარკვევას, რატომ აღმოჩნდით ციხეში?**

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ კიდევ 2010 წელს მივმართე, რათა საქმეზე გრიფი „საიდუმლო" მოეხსნათ, მივმართე სასამართლოს, პროკურატურას, სახალხო დამცველს, ასევე დღევანდელ შს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს სამგზის თხოვნით და იმედი მაქვს, ასეც მოხდება. ეს მინდა იმისთვის, რომ ერთობლივად გავარკვიოთ, რაშია საქმე. მე მინდა, ეს იყოს საჯარო განხილვა.

**– თქვენ ჯაშუშობის ბრალდება გქონდათ წაყენებული... დღეს, როდესაც უკვე თავისუფალი ხართ, რა მიზნები გაქვთ. ის პროექტი და საქმეები, რომლებსაც აკეთებდით, მაგალითად, „დელისის" სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, გაჩერებული იყო. თქვენმა პარტნიორმა ნიკო ლეკიშვილმა განგვიცხადა, რომ მათ საშუალებაც კი არ ჰქონდათ, თქვენთან შეეთანხმებინათ რაიმე, იმდენად რთული იყო კომუნიკაცია საპატიმროში თქვენი ყოფნის პერიოდში. დღეს რას აპირებთ?**

– „დელისის" მართვას დღეს ჩამოშორებული ვარ. სამწუხაროდ, არ მაქვს საშუალება, ამ საქმეში მივიღო მონაწილეობა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**– საქართველოში დღეს არსებულ ბიზნესგარემოს როგორ უყურებთ, ექნებათ ადამიანებს სურვილი, ქვეყანაში ბიზნესი დაიწყონ, ხომ არ გაჩნდება შიში, რომ კიდევ ვიღაც ხელისუფლებიდან ზუსტად ისე მოექცევა, როგორც ერთ დროს თქვენ მოგექცნენ და, შესაბამისად, ეს უკვე გაართულებს ინვესტორებთან ურთიერთობას?**

– არა მგონია, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაიმეოროს იგივე შეცდომები, რაც წინა ხელისუფლებას ჰქონდა. ვფიქრობ, შეცდომები, რომელიც მოუვიდა სააკაშვილის ხელისუფლებას, იყო ახალგაზრდობით, გამოუცდელობით გამოწვეული, რომლებმაც, სამწუხაროდ, ღრმა კვალი დატოვა თითოეულ ჩვენგანზე. ასეთი შეცდომებისა და შედეგების შემდეგ არა მგონია, მომავალში, კიდევ ვინმემ ანალოგიური შეცდომა დაუშვას.

**– ანუ ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ფულის ჩადების მსურველებს უნდა ჰქონდეთ იმედი, რომ ქვეყნის ხელისუფლება, თუნდაც საგადასახადო თუ სასამართლო პოლიტიკა, თავისუფალი იქნება და სხვა ბიზნესმენები ერთ დღეს საპატიმროებში აღარ აღმოჩნდებიან?**

– რასაკვირველია. ჩვენ ხომ ქვეყანა კი არა, წალკოტი გვაქვს და ჩვენი ცხოვრების წესი უნდა ვაქციოთ წალკოტად. მაშინ ინვესტორების დიდი რიგი დადგება, რომლებიც შეგვეხვეწებიან ამ მიწაზე, ამ სივრცეში თავიანთი ინტერესები დააბანდონ.

**– ამ პროცესებს რა დრო დასჭირდება?**

– რა გითხრათ, ეს შეიძლება, ძალიან მალეც მოხდეს. აქ პირად ურთიერთობებზეა საუბარი, ნდობაზე. მთავარია, ენდონ ჩვენს ქვეყანას, თითოეულ ჩვენგანს, ხელისუფლებას, თითოეულ ბიზნესმენს და ეს მოიტანს შედეგებს. ნდობა კი ურთიერთობას მოაქვს.

*„კომერსანტი"*

# „ის ხალხი, ვინც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსაყვანად უკანასკნელი გაიღო, ისევ გულნატკენი და ჩაწიხლულია, ეს ბატონმა ბიძინამ აუცილებლად უნდა იცოდეს!“

ნელი თორდია

**განათლების მინისტრმა ორი უმსხვილესი ცენტრის — მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორებს თანამდებობები დაატოვებინა. რატომ უწუნებს განათლების მინისტრს საკადრო პოლიტიკას, რომელ დაპირებას ახსენებს და რის შესახებ აფრთხილებს ახალ ხელისუფლებას პედაგოგთა ლიგის პრეზიდენტი და განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი.**

## რატომ ითხოვს კახა ლომაიას დაბრუნებას და რის გამო გადაწყვიტა დუმილის დარღვევა მანანა ნიკოლაიშვილმა



— მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებიდან 100 დღის გასვლამდე, არ ვაპირებდი ამ თემაზე საუბარს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, დუმილის დარღვევა გადავწყვიტე. უახლესი ინფორმაციით, გათავისუფლებულია განათლების სისტემის ორი მნიშვნელოვანი ცენტრის ხელმძღვანელი, თუმცა მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. მოგეხსენებათ, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელსაც საზოგადოება აკრედიტაციის ცენტრის სახელით იცნობს, განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომლის დასტურის გარეშე, ვერც ერთი საგანმანათლებლო ობიექტი ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.

**— არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აკრედიტაციის ცენტრის სახელი ხშირად უკავშირდებოდა კორუფციულ გარიგებებს.**

— ცენტრის საქმიანობა ხარვეზების სიმრავლითა და კორუფციული გარიგებების სიუხვით გამოირჩეოდა, მაგრამ თანამდებობიდან ახლახან გათავისუფლებული კორძაძე დიდი ხნის დანიშნული არ გახლდათ და ყველა ცოდვას მას ნუ მივაწერთ... შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ჩაწყობის, გარიგებებისა და ნაცნობობის ფონზე, ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების ჯერ ინსტიტუციური და შემდეგ, პროგრამული აკრედიტაცია, წარმოუდგენელი კორუფციული გარიგებების ფონზე წარიმართა კერძო სკოლების ავტორიზაცია. კერძო სკოლებს ავტორიზაციის მიღებისთვის ლაბორატორიების შეძენას ავალებდნენ და სკოლა იძულებული იყო, მასში რეალურ ღირებულებაზე ათმაგად მეტი გადაეხადა, ვითომდა ტენდერში გამარჯვებული ერთი კონკრეტული ფირმისთვის, რომელსაც სამინისტრო „კრიშავდა“. აი, ესაა ელიტური კორუფციის კლასიკური ნიმუში, როცა უმაღლესი ხელისუფლების ლობირებულ ფირმებს გაათმაგებულ ფასებში შემოაქვთ ინვენტარიც, ლაბორატორიებიცა და სათვალთვალო კამერებიც. თუკი რომელიმე სკოლა, ელზა ლეკვეიშვილის „მილენიუმის“ მსგავსად, ურჩობას გაბედავდა, ავტორიზაციის ოქმებში ხარვეზს უფიქსირებდნენ ან საერთოდ ხურავდნენ. ახალ ხელისუფლებას თუ სისტემაში სამართლიანობის აღდგენა და ელიტური კორუფციისგან გათავისუფლება უნდა, წესრიგის დამყარება სწორედ განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრიდან უნდა დაიწყოს.

**— საკადრო ცვლილებების პარალელურად, მუშაობას აგრძელებს გია დვალის სახელმწიფო კომისია, რომელმაც სხვა დოკუმენტებთან ერთად, მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კონცეფციაც შეიმუშავა. ახალ კონცეფციაზე რას გვეტყვით?**

— სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს. კონცეფცია ჰქვია, თორემ ფაქტების კონსტატაციის გარდა, არაფერია და იმდენად არასწორად არის გაკეთებული, რომ ჩანასახშივე უნდა განადგურდეს.

**იცით, ვინ მუშაობდა კონცეფციის შედგენაზე? სოფო გორგოძე, თამარ მოსიაშვილი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მანანა რატიანი და ია ანთაძე. როგორც ვიცი, ზოგადი განათლების მართვის კონცეფციაზე მუშაობს სიმონ ჯანაშია. ია ანთაძის გარდა, ყველა კახა ლომაიასდროინდელი სამინისტროს თანამშრომელი და კრახით დასრულებული რეფორმის შემოქმედია. თუნდაც სოფო გორგოძე, რომელიც კახა ლომაიას ყოფილი თანაშემწე და წლების განმავლობაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი იყო. ეს ხალხი თანამდებობებიდან სწორედ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ვერ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა ანუ ვერ შექმნეს მასწავლებლის კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების სქემა და ახლა ამას როგორ მოახერხებენ? ამასთან, მაინტერესებს, თუ სისტემაში ლომაიასდროინდელი ხალხი უნდა დაბრუნდეს და კონცეფციები გვიწეროს, მაშინ რატომ მოხდა ხელისუფლების ძირეული ცვლილება? მხოლოდ ფასადურად ვცვალოთ და ივანიშვილისა და დვალის ავტორიტეტებს ისევ ძველი კადრები ამოვაფაროთ?**

**— მარგველაშვილის უწყებაში ყველაზე ძლევამოსილი განათლების მინისტრის კადრების გამოჩენა კახა ლომაიას სისტემაში დაბრუნებას ხომ არ მოასწავებს? თუ გავითვალისწინებთ, რომ ბატონი კახას ძმა ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირია, მგონი, ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს..**

— ლომაიას ძმა წლების განმავლობაში „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტად მუშაობდა და, როგორც ვიცი, ამჟამადაც ბატონ პრემიერთან დაახლოებული პირია, მაგრამ თუ ასეა, რაღა შორიდან გვივლიან? თუკი სისტემა ისევ ლომაიას კადრებმა უნდა მართოს და ძირეული დოკუმენტები უნდა გვიწერონ, ბარემ თავად ლომაია დააბრუნონ. სოფო გორგოძეს ნამდვილად აჯობებს და ამასთან, ბევრად დემოკრატიული მაინც იყო, ვიდრე ყველა შემდგომი განათლების მინისტრი.

**— ხუმრობთ?**

— სრულიად სერიოზულად გეუბნებით. კანონის მიღება იყო თუ სხვა სახის მსჯელობა, სამინისტროს მუშა-თათბირებზე შეგვეძლო მივსულიყავით და მიგვეტანა ჩვენი მოსაზრებები. სხვა საქმეა, რამდენად ითვალისწინებდა, მაგრამ ფორმალურად, რასაც საჯაროობა ჰქვია, კახა ლომაიას ნამდვილად არ აკლდა. კონცეფციას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ არ მესმის, რატომ ავალებენ კონცეფციების შექმნას ასეთ ხალხს, რატომ არავინ იღებს ამაზე ხმას?

**განათლების სისტემაში ხალხი ღელავს, ამიტომ ვაცხადებ, რომ სამინისტროს საკადრო პოლიტიკა არაფრად ვარგა. სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელი და უნიჭიერესი ადამიანი გია დვალი მოწყვეტილია საქართველოს რეალობას. ძალიან დატვირთულია და მსოფლიო კვლევებს ატარებს ისეთ ურთულეს ფუნდამენტურ მეცნიერებაში, როგორიცაა ფიზიკა და, შესაძლოა, თვალი ვერ მიადევნა, ვინ რას აკეთებდა და ან აფუჭებდა ამ წლების განმავლობაში, მაგრამ ვიღაც ამაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს.**

**— ქალბატონო მანანა, შესაძლოა, მასწავლებელთა სერტიფიცირების გამოცდები იგივე ფორმით დარჩეს, როგორც აქამდე იყო.**

— თავის დროზე, ბატონი ბიძინა ამბობდა, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები არსებული ფორმით არ დარჩებოდა და მეც იგივე აზრზე ვარ. თუ საკანონმდებლო ცვლილებები არ გატარდა და ყველაფერი იგივე დარჩა, მაშინ ეს საქმე სასამართლოს განსჯადი და საერთაშორისო არენაზე გასატანი იქნება. ჩვენ დავიწყებთ იმის კვლევას, რატომ იჭრებოდნენ ამ გამოცდებზე მასწავლებლები მასობრივად.

**როგორც ამბობენ, არსებობდა ხელისუფლების დაკვეთა — ბიუჯეტში თანხების სიმცირის გამო, რაც შეიძლება მეტი მასწავლებელი ჩაეჭრათ გამოცდებზე და რაც შეიძლება ნაკლები დანამატები გაეცათ ხელფასებზე. ეს იყო პოლიტიკური დაკვეთა, რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრი ასრულებდა. აქვე მინდა გაგახსენოთ ივანიშვილის დაპირება — ჩვენი მოსვლის პირველივე ეტაპზე მასწავლებლის ხელფასი 500 ლარი გახდებაო. სად არის ეს 500-ლარიანი ხელფასი? 70-80-ლარიანი ნამატი 500 ლარს არ ნიშნავს, რადგან მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 245 ლარია. ამას რომ 70 და 80 ლარი დაემატება, 315 და 325 გახდება და არა 500 ლარი. ასე რომ, ჯერჯერობით, არც მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობაზე შეუსრულებიათ დანაპირები და არც განათლების ხარისხზე დაუწყიათ ზრუნვა, რადგან კლასებში ძველებურად 40 და 45 მოსწავლე ზის და მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებას არავინ აპირებს. არც დახურული სკოლების აღდგენის მიმართულებით ჩანს სასიკეთო ძვრები.**

**— განათლების სამინისტრომ განაცხადა, რომ დახურული სკოლების აღდგენა ხანგრძლივი პროცესია და ამის უცებ გაკეთება ვერ მოხდება.**

— საკითხის შემსწავლელი კომისია მაინც შეექმნათ. საგანმანათლებლო ობიექტები პრეზიდენტმა გაასხვისა და, მოქმედი კანონმდებლობით, ბერკეტები ჯერაც მის ხელთაა. პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის ძალისხმევით, სახელმწიფო კომისიამ ეტაპობრივად უნდა გამოგლიჯოს მოძალადეებს საგანმანათლებლო ობიექტები. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ამ საკითხზე თავისი პოზიცია ისევე, როგორც პოლიტიკური ნიშნით დევნილ მასწავლებლებთან მიმართებაში. საერთოდ, რას ნიშნავს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გაშვებულების საქმეების შესწავლა? სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ სააკაშვილის დროს სკოლიდან გაშვებული ყველა ადამიანი პოლიტიკური ნიშნითაა გათავისუფლებული. არავინ გაგიშვებდა თუ „ნაციონალი“ იყავი და ეს ბავშვმაც კი იცის. ან რას ნიშნავს, მიშამ რომ ცუდი გააკეთა და ხალხი სამსახურებიდან გამოყარა, ბიძინამაც ხომ არ უნდა გაიმეოროსო? გამოდის, სააკაშვილის „ჩარეცხილები“ ჩარეცხილებად უნდა დარჩნენ და თანამდებობებზე ისევ ნაციონალებმა იპარპაშონ? თუ „ოცნება“ ფიქრობს, რომ მარტო ამნისტიაა საკმარისი, ძალიან ცდება. ის ხალხი, ვინც ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსაყვანად ყველაფერი გააკეთა და უკანასკნელი გაიღო, ჯერჯერობით, ისევ გულნატკენი და დაწიხლულია, ეს კი ბატონმა ბიძინამ აუცილებლად უნდა იცოდეს.

## ბაღებში გადასახადი აიკრძალება



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება, ასევე სასწავლო-აღმზრდელობითი და სამუშაო რეჟიმის დადგენა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებად განისაზღვრება, ამასთან, გადასახადის, ტარიფის ან რაიმე სხვა საფასურის შემოღება იკრძალება. დეპუტატ თინათინ ხიდაშელის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში ოფიციალურად უკვე ინიცირებულია. ცვლილებები კი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონებში შედის. პროექტის თანახმად, საბავშვო ბაღებში სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის მოქმედების წესებსა და სამუშაო რეჟიმის დებულებას, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, საკრებულო დაამტკიცებს.

ამ კანონებითვე განისაზღვრება, რომ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები — ორი თვიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისთვის იქმნება და კომპლექტდება ჯგუფებად, ასაკის გათვალისწინებით; მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით, შეიძლება იყოს 9, 10 ან 12-საათიანი, 2 დღის დასვენებით 5-დღიან სამუშაო კვირაში; უნდა ახორციელებდნენ საგანმანათლებლო და ფიზიკური აღზრდის სპეციალურ პროგრამებს; პროგრამა შედგენილი უნდა იყოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის და მიმართული უნდა იყოს გონებრივი და ფიზიკური განმტკიცებისა და ბავშვის ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების სრულყოფისკენ. ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასმელი და ცხელი წყლით, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით, ასევე ბავშვთა სრულფასოვანი და მრავალფეროვანი კვებითა და ექიმის მომსახურებით.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მაია ფანჯიკიძის განცხადება სკანდალის საფუძვლად იქცა



საქმე ეხება აზერბაიჯანის ელჩის მეირ დასმულ კითხვას და მასზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პასუხს.

აზერბაიჯანის ელჩმა მაია ფანჯიკიძეს ჰკითხა: **„ბრძანეთ, რომ საქართველოს აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობები მეზობლებთან, ხომ არ შეცვლილა რამე აზერბაიჯანისადმი საქართველოს დამოკიდებულებაში?“**

საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ **„ბაქოში ვიზიტისას განვაცხადე, საქართველო მხარს უჭერს აზერბაიჯანის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ყველა კონფლიქტი უნიკალურია და გადაწყვეტის თავისებური გზები გააჩნია“.**

ამ განცხადებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმცირესობა მაია ფანჯიკიძეს პარლამენტში იბარებს და ახსნა-განმარტებებს ითხოვს. გარდა ამისა, უმცირესობის მხრიდან ჩამოთვლილია 4 პუნქტი, რომელიც მაია ფანჯიკიძემ დეპუტატებს უნდა განუმარტოს, ხოლო ბიძინა ივანიშვილისგან მაია ფანჯიკიძის გადაყენებას ითხოვენ.

**„ორი თვის თავზე გაგვიმწვავდა ურთიერთობა ყველა ჩვენს მეგობართან, მეზობელთან, მათ შორის აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, გვაქვს ურთიერთობის პრობლემები შეერთებულ შტატებთან, ასევე ევროკავშირთან, ამის გამო ვიბარებთ ფრაქციაზე, დაგვესწროს და სრული ინფორმაცია მოგვაწოდოს. პირველ რიგში, ვითხოვთ პრემიერ-მინისტრისგან, სასწრაფოდ გადააყენოს მაია ფანჯიკიძე“,** — განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა კი განაცხადა, რომ ამ თემაზე განმარტებებს მაია ფანჯიკიძე თავად გააკეთებს.

*„ნიუპოსტი“*

## 33 ეკომიგრანტ ოჯახს აჭარის მთავრობა ბინებს გადასცემს



აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნუგზარ სურმანიძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი გიორგი თავართქილაძე შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 33 ეკომიგრანტ ოჯახს ბინებს გადასცემენ, — აცნობეს „მედიანიუსს“ აჭარის მთავრობიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ეკომიგრანტ ოჯახებს მემორანდუმებს დაურიგებს, რაც ბინების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაცემას ითვალისწინებს.

ოჯახები შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტირებულ შენობაში განთავსდებიან. ისინი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების შემსწავლელმა სამთავრობო კომისიამ“ შეარჩია, რომელმაც სტიქიის შედეგად დაზარალებული 50 ოჯახის მდგომარეობა 2012 წლის დეკემბერში შეისწავლა, მათგან შენობაში შესახლების რეკომენდაცია კი იმ 33 ოჯახს მიეცა, რომელთა საცხოვრებელი სახლები აღდგენას არ ექვემდებარება.

შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილი შენობის რეაბილიტაცია შარშან მაისში დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში, შენობა საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად გადაგეგმარდა, შეიცვალა კარ-ფანჯრები, ელექტრო და სანტექნიკის გაყვანილობა, ჩატარდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მოწესრიგდა ეზო და შენობასთან მისასვლელი გზა. შენობის რეაბილიტაციისთვის 1 მლნ 120 ათასი ლარი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ბათუმის სამშენებლო კომპანიამ“ განახორციელა.

აჭარის მთავრობა ეკომიგრანტებისთვის ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტაციას ქედის მუნიციპალიტეტშიც ახორციელებს. აქ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია, უკვე ცნობილია იმ ოჯახების ვინაობა, რომელთა შესახლება უახლოეს პერიოდში მოხდება.

*„მედიანიუსი“*

## ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ რიგები გოგიტა გოგელაშვილმა დატოვა



ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ რიგები საკრებულოს წევრმა, გოგიტა გოგელაშვილმა დატოვა, რომლის განცხადებით, ამის მიზეზი ფრაქციაში ერთპიროვნული გადაწყვეტილებებია, რომელთაც პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დვალი დაუკითხავად იღებდა:

**„ბევრი ვიფიქრე პარტიისა და ფრაქციის დატოვების შესახებ, თუმცა ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება მისაღებია, რადგან ბოლო თვეების განმავლობაში, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ნამდვილ ბუტაფორიად იქცა“.**

გოგელაშვილი არ გამორიცხავს, რომ პოლიტიკური მომავალი ნაციონალურ მოძრაობას დაუკავშიროს. ყოფილი თანაგუნდელის ბრალდებასთან დაკავშირებით კი, ფრაქციის თავმჯდომარე დავით დვალი კომენტარს არ აკეთებს.

*„პირველი“*

# „სანამ სააკაშვილი და მისი გუნდი რომელიმე სახელისუფლო რგოლში იქნებიან, ემიგრანტები საქართველოში ვერ დაბრუნდებიან!“



## ათენიდან დაბრუნებული ემიგრანტი გიგი უგულავას სასამართლოში უჩივის და ნოდარ ხადურს ბაგა-ბაღების ფინანსურ შემოწმებას სთხოვს!

ნელი თორდია

**რატომ ვერ ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უსამსახუროდ დარჩენილი და უცხოეთში გადახვეწილი ემიგრანტი, რატომ აპირებს უგულავას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას და რას სთხოვს ივანიშვილის ხელისუფლებას ათენში გამომავალი გაზეთის „ელადა“ რედაქტორის მოადგილე და №3 ბაგა-ბაღის ყოფილი აღმზრდელი ეთერ ხვიჩია-ჯოხარიძე.**

— წლების განმავლობაში, ვმუშაობდი მთაწმინდაზე მდებარე მე-3 ბაგა-ბაღის აღმზრდელად. ბაღის გამგე იყო ქეთევან ბარათაშვილი, რომელიც არც ერთ ხელისუფლებას გუნდრუკს არ უკმევდა და საქმეს კეთილსინდისიერად აკეთებდა. კარგი მდებარეობისა და დიდი ტერიტორიის გამო, ბაღის ხელში ჩაგდების სურვილი ბევრს ჰქონდა. გამგესთან ერთად, ყველაფერი გავაკეთეთ, ბაღი რომ შეგვენარჩუნებინა. თუმცა მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვები.

2001 წელს, შვილიშვილზე დეკრეტის გამო, ბაღიდან წამოვედი და 2004 წელს დავბრუნდი, თუმცა როცა დავინახე, „ვარდების რევოლუციამ“ დემოკრატიის ნასახიც კი არ მოგვიტანა, სამუშაოდ საბერძნეთში წავედი. ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ათენში ქართული გაზეთის „ელადა“ რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი. საქართველოში პერიოდულად ჩამოვდიოდი და აქ მიმდინარე მოვლენებს ვაკვირდებოდი.

2008 წელს ისევ დავბრუნდი და საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღე მონაწილეობა, სადაც ქართველ ერს კიდევ ერთხელ ჩააფურთხეს სულში, მაგრამ საქართველოდან მაინც არ წავიდოდი, აგვისტოს ომის შემდეგ, 12 აგვისტოს, რუსთაველზე მოზეიმე ხალხი და სამღვდელოების მიერ ჩამოსვენებული ერთმანეთში აზელილი ბიჭები რომ არ მენახა. ვერაზე ვცხოვრობ და საკუთარი თვალით ვხედავდი, ომის დროს როგორ ალაგებდნენ ბარგი-ბარხანას და წითელი ხიდისკენ გარბოდნენ. ამის ატანა უკვე შეუძლებელი იყო და წავედი.. მარტო მესამე ბაგა-ბაღიდან ემიგრაციაში 6 ადამიანია და მთლიანად, ქსელიდან რამდენი იქნება წასული, წარმოიდგინეთ.

**მოკლედ, ასეთ სირბილში გავატარე 11 წელი და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, უფუნქციოდ დავრჩი. მე, რიგითი ემიგრანტი, ვეკითხები ნაციონალურ პარტიასა და გიგი უგულავას, რით ვერ მოვიპოვე სამშობლოში დაბრუნების უფლება, რატომ ვერ ვგრძნობ თავს ადამიანად საქართველოში და რატომ ვერ ვპოულობ ჩემს ადგილს?**

**— საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა და იქნებ კითხვის ადრესატი შეგეცვალათ?**

— ორი თვის მოსულ ხელისუფლებასთან პრეტენზიები ვერ მექნება, როცა ადგილობრივ თვითმმართველობაში ისევ „ნაციონალები“ არიან. მახსოვს, როცა უგულავამ გაზეთ „ელადას“ ოქროს მედალი გამოუგზავნა და ჩვენს რედაქტორს უცხო მიწაზე საპატიო დესპანის ტიტული მიანიჭა, ვიფიქრე, სამშობლოში როგორ არ დაგვაფასებს-თქო. სააკაშვილიც სულ ემიგრანტების დაბრუნებასა და დასაქმებაზე ლაპარაკობდა და დავიჯერე. 2008 წელს დავბრუნდი და ვცადე ჩემს ბაგა-ბაღში მიბრუნება, მაგრამ ქეთევან ბარათაშვილის ადგილზე დანიშნულმა „ნაციონალმა“ გამგემ, რომელსაც 4 არასპეციალისტი ჰყავს მიღებული, ახლოს არ გამიკარა. წარვუდგინე სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტის დიპლომი, დამსახურებები, ჯილდოები და ვთხოვე, თქვენი ახალი თანამშრომლების მონაცემები გამაცანით-თქო. მიპასუხა, ბაგა-ბაღებს გრიფი „საიდუმლო“ დაედო და ვერაფერს გაჩვენებთო. ბუნებრივია, როცა ბაგა-ბაღების სააგენტოს პროფესიით ვეტერინარი მართავდა, რიგითი აღმზრდელები არაპროფესიონალები ეყოლებოდათ. ვის აღარ ვთხოვე დახმარება. მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარს, არჩილ გეგენავას მივმართე, მაგრამ მას ბაგა-ბაღები მხოლოდ ხმების მოგროვებისთვის სჭირდებოდა და ჩემი პრობლემით ვერ დავაინტერესე. პრეზიდენტს წერილი გავუგზავნე, მაგრამ მისმა კანცელარიამ ჩემი წერილი რეაგირებისთვის ისევ მერიას გადაუგზავნა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სანამ სააკაშვილი და მისი გუნდი რომელიმე სახელისუფლო რგოლში იქნებიან, საქართველოში ემიგრანტები ვერ დაბრუნდებიან. ჩვენს დაბრუნებას ისინი ეწინააღმდეგებიან, ვინც ქვეყნიდან გასაქცევად გაგვიხადა საქმე.

**— დევნილთა და განსახლების სამინისტროში თუ იციან თქვენი გასაჭირის შესახებ?**

— სამინისტროში ვის აინტერესებს ჩემი პრობლემები, როცა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შევიდა ახალი ხელისუფლებიდან და ძირითადი ბირთვი იგივეა.

**მახსენდება, 2012 წლის თებერვალში, ბატონი სუბელიანის შეხვედრა ათენის თეატრში ემიგრანტებთან. ჩვენ გვქონდა 20-წუთიანი კითხვა-პასუხის დრო და მან გვითხრა, ოღონდ დაგვიბრუნდით და თითოეულს 3000 ევროს გადმოგცემთო. დავინტერესდით, სესხის სახით მოგვცემდნენ ამ ფულს თუ საჩუქრად. სუბელიანმა განაცხადა, რომ ფული ევროსაბჭოს ნაჩუქარი 12 მილიონი ევროდან გადმოგვეცემოდა. ამ შეხვედრის ჩანაწერებიც არსებობს. ჩამოსვლის მერე გავარკვიე, რომ უბრალოდ, მოგვატყუეს. 3000 ევრო უცებ 2000-ად იქცა და ამასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებდით, თუ ტრენინგებს გავივლიდით, მცირე ბიზნესიდეას წარვადგენდით და გავიმარჯვებდით.**

რამდენიმემ მაშინვე თქვა, აქ რაღაც აფერააო და თავი დაანება. მე კი ერთი თვე ვიჯექი პაპანაქება სიცხეში ტრენინგებზე. ვერც თანხა მივიღე და ვერც ის გავიგე, რა კრიტერიუმით ხდებოდა გამარჯვებულის შერჩევა. სხვათა შორის, ევროკავშირმა 2011 წელსაც გადმოგვირიცხა 3 მილიონი ფსიქოლოგებსა და ექიმებთან ვიზიტებისთვის. ვინმემ გამაგებინოს, ან ის 12 მილიონი სად წავიდა ან ეს 3 მილიონი? მე მაგათი დაფინანსებული ემიგრანტი არ მინახავს და სუბელიანმა თავისი თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე თუ გადაანაწილა, არ ვიცი.

**— როგორც ვიცი, სასამართლოში სარჩელის შესატანად ემზადებით, სუბელიანს უჩივით?**

— სუბელიანის საქმეები სხვა უწყებებმა არკვიონ, მე უგულავასა და ბაგა-ბაღების სააგენტოს ვუჩივი. მინდა გავიგო, რატომ არ გამცეს პასუხი ჩემს წერილებზე და სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტს, რატომ არ მაბრუნებენ არასპეციალისტებით სავსე ბაღში. მივმართავ ნოდარ ხადურს თხოვნით, შეისწავლოს ბაგა-ბაღების სააგენტოს საქმიანობა, შევიდეს არასპეციალისტი „ნაციონალების“ ბუდედქცეულ ბაგა-ბაღებში და შეამოწმოს, სად მიდის სოციალურად დაუცველი აღსაზრდელებისთვის გამოყოფილი თანხები, რამდენად მიზნობრივად ხდებოდა ბაღის გადასახადების ხარჯვა და ა.შ. დარწმუნებული ვარ, უგულავა ბაგა-ბაღებს ცოცხალი თავით არ შეელევა, რადგან „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან და ბაღები თუ სკოლები საარჩევნო პოლიგონად სჭირდებათ, მაგრამ განათლების სამინისტრომ უნდა დაიბრუნოს სკოლამდელი აღზრდის რგოლი.

**„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად მიზნობრივად მიმდინარეობს საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „მიზნობრივი ინიციატივა“ განხორციელება, რამდენი ადამიანია დაფინანსებული ამ დროისთვის და პროექტის დირექტორს, ბელა ჰეინას დავუკავშირდით. „ემიგრანტებისთვის შექმნილი პროექტი, რომელიც მცირე ბიზნესსა და სხვა აქტივობებში დახმარებას გულისხმობს, გაწერილია 3 წელზე და მისი განხორციელებისთვის გამოყოფილია 3 მილიონი ევრო. ამ დროისთვის, 33-მა თუ 35-მა ემიგრანტმა უკვე მიიღო 2000-ევროიანი დაფინანსება. პროექტი ითვალისწინებს 75 ემიგრანტის დაფინანსებას, მაგრამ, შესაძლოა, პროექტის ბოლოს მოხდეს რაოდენობის გაზრდა და 80-85 ადამიანის დაფინანსებაც შევძლოთ“.**



# რა 4 კანონპროექტი მომზადდა „ოცნების“ გამოსაცდელად და ვინ აპირებს „სასიკვდილო შიმშილობის“ დაწყებას სააკაშვილის რეზიდენციის წინ

## თემურ შაშიაშვილი: „მოქალაქე სააკაშვილის მიმართ გამოჩენილი ძალადობის გამო მზად ვართ, პასუხი ვაგოთ!“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, 850 000 ხელმოწერა უკვე შეგროვებულია, 20 იანვარს 13 საათზე, პრეზიდენტის სასახლესთან „ღირსების შეკრება“ დაგეგმილი, ვერდიქტი კი — წინასწარ გამოტანილი: „თუ სააკაშვილი იგნორირებას გაუკეთებს ხალხის ნებასა და საქართველოს კონსტიტუციას, არ მიიღებს ქვეყნისთვის აუცილებელ გადაწყვეტილებას 20 იანვარს და მისი არჩევიდან 5 წლის ვადის გასვლისთანავე არ გადადგება, საქართველოს მოქალაქეები შექმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ სააკაშვილი ვერ მოახერხებს ხელისუფლების ძალაუფლებით მიტაცებას“, — ნათქვამია პრეზიდენტის წინააღმდეგ შექმნილი მემორანდუმის ერთ-ერთ პუნქტში, რომელსაც ხელს სხვადასხვა ცნობილი სახეები და ორგანიზაციები აწერენ. როგორც საქართველოს მოსახლეობის სახელით მოლაპარაკე ძალათაგან ერთ-ერთის, პარტია „თეთრების“ ლიდერი, თემურ შაშიაშვილი გამოგვიტყდა, ამ პროცესში დიდად არც სააკაშვილის კეთილგონიერების იმედი აქვთ და არც ახალი ხელისუფლების მხარდაჭერისა, ამიტომაც 21 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარესთან, დავით უსუფაშვილთან შეხვედრა და მისთვის 4 კანონპროექტის შეთავაზება იგეგმება, უკიდურეს შემთხვევაში კი, „სასიკვდილო შიმშილობა“ — 20 იანვრის შემდეგ განსახორციელებელი მოქმედებების დეტალებს „ვერსიას“ თემურ შაშიაშვილი უამბობს.**

— იმ ხალხს, ვინც 20 იანვრის შემდეგ სააკაშვილისნაირი პრეზიდენტის ქვეყანაში ყოფნას ველარ მოითმენს, ღირსება აქვს! ჩვენი მიზანი არაა მიტინგების გამართვა და ამით ხალხის დაღლას არ ვაპირებთ. არ მესმის, საკუთარი მოსახლეობა იქამდე როგორ უნდა მიიყვანო, ასეთ რადიკალურ განცხადებებზე წავიდნენ, ხანდახან საკუთარი თავისაც მიკვირს, მაგრამ ფაქტია, დღეს განწყობა ასეთია — 20 იანვრის მერე მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტის რეზიდენციაში აღარ შევუშვებთ! აქციის ჩატარებას 20 იანვარს, სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო დღეს ვაპირებთ, მაგრამ იძულებული ვარ დავეთანხმო აზრს, რომ უკვე 21 იანვარს იგი სამუშაოდ აღარ უნდა შევუშვათ რეზიდენციაში!

**— საინტერესო ისაა, ამას როგორ, რა ფორმებით აპირებთ?**

— ჩვენ ვიწყებთ პროცესს და არ იქნება მიტინგები, მიტინგი ხალხს უნდა მოენატროს. ჯერ საჯაროდ არ გაგვიჟღერებია, მაგრამ გეტყვით, რომ

**შევთანხმდით, ყოველდღე „მხილების საათი“ დავაწესოთ, როცა ნებისმიერი პიროვნება შეძლებს, მოვიდეს და მიხეილ სააკაშვილი შესაბამისი დოკუმენტებით ამხილოს. რამდენიმე ასეთი ადამიანი უკვე გვყავს, მაგალითად, მოვიდა რამდენიმე ადამიანი, ვინც მოიტანა დოკუმენტები, თუ ვის და როგორ წაართვა საკაშვილმა კახეთში მამულები. მსგავს მასალებს საზოგადოებას რეზიდენციის წინ ყოველდღე გავაცნობთ. პროცესის მიმდინარეობის ეპიცენტრი, რა თქმა უნდა, ავლაბრის რეზიდენციის ტერიტორია იქნება, მაგრამ იქ ბინას დავიქირავებთ თუ კარავს გავშლით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.**

შემდგომ მოქმედებებს უკვე პროცესი გამოკვეთს. თუ არსებული ხელისუფლების დამოკიდებულება არ იქნება შესატყვისი და კვლავ გაგრძელდება საუბრები კოჰაბიტაციაზე, ჩვენი ჯგუფიდან რამდენიმე პიროვნება ძალიან რადიკალურ გადაწყვეტილებაზე წავა — სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, მზად ვიქნებით, ჩვენი ხმა მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ და თუნდაც სასიკვდილო შიმშილობა გავმართოთ. პირადად, ამისთვის მზად ვარ!

**— არსებული ხელისუფლება არც თქვენს პიკეტებს იწონებს და არც აქციებს, მეტიც, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაც არ იგეგმება — მათი პოზიციები ისედაც გაცხადებულია და კიდევ რა რეაქციას ელით?**

— მათგან სხვას არც ველოდი, მეტიც, ბიძინა ივანიშვილიც კი უმცირესობაში აღმოჩნდება თავისი გუნდის შიგნით, სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხი რომ დასვას. სხვათა შორის, თავიდან ამაზე ბიძინაც საუბრობდა, მერე ამერიკელებმა უთხრეს, სიტყვა „იმპიჩმენტი“ არ ახსენოო და მართლაც, აღარც უხსენებია. დღეს საქართველოს პარლამენტშიც ის ადამიანები არიან, ვინც 2010 წლის 25 ნოემბერს ხელი სააკაშვილის იმპიჩმენტს აუწია. ესენი ეკა ბესელია, გუბაზ სანიკიძე, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და სხვები იყვნენ. ერთ-ერთი პირველი გახლდათ ვახტანგ ხმალაძეც, რომელიც 2013 წლის 20 იანვარს სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის დასრულებაზე საუბრობდა, ამიტომ მინდა, ყველას მოვუწოდო — იყავით თანმიმდევრულნი! თუ ბიძინა უკანდახევას იმის გამო აპირებს, რომ ორ მთავრობას შორის კოჰაბიტაცია შედგეს, ჩვენ ჩავთვლით, რომ მას არ ესმის, რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა!

**— არ სურს ახალ ხელისუფლებას ეს იმპიჩმენტი, არც პროცესის უფრო დაძაბვა და როგორ ფიქრობთ, მოსახლეობის უმრავლესობა თქვენს იდეებს დაუჭერს მხარს თუ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ხმა მისცა?**

— ვინც ფიქრობს, სააკაშვილი 21 იანვრის მერე ისევ პრეზიდენტი იქნება, ღირსებადაკარგულია და ამას მხოლოდ სკამისთვის აკეთებს! ვინც ამას იტყვის, ქვეყანას სკამისთვის გაყიდის — ჩემთვის კონკრეტულ გვარებს მნიშვნელობა არ აქვს, ავტორიტეტი არ არსებობს! გულწრფელად გეუბნებით, მაოცებს „ოცნების“ ზოგიერთი წევრის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

**სულ ცოტა ხნის წინ გადავწყვიტეთ, 21 იანვარს დიდი ჯგუფი ქუთაისში წავიდეს და შეხვდეს დავით უსუფაშვილს. ჩვენ პარლამენტში 4 კანონპროექტით მივდივართ. ერთ-ერთი ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია თვითონ იცავს თავს — 106-ე მუხლში წერია, რომ ცვლილებები ან სამართლებრივი აქტები,**

**რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის საწყის ეტაპზე მიღებულ პუნქტებს, ანულირებული უნდა იქნას, ასეთი კი საპრეზიდენტო ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაა. აქ ბევრი არაფერია გასაკეთებელი, თუმცა „ოცნებამ“ შეიძლება გვითხრას, ეს კანონპროექტი რომც გავიტანოთ, მხარს ვინ დაუჭერსო. რაც თვითონ უნდათ, ის ხომ გაიტანეს, ამიტომ ვნახოთ, ახლა რას იზამენ, თუ არც ცდიან, გამოდის, არ სურთ, გადადგეს!**

კიდევ ერთი კანონპროექტი უკვე გადაეცა ზაქარია ქუცნაშვილს, რომელმაც, თავის დროზე, ასევე აუწია ხელი სააკაშვილის იმპიჩმენტს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ოცნებას“ არ აწყობს სერიოზული ოპოზიცია ქვეყანაში და სჭირდება წაქცეული, მიწასთანგასწორებული ნაციონალური მოძრაობა. „ოცნებას“ ურჩევნია, ხალხს უთხრას, ჩასაფრებულია პრეზიდენტი და დაპირებები ამიტომ ვერ შევასრულეთო. ახლა ვაჩვენებთ ივანიშვილს, რას ნიშნავს სამოქალაქო კონტროლი პროგრამის შესრულებაზე — მოვაცილებთ, ბატონო, სააკაშვილს და ეტყვის მერე, ხალხი ბიძინას: ხომ მოგაცილეთ ეს ჩასაფრებული, ხომ აგირჩიეთ, ახლა ადექი და პროგრამა შეასრულეო!

**— თუ არ დაგიჭირათ მხარი ივანიშვილმა და უსუფაშვილმა, ეს თქვენი კანონპროექტები განსახლველადაც კი არ გავიდა, მაშინ „ოცნებასთან“ ღია კონფრონტაციაზე წახვალთ?**

— თუ მხარი არ დაგვიჭირეს, ე.ი. აწყობთ სააკაშვილის პრეზიდენტობა. ამ შემთხვევაში, „ოცნებასთან“ მე კი არ წავალ კონფრონტაციაზე, თავად „ოცნება“ დაუპირისპირდება ხალხის ნებას!

**ყველასთვის დიდი გამოცდის დღეა 20 იანვარი: თუ ბიძინა ივანიშვილი 21 იანვარს უკან დაიხევს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ გზაზე დგას, რომელმაც სააკაშვილი უკვე დაღუპა. მე, როგორც რიგითი ქართველი, ვისურვებდი, ივანიშვილი ფეხქვეშ არავის გაეგოს და თავის ძველ აზრზე დარჩეს სააკაშვილთან მიმართებაში.**

**— „ოცნების“ გადაწყვეტილებას თავი დავანებოთ, რას ნიშნავს ფრაზა მემორანდუმში: „თუ სააკაშვილი 20 იანვარს არ წავა, საქართველოს მოქალაქეები შექმნიან ისეთ ვითარებას, რომ სააკაშვილი ხელისუფლების მიტაცებას ველარ მოახერხებს“ — რა ვითარების შექმნაზეა საუბარი?**

— საქართველოს კონსტიტუციაში წერია, როცა პრეზიდენტი საკუთარ მოვალეობას ვერ ასრულებს, პარლამენტი ვალდებულია, მისი ამ პოსტზე დარჩენის საკითხი განიხილოს. ეს საკითხიც პარლამენტისთვის კიდევ ერთი გამოცდა იქნება. ეჭვი მეპარება, ჩვენს ამ წამოწყებას მხარი დაუჭირონ, მაგრამ რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ!

## ვერსიანიუსი

### კახეთში 15 000-მდე აბონენტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი

ძლიერი ქარის შედეგად გამოწვეული დაზიანების გამო, კახეთში 15 000-მდე აბონენტი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციაში“ განუცხადეს ელექტროგადამცემი ხაზები დაწყვეტილია თელავში, ახმეტაში, გურჯაანში, დედოფლისწყაროში, საგარეჯოსა და სიღნაღში. კომპანიის ინფორმაციით, ყველა რაიონში უკვე მუშაობს შესაბამისი სამსახური და მოსახლეობას ელექტორენერგიის მიწოდება 17:00 საათისთვის სრულად აღუდგება: **„განსაკუთრებით ძლიერი ქარი თელავსა და დედოფლისწყაროში იყო, რამაც ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა, მაგრამ უკვე მუშაობს ექსპლოატაციის სამსახური და ეტაპობრივად მიმდინარეობს აბონენტებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა. დღის ბოლომდე ელექტროენერგიის მიწოდება ყველა აბონენტს სრულად აღუდგება“.**

***„კახეთის საინფორმაციო ცენტრი“***

## ზვიადაურის ნათესავებმა თანამდებობებიდან გადადგომის შესახებ განცხადებები დაწერეს

„ქართული ოცნებიდან“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ნათესავებმა, რომლებიც თანამდებობებზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაინიშნენ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები დაწერეს. **„ისეთი ამბები ატეხეთ, რომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და მთელმა ზვიადაურებმა განცხადებები დამიწერეს“,** – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბექა ბაიდაურმა და დასძინა:

**„ბერდია ზვიადაურისა და ჩემი ცოლისდის შემთხვევაში, განცხადებები უკვე დავაკმაყოფილე, დანარჩენები — ჯერ არა. დაველაპარაკები, იქნებ გადაიფიქრონ“.** კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, თანამდებობებზე, პარლამენტის წევრის ზურაბ ზვიადაურის ნათესავების მასობრივად დანიშვნის შესახებ სტატია 8 იანვარს გამოაქვეყნა.

„ქართული ოცნებიდან“ ახმეტის გამგებლად დანიშნულმა ბექა ბაიდაურმა თანაშემწედ ცოლისდა, 23 წლის მაგდა ლაგაზაური დანიშნა. გამგებლის მოადგილედ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილი ბერდია ზვიადაური. ზედამხედველობის სამსახურის უფროსად დანიშნული მერაბ ზვიადაურიც დეპუტატის ბიძაშვილია. გამგებლის მოადგილის ბერდია ზვიადაურის ცოლი ლელა ახმეტელი დაინიშნა ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწედ. ბექა ბაიდაურიც ზურაბ ზვიადაურის მეგობარია. ზვიადაურის ნათესავია ზაზა მებალიშვილიც, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ს/ს **„კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ახმეტის სერვისცენტრის უფროსად დაინიშნა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ზაზა მებალიშვილის შვილი ზურაბ ზვიადაურის დისშვილის ცოლია“,** – წერდა კახეთის საინფორმაციო ცენტრი სტატიაში სათაურით: **„ცოლი, ცოლისდა, ბიძაშვილები და მძახალი – ზურაბ ზვიადაურის კლანი ახმეტაში“.** სტატიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში. სტატიაზე მოცემულ მასალებზე დაყრდნობით, ინფორმაცია გაავრცელეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმაც.

***„კახეთის საინფორმაციო ცენტრი“***

## მესტიას ნოტარიუსი ეყოლება



იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრმა თეა წულუკიანმა მესტიაში ნოტარიუსის დანიშვნის აუცილებლობაზე სვანეთში სტუმრობისას ისაუბრა. მისი თქმით, სვანეთში დღემდე არ არის ნოტარიუსი, რაც ადგილობრივებს სანოტარო მომსახურების მისაღებად სხვა რაიონში გამგზავრებას აიძულებს:

**„მესტიას ათი წელია, ნოტარიუსი არ ჰყავს. ჩვენ წელს დავისახეთ მიზნად, ყველა იმ რაიონში, სადაც ამ დრომდე ნოტარიუსი არ არის, აუცილებლად წარვგზავნოთ. შესაძლოა, დაგვჭირდეს გარკვეული შეღავათების დაწესება მაღალმთიანი და ნაკლებადშემოსავლიანი რაიონებისთვის, რათა ნოტარიუსებს გავუჩინოთ აქ მუშაობის სურვილი და მოტივაცია“.**

ნოტარიუსების პრობლემის გარდა, მინისტრმა მესტიაში აღმასრულებლის არსებობის საჭიროებაზე, პროკურორის ოფისის გაძლიერების აუცილებლობასა და იმ ღონისძიებებზე ისაუბრა, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაიონის ხელშეწყობისთვის გაატარებს:

**„თუ ხალხი აქედან იმის გამო წავიდა, რომ ელემენტარული პრობლემების მოგვარება და ადგილზე ყველა აუცილებელი მომსახურების გაწევა ვერ შევძელით, ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეექმნება. სვანეთი უნდა შევინარჩუნოთ ძლიერი და ამისთვის იუსტიციის სამინისტრო ყველა იმ აუცილებელ ღონისძიებას გაატარებს, რომელიც მის კომპეტენციაში შედის“.**

იმავე დღეს მინისტრი მესტიის იუსტიციის სახლს პარლამენტის წევრ ვიქტორ ჯაფარიძესთან ერთად ეწვია და დაინტერესდა, რა მომსახურებებს სთავაზობს მოქალაქეებს.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ვახტანგ მაისაია: „დარწმუნებული ვარ, დამაპატიმრეს წიგნის გამო, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ უნდა გამომეცა“

**რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებული 12 ადამიანი, მათ შორის რუსეთის 4 მოქალაქე 13 იანვარს საპყრობილეებიდან, ამნისტიის კანონის საფუძველზე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. გათავისუფლებულთა შორისაა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, 40 წლის ვახტანგ მაისაია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუს სამხედროებს, თითქოსდა საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდა. მაისაიამ საპყრობილედან გამოსვლიდან მალევე, რუსული გამოცემა „იზვესტიას“ ჟურნალისტს, მიხეილ ვიგნანსკის ინტერვიუ მისცა.**

**— როგორ აღმოჩნდით ჯაშუშობაში ბრალდებული პროფესიონალი დიპლომატი, რომელიც 2004-დან 2007 წლამდე ნატო-სთან საქართველოს წარმომადგენლის მრჩეველი იყავით?**

— საიდუმლო ინფორმაციასთან არანაირი წვდომა არ მქონია, ომის დროს დასავლურ მედიას მხოლოდ ინტერვიუებს ვაძლევდი, ვწერდი ანალიტიკურ მასალებს ნატო-ში ძველი კოლეგებისთვის, ღია მონაცემებზე დაყრდნობით, ვცდილობდი, ჩემი წვლილი შემეტანა ინფორმაციული ბლოკადის გარღვევაში, რომელიც რუსეთმა შექმნა. ასევე, ბრალი დამდეს, რომ ჩემს ადრესატებს შორის იყო სლოვაკეთის მოქალაქე, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი გახლდათ და ამიტომ ეს ინფორმაციები ხვდებოდა მოსკოვში. სხვათა შორის, როდესაც ომი დაიწყო, მივმართე თავდაცვის სამინისტროს, კომისარიატს, მზად ვიყავი, ვალი მომეხადა, თუმცა მითხრეს, სახლში დავრჩენილიყავი.

**— თავდაპირველად, აღიარეთ, რომ ამზადებდით ანალიტიკურ მასალებს „უცხოური სპეცსამსახურებისთვის“ და ამისთვის 7 ათასი ევროს ოდენობის ჰონორარს იღებდით.**

— იძულებული ვიყავი, ეს გამეკეთებინა, რამდენადაც ჩემს მეუღლესა და დედას ემუქრებოდნენ. შემდეგ, აღიარება უარვყავი. მოვითხოვ, ჩემს საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნას. დაინახავთ, როგორი აბსურდი იყო ყველაფერი. სხვათა შორის, ჩემს აღიარებებშიც კი, არაფერი მითქვამს რუსეთთან მუშაობის შესახებ, საუბარი მხოლოდ სლოვაკეთის სპეცსამსახურებს შეეხებოდა.

**— შესაძლოა, ნატო-ში მუშაობის დროს, რუსეთის რომელიმე მოქალაქესთან დამეგობრდით...**

— არანაირი საქმიანი კონტაქტები არ მქონია რუსებთან, მხოლოდ ალიანსის ქვეყნების წარმომადგენლებთან ვურთიერთობდი.

**— მაშინ, რატომ დაგაპატიმრეს?**

— დარწმუნებული ვარ, იმ წიგნის გამო, რომელიც 2009 წელს, ლონდონში, ინგლისურ ენაზე უნდა გამომეცა რუსეთ-საქართველოს ომის პერიპეტიების შესახებ. იქ იყო ძალიან ბევრი დეტალი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას არ აწყობდა. ომიდან ერთი თვის შემდეგ, თბილისში გამართულ ექსპერტების შეკრებაზე პირველად მკაცრად გავაკრიტიკე ქართული სპეცსამსახურები და პირადად, შს მინისტრი მერაბიშვილი სამხრეთ ოსეთის მოვლენების დროს. მქონდა მხოლოდ ღია დოკუმენტური მასალები, ვაკეთებდი ჩემს დასკვნებს, ძირითადად, ვსაუბრობდი ცხინვალის ოპერაციის შესახებ და სწორედ ამის საფუძველზე, ვაპირებდი წიგნის გამოცემას. ჩემი დაპატიმრების დროს, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გახსნეს ამბოხი მუხროვანის სამხედრო ბაზაზე. ეს იყო სპექტაკლი, რომლის შესახებ საუბარსაც საღამოს რადიო „თავისუფლებასა“ და ბრატისლაველ ჟურნალისტებთან ვაპირებდი. ასე რომ, ამიყვანეს, რათა ეს ყველაფერი არ მომხდარიყო. დამადანაშაულეს ასევე იმაში, რომ სამხრეთ ოსეთის „კა-გე-ბე-სთან“ ვმუშაობდი. სისულელეა...

**— რას გააკეთებთ გათავისუფლების შემდეგ?**

— ჯერჯერობით, არ ვიცი. წიგნს ალბათ, ვეღარ დავუბრუნდები, საააკაშვილმა ჩემს მიერ შეკრებილი და გაანალიზებული მასალები გაანადგურა.

**— თქვენი საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოშია, გამოიწვევთ მას ამნისტიის შემდეგ?**

— არა, სიმართლე უნდა დადგინდეს და პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც ჩემ წინააღმდეგ ბრალდებები შეთითხნა.

***„პირველი“***

# რუსეთი და აზერბაიჯანი ენერგეტიკაში 2013 წელსაც ოპონენტებად დარჩებიან

ზურაბ გამრეკელი

**მართალია, მოსკოვმა გასულ, 2012 წელს საკმაო პროგრესს მიაღწია ნახშირწყალბადების ახალი საექსპორტო მარშრუტების გახსნაში, მაგრამ ბაქომ მას ტოლი არ დაუდო და დასავლეთისკენ თავისი ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებისთვის არანაკლებ სერიოზული ნაბიჯები გადადგა. როგორც ჩანს, 2013 წელი ენერგეტიკის სფეროში რუსეთ-აზერბაიჯანის მზარდი დაპირისპირების ნიშნით ჩაივლის – სავარაუდოდ, მოსკოვის ყოველ კონკრეტულ ნაბიჯს, მოჰყვება ბაქოს საპასუხო სვლა და პირიქით... ამიტომ საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკაც შესაბამის მოქნილობას უნდა ავლენდეს...**
**ბაქო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც გასული წლის 8 ოქტომბერს, მოსკოვმა ბალტიკის ფსკერზე „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენის მეორე რიგის მშენებლობა დაასრულა და 7 დეკემბერს, შავ ზღვაზე, „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა დაიწყო. ამავე დროს, აზერბაიჯანმა „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის ბუნებრივი აირის ევროპაში ტრანსპორტირების ტენდერში მონაწილე კომპანიების რაოდენობა ორამდე შეამცირა. ე.ი. თუ რუსეთი ცდილობს, შეინარჩუნოს (ან გააფართოოს) ევროპის გაზის ბაზარზე თავისი წილი, აზერბაიჯანი მიზნად ისახავს, გახდეს ევროკავშირის გაზმომარაგების დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი წყარო.**




### პრაქტიკული ნაბიჯები

მოსკოვის უდიდესი კონკრეტული მიღწევა ამ ფრონტზე „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენის მეორე მილის მწყობრში ჩადგომაა. ოქტომბერში დასრულებული ამ გრანდიოზული მშენებლობით, რომელიც 30 თვეს გაგრძელდა, „გაზპრომი“ ცდილობს, გააორმაგოს სისტემის საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 27.5 მილიარდი კუბმეტრიდან 55 კუბმეტრამდე.

1224 კმ სიგრძის ეს მარშრუტი ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის გავლით, ბალტიის ზღვის ფსკერზე „პორტოვაიას ყურედან“ გერმანიის პორტ გრეიფსვალდამდეა გადაჭიმული. ის სრული დატვირთვით ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს. თუმცა, ამ გაზსადენის მეორე მილის გახსნის შედეგია რუსეთის საექსპორტო გაზის მნიშვნელოვანი მოცულობების უკრაინის მილსადენების ტრადიციული მარშრუტების გვერდის ავლა.

ამით კი, რუსეთის ხელისუფლება შეძლებს, კიევს წარმატებით წაუყენოს თავისი პოლიტიკური მოთხოვნები. ამ მოთხოვნებს შორისაა: რუსეთ-ბელორუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანება, ევროკავშირსა და ნატო-სთან თანამშრომლობაზე, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მოსკოვისადმი კონკურენტულ ბლოკებში (მაგ, „სუამი“) მონაწილეობაზე უარის თქმა და ა.შ. ამ „საქმეში“ კრემლის ხელშესახები მიღწევები უკვე კარგად ჩანს „ჩრდილოეთის ნაკადის“ ფუნქციონირების გასული წლის შედეგებიდანაც. კერძოდ, 2012 წლის ცხრა თვეში, უკრაინის სატრანზიტო ქსელით ევროპაში 62.8 მლრდ კუბმეტრი გაზი გადაიგზავნა, რაც 15.4 მლრდ კუბმეტრით, ან თითქმის 20%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე – 78.2 მლრდ კუბმეტრზე. „გაზპრომმა“, სავარაუდოდ, გაზის ეს მოცულობა „ჩრდილოეთის ნაკადით“ გადაგზავნა, თუმცა ამ გაზის ნაწილი სახმელეთო გზით – ბელორუსის „ბელტრანსგაზის“ (რომელიც „გაზპრომის“ საკუთრებაა) მილსადენებითაც გაგზავნა.

შედეგად, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი იძულებული გახდა, საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ სწავლობს საბაჟო კავშირში უკრაინის შესვლის შესაძლებლობას. ამას რფ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირდაპირი მითითება მოჰყვა, რაც დაახლოებით, ასე ჟღერდა: „გინდათ გაზის პრობლემის მოხსნა? გაწევრიანდით საბაჟო კავშირში!“ ამ მოწოდებაზე პასუხის მოლოდინში და თავისი „კეთილგანწყობის“ დასადასტურებლად, რუსული „გაზპრომის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ წლიურად 100 მლრდ კუბმეტრი ბუნებრივი აირის მოცულობა, რომელიც, როგორც წესი, მიედინება უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის მეშვეობით, უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად არ შემცირდება. სავარაუდოდ, ტრანზიტის დაღმავალი ტენდენცია, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში გაღრმავდება, თუ კიევში შეეცდებიან, შეამცირონ რუსული გაზის იმპორტი და გააგრძელონ გაზსატრანსპორტო ქსელის დაუფლებაში მოსკოვისადმი წინააღმდეგობა.

### თეორიული მიღწევები

2012 წელს მოსკოვის მიღწეული უფრო აბსტრაქტული წარმატებაა ის, რომ „გაზპრომმა“ ბრიტანელებისკენ შემხვედრი ნაბიჯი გადადგა „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაფართოებისკენ. გასული წლის დეკემბერში, გაზის რუსულმა




მონოპოლისტმა დააფიქსირა – ის არ იქნება წინააღმდეგი, რომ გაიმართოს მოლაპარაკებები ბრიტანულ „ბი-პისთან“ ერთად, „ჩრდილოეთის ნაკადის“ მესამე მილის მშენებლობაზე. ორმა კომპანიამ გადაწყვიტა, შეიმუშაოს ბალტიის ზღვისქვეშა გაზსადენის ჩრდილოეთის ზღვაში გაგრძელების გეგმები. ამისთვის დიდ ბრიტანეთამდე 600 კმ სიგრძის წყალქვეშა გაზსადენის გაყვანა იქნება საჭირო. ამასთან, „გაზპრომმა“ მიანიშნა, რომ მზადაა, ბრიტანეთის ბაზარზე ყოველწლიურად, 18-19 მლრდ კუბმეტრი გაზი გაგზავნოს, რაც ჩრდილოეთის ზღვაში ამოწურვის პირას მყოფ ბრიტანული გაზის მარაგებს დააბალანსებს.

მართალია, ამ ახალი რუსულ-ბრიტანული პროექტის ირგვლივ ჯერ კიდევ ბევრი კითხვის ნიშანია და გასარკვევია, რამდენად გასცდება ეს განხილვები თეორიულ მსჯელობას, მაგრამ ზემოაღნიშნული მოლაპარაკებიდან აშკარაა, რომ მოსკოვის ევროპულ ამბიციებს საზღვარი არა აქვს. მეტიც, კრემლი ცდილობს, კიევს აჩვენოს, რომ ის უკრაინის გვერდის ასაქცევად ახალ-ახალ საექსპორტო დერეფნებს გამოიყენებს.

ამავდროულად, დეკემბრის დასაწყისში, სახელმწიფო კომპანია „გაზპრომმა“ შავი ზღვის სანაპიროზე საფუძველი ჩაუყარა ახალ გაზსადენს – „სამხრეთის ნაკადს“. ცერემონიას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და „გაზპრომის“ აღმასრულებელი დირექტორი ალექსეი მილერი მასპინძლობდნენ. შავი ზღვის ფსკერზე 63 მლრდ წლიური წარმადობის გაზსადენის გახსნის საზეიმო ღონისძიებაში ბალკანეთის ქვეყნების ენერგოკომპანიების, ასევე იტალიის „ენისა“ და საფრანგეთის „ე-დე-ეფის“ მენეჯერები მონაწილეობდნენ. ამ გაზსადენის სიმძლავრე წელიწადში, 63 მლრდ კუბმეტრი უნდა იყოს და ის ოთხი მილსადენისგან იქნება შემდგარი. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს ცერემონიალი სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და მშენებლობა რეალურად, მომავალ წლამდე არ დაიწყება (ამ პროექტის დაწყების თარიღის შესახებ „გაზპრომმა“ რამდენჯერმე საკმაოდ ბუნდოვანი განცხადება გააკეთა), თუმცა პროექტის ფაქტობრივი გახსნით მოსკოვმა დაამტკიცა, რომ მის განცხადებებს „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობაზე, რეალური საფუძველი გააჩნია და 2015 წელს დაიწყება რუსული გაზის ბულგარეთში გაგზავნა, ხოლო გაზსადენი სრული დატვირთვით, 2019 წელს ამუშავდება.

### აზერბაიჯანის პრობლემები

ბაქოში ჯერჯერობით, არ არის ლაპარაკი აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ასე სწრაფ და ფართომასშტაბიან მიწოდებაზე. აზერბაიჯანულ სახელმწიფო ენერგოკომპანია „სოკარში“ იმედოვნებენ, რომ „შაჰ-დენიზი 2“-ის გაზის პირველი პარტიის მიწოდებას 2018 წელს დაიწყებენ ანუ მას შემდეგ, რაც დაიწყება ამ საბადოს კომერციული ათვისება. ამისთვის აზერბაიჯანს რამდენიმე პრობლემის გადაჭრა მოუწევს.

პირველი, ბაქომ ჯერ საბოლოოდ ვერ დაადგინა, რამდენი იქნება „ბი-პის“ ოპერირებით მოქმედი „შაჰ-დენიზის“ საბადოს მეორე ფაზის ევროკავშირისთვის მისაწოდებელი გაზის რაოდენობა. აზერბაიჯან-თურქეთის „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ (TANAP) არსებული საპროექტო გაანგარიშებით, წლიურად, 16 მლრდ კუბმეტრი აზერბაიჯანული გაზიდან, ყოველწლიურად 6 მლრდ-ს თურქეთი დაიტოვებს. ევროკავშირს კი, ბულგარეთის ან საბერძნეთ-იტალიის გავლით, 10 მლრდ კუბმეტრი აირი გადაეცემა, რაც მიწოდების კომერციული რისკების გათვალისწინებით, ძალიან ცოტაა.

მეორე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასარკვევია „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ საბოლოო დანიშნულების წერტილიც. ნაწილობრივ, ამ კითხვას „ბი-პის“ ოპერირებით მოქმედმა, „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმმა და აზერბაიჯანულმა მხარემ პასუხი უკვე გასცა, როდესაც „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ მარშრუტად






ქ. ერზერუმიდან თურქეთ-ევროკავშირის საზღვრამდე მიმართულება დაასახელა. თანაც, „ტრანსანატოლიური გაზსადენის“ ოთხი საბოლოო წერტილიდან, „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მილსადენისა“ (SEEP) და „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“ (ITGI) 2012 წლის დასაწყისში გამოთიშვის შემდეგ, დარჩა მხოლოდ ორი: „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“ (TAP) და „ნაბუქოს“ სამჯერ შემცირებული ახალი ვერსია – „ნაბუქო-უესთი“. ბაქოში 2013 წლის პირველ ნახევარში უნდა გაარკვიონ, დარჩენილი ორიდან, რომელი მარშრუტი აირჩიონ.

ერთი შეხედვით, ორივე კანდიდატი პროექტი კონკურენტუნარიანია, სულ ცოტა, „ქაღალდზე“ მაინც. მათი შანსები განსაკუთრებით გათანაბრდა მას შემდეგ, რაც „ნაბუქოს“ კონსორციუმმა (NGP) „ნაბუქო-უესთის“ ვარიანტი წარმოადგინა, თუმცა „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“, გარკვეულწილად, მაინც წინაა, ვინაიდან 2012 წლის დეკემბრის დასაწყისში „ნაბუქოს“ კონსორციუმის ექვსიდან ერთ-ერთმა აქციონერმა – გერმანულმა „არ-ვე-ემ“ (RWE), მრავალთვიანი განხილვების შემდეგ გადაწყვიტა, დატოვოს კონსორციუმი. მისი 16.7%-იანი წილის შესყიდვის სურვილი უკვე გამოთქვა ავსტრიულმა „ო-ემ-ვემ“ (OMV), თუმცა სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ თავის მხრივ, ავსტრიელებიც ამ აქციებს საჭირო დროს „ადვილად შეელევიან“. პოტენციურ მყიდველებად მოიაზრებიან „ბიპი“, ფრანგული „ტოტალი“ და აზერბაიჯანული „სოკარი“, თუმცა ეს კომპანიები ასევე „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ კონსორციუმთანაც მართავენ ფარულ მოლაპარაკებებს მასში წილის შესყიდვაზე, ამიტომ ამ ეტაპზე ძნელია გაირკვეს, რომელ პროექტს მიენიჭება საბოლოო უპირატესობა. ექსპერტულ წრეებში მიაჩნიათ, რომ „ნაბუქო-უესტი“ მაინც უფრო დასუსტებული გამოიყურება „ტრანსადრიატიკულ გაზსადენთან“ შედარებით, რადგან მის კონსორციუმს რეორგანიზაცია მოელის, იქიდან გერმანული „არ-ვე-ეს“ (RWE) შესაძლო გასვლის შემდეგ.

## ევროკავშირის გაზის ბაზართან დაახლოება

მიუხედავად ზემოაღნიშნული კითხვებისა და პრობლემებისა, აზერბაიჯანი მაინც უფრო ახლოსაა თავისი გაზის საექსპორტო დერეფნის ევროპაში გაყვანასთან, ვიდრე ეს ერთი წლის წინ იყო.

გეოეკონომიკურად და გეოპოლიტიკურად, ბაქოსთვის ეს კარგია, მაგრამ ამით ასევე იზრდება აზერბაიჯანისა და თურქეთის კონკურენცია ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროგრამასთან, რომელიც მიზნად ისახავს თურქეთის გავლით სატრანსპორტო მარშრუტის შექმნას კასპიისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის გაზის ევროპისკენ ტრანსპორტირებისთვის. 2012 წლის განმავლობაში, ბრიუსელში მუშაობდნენ, რათა უზრუნველეყოთ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ კომერციული სიცოცხლისუნარიანობა. ევროკომისიის მოლაპარაკება აზერბაიჯანსა და თურქმენეთთან (მოგვიანებით კი, თურქეთთან), „ტრანსკასპიური გაზსადენის“ (TCGP) მშენებლობაზე, რომელმაც თურქმენული გაზი აზერბაიჯანში „შაჰ-დენიზი 2“-ის აირთან უნდა დააკავშიროს, ამის ნათელი დადასტურებაა. თუ ეს ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, მაშინ აზერბაიჯანი ევროპის გაზის ბაზარზე თავისუფლად მოიკიდებს ფეხს, მიუხედავად იქ რუსეთის პოზიციების განმტკიცების მცდელობისა.

თავის მხრივ რუსეთი, სავარაუდოდ, შეეცდება თავისი პოზიციების დაცვას. ამჟამად, ეს მცდელობა ვლინდება იმ უპირატესობების დაძლევაში, რაც „გაზპრომთან“ შედარებით, „ნაბუქოსა“ და „ტრანსადრიატიკულ გაზსადენს“, როგორც ევროპის გაზმომარაგების დივირსიფიცირების კომპანიებს აქვთ.

2012 წლის14 დეკემბერს, რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა, ალექსანდრ ნოვაკმა განაცხადა, რომ მოსკოვს ხელახლა შეაქვს განაცხადი, ბრიუსელმა „სამხრეთის ნაკადი“ გაათავისუფლოს „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებიდან („ჩრდილოეთის ნაკადსა“ და „ნაბუქოს“ ეს შეღავათები უკვე მიღებული აქვთ, ხოლო „ტრანსადრიატიკულ გაზსადენს“ თავისი განაცხადი 2011 წელს აქვს შეტანილი).

მან მიანიშნა, თითქოს „სამხრეთის ნაკადი“ ამ პრივილეგირებული სტატუსის მიღების უკეთესი კანდიდატია, რადგან ის ერთნაირად ემსახურება ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების ინტერესებს, განსხვავებით სხვა მილსადენებისგან, რომლებიც მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიას გადაკვეთენ. მან მაგალითად მოიყვანა „ნაბუქო-უესტისა“ და „ტრანსადრიატიკული“ გაზსადენები. ამათგან პირველი გაივლის ევროკავშირის ოთხ წევრ ქვეყანაზე (ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი და ავსტრია), ხოლო მეორე – ორ წევრ (საბერძნეთი და იტალია) და ერთ, წევრობის პოტენციურ კანდიდატ (ალბანეთი) ქვეყანაზე.

სავარაუდოდ, ბრიუსელი არ მიიღებს რუსი მინისტრის ამ არგუმენტს, რადგან ის მხარს




უჭერს ენერგომომარაგების წყაროების და არა, მათი მარშრუტების დივერსიფიკაციას. მხოლოდ „სამხრეთ გაზის დერეფნის“ პროგრამით, როგორც უმაღლესი სტრატეგიული პრიორიტეტითაა შესაძლებელი, ამ ამოცანის შესრულება, თუმცა ალექსანდრ ნოვაკის განცხადებები იმის მანიშნებელია, რომ აზერბაიჯანსა და კასპიისპირა გაზის მომწოდებელ სხვა ქვეყნებს, რომლებიც აზერბაიჯანული გაზსადენებით შეეცდებიან გაზის ევროპისკენ ექსპორტს, – სერიოზული ბრძოლა ელით.

## თურქმენეთის პრეზიდენტის „მძიმე სამუშაო“

სამწუხაროდ, კასპიისპირეთის ზოგიერთმა ლიდერმა ამ ბრძოლას არჩია, თავისი ნახშირწყალბადები ევროკავშირთან შედარებით ნაკლებად შემოსავლიანი, მაგრამ არაკონკურენტული დანიშნულებით გაიტანოს.

კერძოდ, 2012 წლის მიწურულს, თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ „მძიმე სამუშაოს“ შესრულება იყო საჭირო, რათა შექმნილიყო თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი–ინდოეთის (TAPI) გაზსადენის პროექტის განხორციელების წინაპირობები.

ამ სხდომაზე თურქმენეთის ლიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ მოთამაშეებს ესმით TAPI-ის „რეალობა და მიზნობრიობა“, რაც თურქმენეთს საშუალებას მისცემს, გაზი საექსპორტოდ სამხრეთ აზიაში გაიტანოს. „...პროექტს მხარს უჭერენ პოლიტიკურ დონეზე“, – განაცხადა მან და დასძინა, რომ ამ პროექტის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა „ენერგოდიპლომატია“. ბერდიმუჰამედოვმა ხაზი გაუსვა, რომ ენერგეტიკული დიპლომატიის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს დავალებული ჰქონდა ამ პროექტზე მუშაობის დაჩქარება. ექსპერტების აზრით, ბერდიმუჰამედოვის განცხადებები ემსახურება არსებული სირთულეების წარმოჩენას. მათ შორის უმთავრესი, უკავშირდება ავღანეთსა და პაკისტანში უსაფრთხოებისა და დაცვის ღონისძიებებს, რაც პოტენციურ ინვესტორებს პროექტისადმი ნდობას უკარგავს (დღემდე, ოთხი სატრანზიტო ქვეყნის მიერ პროექტის პარტნიორების მოსაზიდად გაწეულ ძალისხმევას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია).

მიუხედავად ამისა, აზიმ ჰუსაინმა, პაკისტანის ნავთობისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა, გასული წლის დეკემბრის ბოლოს განაცხადა, რომ იგი დარწმუნებულია 2017 წელს TAPI-ის გაზსადენის მშენებლობის წარმატებით დასრულებაში. წერილობით განცხადებაში ჰუსაინმა ქვეყნის ეროვნულ ასამბლეას განუცხადა, რომ მშენებლობის დაფინანსების სქემა უკვე განხილვის პროცესშია, „აზიის განვითარების ბანკი“ (ADB) კი მოახდენს დაკრედიტებასა და მშენებლობისათვის საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფი კაპიტალის მობილიზებას. მან დაამატა, რომ პროექტის პრეზენტაცია 2012 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში, ლონდონსა და სინგაპურში გაიმართა, რასაც პოტენციური ინვესტორების მხრივ პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა.

სხვა წყაროები აღნიშნავენ, რომ პრეზენტაციებს შესაბამისი ყურადღება არ მოჰყოლია და მათი შედეგი არ გამხდარა ინტერესის გამოხატვაზე რაიმე კონკრეტული განცხადებები.

აშენების შემთხვევაში, TAPI–ის პროექტი ითვალისწინებს 1700 კმ გაზსადენის აგებას სამხრეთ თურქმენეთიდან პაკისტან-ინდოეთის საზღვრამდე. მისი ღირებულებაა დაახლოებით, 7.5 მილიარდი დოლარი. მილსადენი, რომლის დაგეგმილი ექსპლოატაციის ვადა 30 წელია, სამხრეთ აზიის ქვეყნებს წელიწადში თითქმის 33 მილიარდ კუბმეტრ თურქმენულ გაზს მიაწვდის, საიდანაც ინდოეთი და პაკისტანი (თითოეული) მიიღებენ 13,87 მლრდ კუბმეტრს, ხოლო დანარჩენი მიეწოდება ავღანეთს. ქაბულში მიანიშნეს, რომ ავღანეთმა შეიძლება არ გამოიყენოს ეს გაზი, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი საბადოები შეძლებენ ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თუ ავღანეთში ჩათვლიან, რომ არ გამოიყენონ პაკისტანსა და ინდოეთში გასაგზავნ გაზზე მეტი აირი, მაშინ TAPI-ს გაზსადენით შესაძლებელი იქნება ჭარბი გაზი ბანგლადეშს მიეწოდოს.

ამრიგად, ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროგრამა, რომელიც საქართველოს გავლით, კასპიისპირეთის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების პროექტებს მოიცავს, 2013 წელს კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშე იქნება რუსეთის „ნაკადებისა“ და თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის (TAPI) გაზსადენის კონკურენციის გამო.



## ილია მეორეს მოსკოვში ვიზიტისას, მთავარი განსახილველი საკითხი, მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა იქნება



საქართველოში მყოფმა რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსმა, მეუფე კირილემ განაცხადა, რომ **„მოსკოვში საქართველოს პატრიარქის ვიზიტის დროს ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა იქნება, რომელთან დაკავშირებითაც, საპატრიარქოებს განსხვავებული პოზიცია აქვთ. განვიხილავთ ასევე მიმდინარე თემებს, რაც ორი ეკლესიის ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია“.**

უწმინდესი მოსკოვში 20 იანვარს გაემგზავრება, ხოლო 21 იანვარს გაიმართება დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის ჯილდო გადაეცემა.

***„პირველი“***

## ირაკლი ღარიბაშვილი: „შსს–ში თანამშრომლების მომზადებასა და გადამზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“



შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, **„განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს სისტემაში კვალიფიციური პერსონალის არსებობას. პოლიცია თავის საქმიანობაში მუდმივად უნდა იმაღლებდეს, როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. უნდა ეცნობოდეს სხვა ქვეყნების მოწინავე პრაქტიკას, ამიტომ ჩვენს სამინისტროში თანამშრომელთა მუდმივ მომზადებასა და გადამზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს”.**

***„პირველი“***

## ლანჩხუთის ადმინისტრაციულ შენობაზე საქართველოს ძველი სახელმწიფო დროშა და „ქართული ოცნების“ დროშები გადმოფინეს



ეს ფაქტი მაშინ მოხდა, როცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოპიკეტეებთან შეთანხმებას მიაღწია და „ქართული ოცნების“ წევრების კატეგორიული მოთხოვნა — კომისიის შემადგენლობასა და გამგეობის კანდიდატებს შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ ყოფილიყვნენ — დააკმაყოფილა.

მიღწეული შეთანხმების პატივსაცემად, „ოცნების“ აქტივისტებმა ადმინისტრაციულ შენობაზე ზემოხსენებული დროშები გადმოკიდეს.

ცნობისთვის, აღნიშნული ქმედება კანონით ისჯება და თავისუფლების 2-დან სამ წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

***„პირველი“***

# „ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თეატრში დასაქმებული ადამიანი ჩემი მომხრე იქნება თუ ანთაძის, არ ვაპირებ ვინმესთან ანგარიშსწორებას!“

ნათია ვასაძე

**მოზარდმაყურებელთა თეატრთან დაკავშირებული სკანდალი არაერთ წელს გრძელდებოდა. თეატრის მმართველის, მიხეილ ანთაძის მისამართით ისმოდა უამრავი ბრალდება — თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება, გაუცემელი ხელფასები, თეატრში დასაქმებული ნათესავები და ა.შ. წინა ხელისუფლების პირობებში, არც ერთ ამ ბრალდებას რეაგირება არც კულტურის სამინისტროსა და არც რომელიმე უწყების მხრიდან არ მოჰყოლია. თეატრში არსებული ვითარების შესასწავლად, კულტურის სამინისტროში შეიქმნა კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც, მიხეილ ანთაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა, მასალები პროკურატურას გადაეგზავნა, ხოლო მმართველად დიმიტრი ღვთისიაშვილი დაინიშნა. მოზარდმაყურებელთა თეატრში არსებულ ვითარებასა და სამომავლო გეგმებზე „ვერსიას“ თეატრის ახალი მმართველი დიმიტრი ღვთისიაშვილი ესაუბრება.**



## როგორ მოაგვარებს პრობლემებს მოზარდმაყურებელთა თეატრის ახალი მმართველი და ვის აღადგენს სამსახურში დიმიტრი ღვთისიაშვილი

**— ბატონო დიმიტრი, რა კრიტერიუმით შეგარჩიეს ამ თანამდებობაზე?**

— 23 წელია, თეატრალურ სფეროში ვმუშაობ. წლების განმავლობაში, ვიყავი ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარ რეჟისორად ვიმუშავე სხვადასხვა თეატრებში, ამ დრომდე ვარ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ გახმოვანების სტუდიის მთავარი პროდუსერი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი... როგორც ჩანს, ჩემმა მონაცემებმა დააკმაყოფილა ყველა ის კრიტერიუმი, რაც ამ თანამდებობისთვის იყო საჭირო.

**— რა პრობლემები დაგხვდათ და, კონკრეტულად, რა დარღვევები აღმოჩნდა თეატრში?**

— ჩემს მოსვლამდე რა იყო, ამის აღმოსაჩენად დროის დაკარგვა არ დამიწყია. ეს ისედაც შეამოწმა კულტურის სამინისტრომ და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ძველი მმართველი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ერთადერთი, რაც ვნახე, კულტურის სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენილი მომავალი წლის ბიუჯეტია, რომლის საფუძველზეც, 25 დეკემბერს დაწერილია ბრძანება — თეატრის ყოფილი მმართველი კულტურის მინისტრს მიმართავს და საშტატო განრიგის დამტკიცებას ითხოვს. ამას მოჰყვება საშტატო განრიგი, რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც, ერთ გრაფაში ხელს აწერს კულტურის მინისტრი, მეორეში — მმართველი. ამის შემდეგ აქვს ბრძანებას ძალა. ხელმოწერები ბრძანებაზე დღემდე არ არის და მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე შემოდის ბრძანება, სადაც პირდაპირ წერია: „გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები 2013 წლის 3 იანვრიდან ერთი წლით“. ამ ბრძანებაში ერთი სიტყვა რომ შეცვლილიყო, არავითარი პრობლემა არ იქნებოდა. კერძოდ, „გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულებების“ ნაცვლად, ეწეროს „გაუგრძელდეს შრომითი ხელშეკრულებები ძველი საშტატო განრიგის დამტკიცებამდე“. ახლა კი ეს არასწორი ბრძანება, რომელიც ხელმოწერილიც კი არ არის, ან უნდა გავაუქმოთ ან გამოვაცხადოთ რეორგანიზაცია და იგი, თავისთავად, იქნება ბათილი.

**— ბატონი მიხეილი აცხადებს, რომ ასეთ უმნიშვნელო დარღვევებზე, შეიძლებოდა დამდგარიყო მხოლოდ ბუღალტრის პასუხისმგებლობის საკითხი.**

— ჩვენი ბიუჯეტი დაანგარიშებულ თანხაზე 1000 ლარით მეტია ანუ დაანგარიშების მიხედვით, 1000 ლარი რჩება ჰაერში, მაგრამ არის კიდევ ერთი სხვაობა: მოთხოვნილ ბიუჯეტში, სადაც წერია — შესყიდვების აგენტი, 1 საშტატო ერთეული, ხელფასი 425 ლარი, ბრძანებაში, იმავე გრაფაში მითითებულია 650 ლარი. განსხვავებაა 225 ლარი. ბიუჯეტში, სადაც წერია მსახიობი, 12 ერთეული, ხელფასი 600 ლარი, ბრძანებაში 12-ის ნაცვლად, წერია 10 ერთეული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ, შესაძლოა, ორ შტატზე მოგვიანებით გამოეცხადებინათ ვაკანსია და ამით შეევსოთ დანაკლისი, მაგრამ აქ ვაწყდებით კიდევ ერთ დარღვევას — ბრძანების საფუძველზე, ხელშეკრულება დადებულია 13 ადამიანთან. ეს იწვევს უკვე წლიური თანხის გადახარჯვას. ბრძანებასა და ხელშეკრულებას შორის განსხვავების 33 შემთხვევა ფიქსირდება და, საბოლოოდ, ბიუჯეტის გადახარჯვა 32 000 ლარს შეადგენს. შეიძლება, ეს იყო სიჩქარის ბრალი და არა გათვლილი დანაშაული, მაგრამ პასუხისმგებლობა მაინც მმართველს ეკისრება. ბუღალტერი არ არის ანგარიშვალდებული პირი. სამართლის იურიდიულ პირს ერთპიროვნულად მართავს მმართველი და მათივე დაწერილ შინაგანაწესში პირდაპირ წერია, რომ მხოლოდ მმართველთან შეთანხმებით ხდება ყველაფერი.

**— როგორც ვიცით, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, მოითხოვეთ დამოუკიდებელი აუდიტი. რატომ გახდა აუცილებელი ხელახალი შემოწმება?**

— ჩემი პირდაპირი მოთხოვნაა, ყოველწლიურად ჩატარდეს თეატრში აუდიტი, მით უმეტეს, როდესაც ახალი მმართველი ინიშნება. მირჩევნია, შეჯამდეს ბატონი მიშას მმართველობის პერიოდი, ყველაფერი გასუფთავდეს, გასწორდეს და გავმიჯნოთ, რა იყო ჩემამდე და რა იქნება ჩემს შემდეგ. კულტურის სამინისტროდან გამოყოფილმა კომისიამ შეისწავლა მხოლოდ მოკლე პერიოდი, მიშა ანთაძე კი თეატრს 7 წლის განმავლობაში მართავდა, სრულიად მოსალოდნელია, წინა წლებშიც ყოფილიყო სერიოზული დარღვევები.

**— ყოფილი მმართველი საუბრობს პოლიტიკურ რევანშზე.**

— ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ რევანშზე არც შეიძლება იყოს საუბარი. პოლიტიკური ანგარიშსწორება სწორედ მისი მმართველობის პერიოდში ხდებოდა. ანთაძემ 42 თანამშრომელი ისე გაუშვა თეატრიდან, არც ერთი კულტურის მინისტრი არ დაინტერესებულა მიზეზებით, არც მმართველის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე მოუხდენიათ რეაგირება. აი, ეს კი ნამდვილად იყო პოლიტიკური ნიშანი. მიშა ანთაძე იყო ნაციონალური გუნდის წევრი და ნებისმიერ მის საქციელს უძებნიდნენ გამართლებას.

**— აპირებთ თუ არა თეატრიდან გაშვებული თანამშრომლების დაბრუნებას?**

— ამჟამად, შტატში 88 მსახიობია, რომელთა ხელფასები მიზერულია — 200-300 ლარზე უწევთ მუშაობა. ვფიქრობ, 20-მდე შტატს გავაუქმებთ და გავხდით უფრო მობილურს. ვაპირებ კასტინგის გამოცხადებას, თუმცა კასტინგი რომ გამოვუცხადო რეზო თავართქილაძეს, გავხდები სრულიად თეატრალური სამყაროს დასაცინი, ამიტომაც ასეთი დამსახურების რამდენიმე ადამიანი უპირობოდ დაბრუნდება თეატრში.

**— როგორც ვიცით, ყოფილ მმართველს ამ ადამიანების მიმართ გააჩნია სახელფასო დავალიანება და ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესიც მიმდინარეობს.**

— ამ შემთხვევაში, ყოფილი მმართველის სამართალმემკვიდრე გახლავართ და, ჩემდაუნებურად, მიწევს გაუცემელ ხელფასებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში ჩართვა. ვთხოვე ადვოკატს, საქმეში ჩართოს მესამე პირი, კულტურის სამინისტროს სახით, რადგან ამ სიტუაციაში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ მიღირს. თუმცა ის თანამშრომლები, რომელთა მიმართაც თეატრს სახელფასო დავალიანება გააჩნია, მზად არიან, უარი განაცხადონ ამ თანხის მოთხოვნაზე. სიმართლე გითხრათ, არც ეს არის საუკეთესო გამოსავალი, რადგან არ მინდა, რაიმე სახით ანგარიშვალდებული ვიყო და ამ ადამიანებს გაუჩნდეთ იმედი, რომ ყველა მათგანს თეატრში უპირობოდ დავაბრუნებ. მე ამის საშუალება არ მაქვს.

**— რეორგანიზაციის შემთხვევაში, თანამშრომელთა რა ნაწილს ემუქრება უმუშევრად დარჩენა და რა ბედი ელით თეატრში დასაქმებულ მიშა ანთაძის ნათესავებს?**

— მიშა ანთაძის ერთი შვილი გახლავთ მთავარი ადმინისტრატორი, მეორე — სარეკლამო სამსახურის უფროსი, მესამე — მთავარი რედაქტორი. მისი მეუღლე უფროსი პროდუსერია, მეუღლის და — უფროსი რედაქტორი, ხოლო მისი მეუღლის დისშვილი — ჩემი მოადგილე. მათი საწინააღმდეგო არაფერი გამაჩნია. მზად ვარ, მოვუარო თითოეულ კადრს. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თეატრში დასაქმებული ადამიანი ჩემი მომხრე იქნება თუ ანთაძის. არ ვაპირებ ამ ნიშნით ადამიანების გამორჩევას, არც ვინმესთან ანგარიშსწორებას. მით უმეტეს, ბატონი მიშა ჩვენი სფეროს წარმომადგენელია და მისი პიროვნების საწინააღმდეგო არაფერი გამაჩნია. დამთავრდა თეატრში მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დრო. ჩემთვის მთავარია, პროფესიული ნიშანი.

**— თეატრში არსებული შემოქმედებითი დონე თუ გაკმაყოფილებთ და რა ცვლილებებს გეგმავთ ამ მხრივ?**

— მიმაჩნია, რომ სეზონი უნდა ჩავატაროთ უმტკივნეულოდ და ნაწილი წარმოდგენებისა, მხოლოდ შემდეგი სეზონისთვის ჩავანაცვლოთ. რა თქმა უნდა, ღირებულს დავტოვებთ, რადგან შეუძლებელია, 18 სპექტაკლიდან არც ერთი არ ვარგოდეს. ყველაფერი შედარებითია და, ვიდრე ორი-სამი პრემიერა მაინც არ გამოვა, თეატრის რეპერტუარის გაკრიტიკება ნაადრევია. დიდი პასუხისმგებლობაა, როცა მომავალ თაობასთან გაქვს საქმე, ამიტომაც გვმართებს რეპერტუარის შერჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილე. როდესაც ვამბობ, არ მაკმაყოფილებს რომელიმე სპექტაკლის მხატვრული დონე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპექტაკლი ან რეჟისორი უვარგისია. ამ შემთხვევაში ვითვალისწინებ, რა სპექტაკლები გამოდიოდა შალვა გაწერელიას, ქეთევან ხარშილაძის, ოთარ ბაღათურიას დროს და ვაკეთებ შეფასებას. ჩემი კარი ღიაა ყველა რეჟისორისთვის. მოლაპარაკებები უკვე შედგა ლევან წულაძესთან, დათა თავაძესთან. სპექტაკლ „კუკარაჩას“ აღდგენა ვთხოვე ოთარ ბაღათურიას, რომელიც წლების წინ, შალვა გაწერელიასთან ერთად დადგა და რადგან ეს არის ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრი, სიმბოლურიც კი იქნება, ახლა მისი აღდგენა.

**— ბატონი მიშა აცხადებდა, რომ შუა სეზონში თეატრის მმართველობის შეცვლა პრობლემებს შექმნის..**

— თუ ბატონი მიშა გულისხმობდა იმას, რომ მას აკისრია ვალდებულება სააბონენტო სისტემაზე და მისი წასვლის შემთხვევაში, ეს სისტემა ჩაიშლება, ეს პრობლემა არ არის, რადგან ამ ვალდებულებას მე ვკისრულობ. ხოლო თუ ის გულისხმობს, რომ გამოიყენებს საავტორო უფლებას და საკუთარ სპექტაკლებს რეპერტუარიდან მოხსნის, ვერც ამით ჩაგვაგდებს ცაიტნოტში. ჩვენ გვაქვს იმის მექანიზმი, ვალდებულება შევასრულოთ.

**— ახლა, როცა თეატრის მმართველად დაინიშნეთ, საინტერესოა თქვენი აზრი ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც თეატრებში მმართველის პოსტის გაუქმებას ითვალისწინებს.**

— მმართველის ინსტიტუტის გაუქმებას არ მივესალმები. ყოველ შემთხვევაში, მაქვს ჩემი შენიშვნები, რომელსაც 20 იანვრამდე აუცილებლად წარვადგენ კულტურის სამინისტროში. შეიძლება, სამხატვრო ხელმძღვანელს წარმმართველი ფუნქცია მიენიჭოს, ეს ცუდი სულაც არ არის. მეტსაც გეტყვით, რიგ თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელს უფრო მეტი აქვს ხელფასი, ვიდრე მმართველს. ყველა თანხმდება იმაზე, რომ მარჯანიშვილის თეატრის შემთხვევაში, მმართველის ინსტიტუტმა გაამართლა და, ვფიქრობ, პრობლემა კადრებშია და არა კანონში, ამიტომ იმის შეცვლა, რამაც შეიძლება უკან დაგვხიოს, მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

## ვერსიანიუსი

### აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრების ნაწილი დირექტორისა და ქორეოგრაფის გათავისუფლებას ითხოვს



ანსამბლის წევრებმა „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ თავმჯდომარეს, მერაბ ღოღობერიძეს წერილით მიმართეს:

**„ჩვენი მრავალგზის ცდის მიუხედავად, ვერ შევძელით, ანსამბლის დირექტორ ამირან პაიჭაძესა და ქორეოგრაფ მარიკა სიხარულიძესთან გამოგვენახა საერთო ენა ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობებს გვსურს, დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო: სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი ანსამბლის განვითარებისა და წინსვლისთვის არანაირ ღონისძიებას არ ახორციელებს, პირიქით, ცდილობს, როგორმე დაასუსტოს და შეამციროს, დღეს ვინც მუშაობს და შემოიყვანოს მათ მაგივრად, მისი აღზრდილი ბავშვები; ზეწოლას განიცდის მთელი სახელმწიფო ანსამბლი, რადგან პიროვნულად, რაიმე თუ არ მოეწონება, მუქარას მიმართავს და თვითნებურად გვაკლებს ხელფასს; როდესაც ხდებოდა სახელმწიფო ანსამბლის დირექტორის დანიშვნა, ხელი მოგვაწერინა, რომ ყველანი მის კანდიდატურას ვეთანხმებოდით. ზოგიერთს ხელი არც კი მოუწერია, თუმცა როგორ და საიდან, არ ვიცით, მაგრამ ხელმოწერილი აღმოჩნდა; ქორეოგრაფის თანამდებობაზე დანიშნა მისი ახლო მეგობარი მარიკა სიხარულიძე, რომელიც ჩვენი ქორეოგრაფი თუ იყო, არც კი ვიცოდით, ვინაიდან რეპეტიციას დირექტორი გვიტარებდა და გავიგეთ კონცერტზე, როდესაც საჯაროდ გამოაცხადა. მარიკა სიხარულიძე, როგორც ქორეოგრაფი არაკომპეტენტურია, არ აქვს უმაღლესი ქორეოგრაფიული განათლება და ამიტომ, ქორეოგრაფის ფუნქციებს თავად დირექტორი ითავსებს; „ოცნების“ მაისურის ჩაცმის გამო, პრობლემა შეუქმნა ჩვენს ერთ თანამშრომელს და გვემუქრებოდა, თუკი მსგავსად კიდევ ვინმე მოიქცეოდა, მთელი ანსამბლი მკაცრად დაისჯებოდა; როდესაც ციხეში მიმდინარე მოვლენების გამო, გვინდოდა პატიმრებისათვის სოლიდარობის გამოცხადება, სახელმწიფო ანსამბლის სახელით გასვლა აგვიკრძალა და ვინც გაბედავდა აქციაზე გასვლას, ანსამბლიდან იქნებოდა გაშვებული; გვაიძულებდა, დავსწრებოდით ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერ აქციას, ადგენდა სიას და ვინც არ მივიდოდა, ხელფასის დაქვითით ან ანსამბლიდან გაშვებით გვემუქრებოდა; სახელმწიფო ანსამბლის დირექტორმა, ფეხმძიმობის გამო, ორ თანამშრომელს დაუქვეითა კატეგორია ხელფასის განახევრების მოტივით, რაც დაუშვებელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით; არ მიმდინარეობს შემოქმედებითი განვითარება, არ ზრუნავს ანსამბლის მომავალზე, რაც გამოიხატება შემდგომში, რომ არ დგამს ახალ ცეკვებს; აზრის გამოთქმის უფლება, ფაქტობრივად, გვეკრძალება და თუ არ მოეწონება ჩვენი გამოთქმული აზრი, ხელფასს გვიქვითავს; პრემიებს ანაწილებს პირადი შეხედულებითა და ნაცნობობით“.**

*„პირველი“*



# მსოფლიო 2030 წელს

ჯოზეფ ნაი

PROJECT SYNDICATE

**კემბრიჯი – როგორი იქნება მსოფლიო რამდენიმე ათეული წლის შემდეგ? ცხადია, დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ არსებობს რეალური და ნაკლებრეალური ვერსიები. კომპანიებმა და მთავრობებმა დასაბუთებული პროგნოზები უნდა გააკეთონ, რადგან ზოგიერთი მათი ინვესტიცია 20 წელიწადზე დიდხანს გაჭიანურდება. დეკემბერში აშშ-ს დაზვერვის ეროვნულმა სააგენტომ (NIC) საკუთარი ვარაუდი გამოაქვეყნა: „2030 წლის გლობალური ტენდენციები: ალტერნატიული სამყაროები“.**

NIC ვარაუდობს, რომ მსოფლიო გარდაიქმნება და მასში **„არც ერთი ქვეყანა, იქნება ეს აშშ, ჩინეთი თუ ნებისმიერი სხვა დიდი სახელმწიფო, რეგიონული ჰეგემონიის ცენტრად ვერ გადაიქცევა“.** ეს პროგნოზი ოთხ „მეგატენდენციას“ ასახავს: ინდივიდუალური შესაძლებლობები და საშუალო კლასის გლობალური ზრდა; ხელისუფლების დიფუზია სახელმწიფოსგან არაფორმალური ქსელებისა და კოალიციისკენ; ურბანიზაციით, მიგრაციითა და დაბერებით გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები; მოთხოვნილების ზრდა საკვებ პროდუქტებზე, წყალსა და ენერგიაზე.

თითოეული ტენდენცია სამყაროს ცვლის და **„მნიშვნელოვნად უკან აბრუნებს დასავლეთის ისტორიულ აღმასვლას, რომელიც 1750 წელს დაიწყო, ასევე აღადგენს აზიის მნიშვნელოვან როლს მსოფლიო ეკონომიკაში და აღნიშნავს „დემოკრატიზაციის“ ახალ ეპოქაში შესვლას საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე“.** ამერიკის შეერთებული შტატები რბილი და მკაცრი ძალის წყალობით, „თანასწორთა შორის პირველი“ დარჩება, თუმცა „ერთპოლარულობა დასრულდა“, მაგრამ მიმდინარე ტენდენციების ექსტრაპოლაციით მომავლის პროგნოზი ზუსტი არასოდეს იყო. სიურპრიზები გარდაუვალია და NIC განსაზღვრავს ასევე ე.წ. გეიმ-ჩეინჯერებს (თამაშის ცვლა) ანუ შედეგებს, რომელსაც შეუძლია, ძირითად ტენდენციებს კურსი შეუცვალოს, თანაც — აბსოლუტურად მოულოდნელად. გაურკვევლობის მსგავს წყაროთა შორის პირველი მსოფლიო ეკონომიკაა: გამოიწვევს თუ არა დისბალანსი კრახს ან იქნებ, მრავალპოლარულობამ მეტი მდგრადობა მოიტანოს? გარდა ამისა, შეძლებენ თუ არა მთავრობები და დაწესებულებები სწრაფ ადაპტაციას ცვლილებებთან თუ პირიქით, ვერ გაუმკლავდებიან მათ?

გარდა ამისა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რიცხვი შემცირდება, გაგრძელდება ახალგაზრდების ფაქტორით, იდენტობის პოლიტიკითა და რესურსების დეფიციტით გამოწვეული შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, სამხრეთ აზია. ამას კიდევ ერთ პოტენციურ „გეიმ-ჩეინჯერთან“ მივყავართ: რეგიონული არასტაბილურობა განაგრძობს გლობალური საფრთხეების ან შეკავებას ან ხელშეწყობას.

არსებობს ასევე უამრავი, ახალი ტექნოლოგიების გავლენასთან დაკავშირებული საკითხი. გააღრმავებენ ისინი კონფლიქტებს თუ მათ დროულად შეიმუშავებენ და ფართოდ ხელმისაწვდომნი იქნებიან ისეთი პრობლემების გადაწყვეტისთვის, რომელსაც გამოიწვევს მოსახლეობის ზრდა, სწრაფი ურბანიზაცია და კლიმატის ცვლილებები? ბოლო „გეიმ-ჩეინჯერი“ იქნება ამერიკის მომავალი როლი.

**NIC-ის აზრით, აშშ-ს ძალის მრავალმხრივი ბუნება იმის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ 2020 წლისთვისაც კი, როდესაც, შეფასებების თანახმად, ჩინეთი გაუსწრებს ამერიკას ეკონომიკური თვალსაზრისით, 2030 წლისთვის ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ჩანს, მაინც შეინარჩუნებს მსოფლიოს ლიდერობას, სხვა ზესახელმწიფოებთან ერთად. NIC-ის მტკიცებით, „გაცილებით დიდია აშშ-ს გადატვირთვის პოტენციალი მზარდი მოთხოვნილებების გამო, ვიდრე იმის რისკი, რომ მას, როგორც მსოფლიო პოლიტიკურ ლიდერს, ვინმე ჩაანაცვლებს“.**

კარგია ეს მსოფლიოსთვის თუ ცუდი? NIC-ის აზრით, „აშშ-ს კოლაფსს ან მის მიერ ძალაუფლების მოულოდნელ დაკარგვას, გლობალური ანარქიის ხანგრძლივი პერიოდი მოჰყვება რაიმე სტაბილური საერთაშორისო სისტემის ან ლიდერი ძალის გარეშე, რომელსაც შეერთებული შტატების ჩანაცვლება შეუძლია“.

**NIC-ში განიხილებოდა პროექტის უფრო ადრეული ვერსიები ოცზე მეტი ქვეყნის დაზვერვის წარმომადგენლებსა და ჩინოვნიკებთან ერთად და გაირკვა, რომ არც ერთ ახალ მსოფლიო ზესახელმწიფოს არ გასჩენია რევიზიონისტული დამოკიდებულება ნაცისტური გერმანიის, იმპერიული იაპონიის ან საბჭოთა კავშირის მმართველობის მიმართ, თუმცა ამ ქვეყნების დამოკიდებულება შეერთებული შტატების მიმართ ერთგვაროვანი არ არის. მათ ისეთი მსოფლიო წესრიგიდან, სადაც აშშ ლიდერობს, სარგებელი აქვთ, თუმცა ხშირად ღიზიანდებიან ამერიკის მხრიდან უპატივცემულობის ან მისი ცალმხრივობის გამო. მრავალპოლარული სამყაროს ერთ-ერთი დადებითი ფაქტორი აშშ-ს გავლენის შემცირებაა; თუმცა ერთადერთი, რაც შეიძლება, იყოს ისეთ საერთაშორისო წესრიგზე უარესი, რომელსაც აშშ უჭერს მხარს, ეს ზოგადად, წესრიგის არარსებობაა.**

ამერიკის როლს ისეთ საკითხში, როგორიც არის 2030 წლისთვის უფრო რბილი მსოფლიოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სერიოზული შედეგები მოჰყვა ბარაკ ობამასთვის მას შემდეგ, რაც იგი მეორე ვადით გახდა პრეზიდენტი. მსოფლიო მთელი რიგი ტრანსნაციონალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, მათ შორისაა კლიმატის ცვლილება, საერთაშორისო ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება და პანდემია. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტისთვის თანამშრომლობა აუცილებელია.

ობამას 2010 წლის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, აშშ ძალაუფლებას არ უნდა მიუდგეს როგორც თამაშს ნულოვანი საწყისით. ზოგიერთ შემთხვევაში, აშშ-სთვის (და მთელი მსოფლიოსთვის) ძლიერი ჩინეთი უფრო მომგებიანია. მაგალითად, აშშ-სთვის მომგებიანი იქნებოდა, ჩინეთს რომ უფრო ეფექტურად შეეძლოს თავისი საკვალსათბურო აირის გამონაბოლქვის კონტროლი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თქმით, ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა „გონიერ ძალას“ ეფუძნება, რომელიც ერთდროულად, მოიცავს მკაცრი და რბილი ძალის რესურსებს. ჰილარი კლინტონი ამტკიცებს ასევე, რომ უნდა ვილაპარაკოთ არა „მრავალპოლარულობაზე“, არამედ „მულტიპარტნიორობაზე“. გარდა ამისა, NIC-ის ანგარიშში ნათქვამია ისიც, რომ

**ამერიკელებმა კარგად უნდა გაარკვიონ, როგორ ხდება ძალაუფლების გამოყენება სხვა სახელმწიფოების მიმართ და მათთან ერთად. ისეთ საკითხებში, რომელიც სახელმწიფოთაშორისი სამხედრო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა შეიქმნას ალიანსები და დაბალანსდეს ძალები, გადამწყვეტი ფაქტორია, თუმცა საუკეთესო სამხედრო შეთანხმებებიც კი დიდად ვერ შეუწყობს ხელს ახალი ტრანსნაციონალური პრობლემების გადაწყვეტას, რომელიც მილიონობით ადამიანს უქმნის იმდენივე საფრთხეს, რასაც ტრადიციული საფრთხეები.**

ლიდერობა ასეთ საკითხებში მოითხოვს თანამშრომლობას, ინსტიტუტებსა და საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნას, რითაც ყველა ისარგებლებს და საიდანაც ვერავინ გამოირიცხება.

NIC-ის ანგარიში სამართლიანად ასკვნის, რომ დანამდვილებით იმის პროგნოზირება, როგორი იქნება მსოფლიო 2030 წელს, შეუძლებელია. როგორ განვითარდება მოვლენები, კარგი თუ ცუდი სცენარით, ნაწილობრივ, დამოკიდებულია პოლიტიკაზე, რომელსაც ჩვენ დღეს ვიზიარებთ.



## გია გაჩეჩილაძე: „ხელისუფლება ევროკავშირისა და აშშ-ს ბაზრების გახსნაზე აქტიურად მუშაობს“



„მწვანეთა პარტიის“ ლიდერის, გია გაჩეჩილაძის განცხადებით, მიმდინარეობს ყველა იმ დირექტივის შესრულებაზე მუშაობა, რომელიც ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, პროდუქციულ ფიტოსანიტარულ კონტროლსა და შრომის კოდექსს უკავშირდება: **„ჯამში, ეს არის 800-მილიონიანი ბაზარი, ამიტომ იქ შესვლა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ჩვენ შევასრულებთ ყველა იმ ძირითად მოთხოვნას, რომელსაც ევროკავშირი და აშშ გვიყენებენ”.**

გაჩეჩილაძის თქმით, ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას ხელს ხელოვნურად შექმნილი იმპორტი უშლიდა, რაც ფულად ინტერესებთან იყო დაკავშირებული:

**„დღეს ქართულ ბაზარზე პროდუქციის 80% იმპორტირებულია, ფულადი გამოსახულებით, სასურსათო იმპორტი პირველ ადგილზეა. ეს მაჩვენებელი 2011 წელს, 1 მილიარდი დოლარი იყო. ეს მილიარდი დაკარგა ქართველმა გლეხობამ, რომელიც თავისუფლად გადაწყვეტდა თბილისისა და დიდი ქალაქების პრობლემასაც, ვინაიდან მოსახლეობა რეგიონებს დაუბრუნდებოდა“.**

„მწვანეთა პარტია“ რამდენიმე კანონპროექტზე მუშაობს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მუშავდება კანონპროექტი ბიომეურნეობების შესახებ, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას ითვალისწინებს, ასევე შეიქმნება კანონი გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ. კანონპროექტი „განმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“, ფაქტობრივად, მზადაა და მისი განხილვა პარლამენტში თებერვლიდან დაიწყება.

**„გვინდა, საქართველო გამოვაცხადოთ გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან თავისუფალ ქვეყნად“,** — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

## აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა თებერვალში გაიმართება



ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, თუმცა აღნიშნა, რომ ზუსტი თარიღი გადაწყვეტილი არ არის.

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან პირველი შეხვედრა შარშან, 14 დეკემბერს გაიმართა და მხარეები დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

მაშინ ითქვა, რომ კარასინი-აბაშიძის შეხვედრები, სავარაუდოდ, 2-3 თვეში ერთხელ ან საჭიროებისდა მიხედვით გაიმართება. ამასთან, ფორმატი შეიძლება შეიცვალოს და გაფართოვდეს.

*„პირველი“*

## ვერსიანიუსი

### ახმედ ჩატაევს ამნისტია წარდგენილი ბრალდებისგან სრულიად ათავისუფლებს



„პირველს“ ლოპოტას ხეობაში დაკავებული ჩატაევის ადვოკატმა, ნინო ანდრიაშვილმა განუცხადა, რომ მისთვის ამ დრომდე უცნობია, ისარგებლებს ჩატაევი ამნისტიის კანონით თუ სასამართლოს გზით, ბრძოლას განაგრძობს. ანდრიაშვილისვე თქმით, ჩატაევის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი 11 იანვარს უნდა გამართულიყო, თუმცა ბრალდების მხარემ მოწმეების წარმოდგენა კვლავ ვერ შეძლო:

**„პროკურატურა საქმის განხილვას განგებ აჭიანურებს. იგი ელოდებოდა, როდის ამოქმედდებოდა ამნისტიის შესახებ კანონი, რომელიც ჩატაევსაც ეხება, რათა რეალურად არ დადგინდეს, რა მოხდა სინამდვილეში და ვინ იყო დამნაშავე ამ საქმეში. ეს პოზიცია სასამართლოზეც დავაფიქსირე, თუმცა მოსამართლე პროკურატურის შუამდგომლობას დაეთანხმა და მას კიდევ ერთხელ მისცა მოწმეების წარმოდგენის შანსი. პროცესი 18 იანვარს ჩაინიშნა. ამ დროისთვის კი, კანონი ამნისტიის შესახებ უკვე ძალაში შედის და ჩატაევს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. ჯერჯერობით, არ ვიცი, დაეთანხმება თუ არა ჩატაევი მასზე ამ კანონის გავრცელებას თუ ბრძოლას სასამართლოს გზით განაგრძობს. ეს მისი გადასაწყვეტია. 18 იანვრამდე პროკურატურა აღნიშნულთან დაკავშირებით, პასუხს ელოდება. ჩატაევმა კი მითხრა, რომ რამდენიმე დღეში დამირეკავს და გადაწყვეტილებას შემატყობინებს“.**

*„პირველი“*



# ჰოროსკოპი
## 16 იანვარი

***ვერძი*** — დღეს, შესაძლოა, გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომლებიც მოისურვებენ, ხელი შეგიშალონ ახალი იდეების განხორციელებაში, თუმცა თქვენი ჯანსაღი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკებების გამართვის უნარი, ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოგიყვანთ. არ არის სასურველი ახალი ნაცნობობა. სჯობს, თქვენთვის უსიამოვნო ადამიანებთან ემოციები მოთოკოთ.

***კურო*** — კარგი დღეა მგზავრობისთვის. ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება, თუკი ის სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით განხორციელდება. თქვენი პროფესიონალიზმი და მომხიბვლელობა საკუთარ წვლილს შეიტანს საქმის წარმატებაში. კარგი დღეა ბიზნეს-პარტნიორების მოსაძებნად და გადადებული საქმეების დასასრულებლად. გეძლევათ შესაძლებლობა, საყვარელ ადამიანთან დაათბოთ ან უფრო გაამყაროთ ურთიერთობა.

***ტყუპები*** — დღეს ტყუპებს შეუძლიათ, ყურადღება არ მიაქციონ მოღუშულ და მკაცრ სახეებს. არაა გამორიცხული, სწორედ დღეს შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს და მასთან ურთიერთობა გააგრძელოთ. სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას დღეს საბოლოოდ, წერტილი დაესმება. პირად ურთიერთობებში შერიგებისა და სიმშვიდის პერიოდი დგება. ოპტიმიზმი კი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას უფრო გაგიმყარებთ.

***კირჩხიბი*** — წარმატებული დღე გელით პირად ურთიერთობებში. ძნელი არ იქნება გაწონასწორებული დამოკიდებულების შენარჩუნება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა, საამისოდ არანაირი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ. საქმე თქვენგან სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს, თუმცა ყველაფერი გამოგივათ. საყვარელ ადამიანს ნუ დაღლით ლოდინითა და ეჭვებით, დროა, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოთ. საღამოს კი სასიამოვნოდ გაატარებთ.

***ლომი*** — ვარსკვლავები მიიჩნევენ, რომ ლომებისთვის კარგი დღეა, იმიჯთან დაკავშირებით ექსპერიმენტები ჩაატარონ, გარდერობის განახლებასა და ბინის ახლებურად მოწყობაზე იზრუნონ. თქვენთვის მნიშვნელოვანია კომფორტი და სიმყუდროვე, მის გარეშე ძალებს ვერ აღიდგენთ. სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს. ეს კი თქვენში გაუცნობიერებელ აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს. იზრდება კონფლიქტური სიტუაციების რისკიც. შეეცადეთ, მეტი თანაგრძნობით მოეკიდოთ უფროსი თაობის ახლობლებს, მათ თქვენი სითბო და ყურადღება სჭირდებათ. თუ ტოლერანტული იქნებით გარშემომყოფებისადმი, უარყოფითი ენერგიაც გაქრება.

***ქალწული*** — ქალწულებს ვარსკვლავები ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ ახალ ნაცნობებთან: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. გელით ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი... საყიდლებისგან სჯობს, თავი შეიკავოთ, რადგან სწორი არჩევანის გაკეთება გაგიჭირდებათ.

***სასწორი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. სწორად ახერხებთ არსებული რესურსების — ფინანსების, დროის, საკუთარი ენერგიის განაწილებას და ამიტომ ყველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ. დღე კარგია ტაქტიკური და სტრატეგიული საკითხების მოგვარებისთვის, მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან კი თავი შეიკავეთ. ენდეთ ოჯახის წევრების ან უახლოესი მეგობრების რჩევებს, ამით მომავალში საფრთხეს აიცილებთ თავიდან.

***ღრიანკალი*** — განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, წინათგრძნობა, რაც სწორად უნდა გამოიყენოთ თქვენს სასიკეთოდ. წარმატებული იქნება გამოძიებები, საიდუმლო საქმეების ამოხსნა, შესაძლოა, ვინმეს საიდუმლო შეიტყოთ და ამით საკმაო თანხაც იშოვოთ. ბოლო პერიოდში ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს მოგიტანთ პირად ურთიერთობებში. გაითვალისწინეთ, რომ დღეს თქვენი დახმარება ყველაზე მეტად ოჯახის წევრებს სჭირდებათ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებისთვის კარგი დღეა, რაიმე ახალი და პერსპექტიული, საინტერესო საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ, ენდოთ თქვენს დამხმარეებსა და პარტნიორებს: ისინი საკუთარ თავზე აიღებენ ყველაზე მოსაწყენ და რთულ საკითხებს, თქვენგან კი მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნება და იდეებია საჭირო. დღეს დიდია ოჯახური კონფლიქტების ალბათობა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ახლობლებთან კამათს.

***თხის რქა*** — დღის განმავლობაში რთული საშინაო საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯები, სამაგიეროდ, ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩებიან. სამსახურშიც იზრდება თქვენი ავტორიტეტი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. პირად ცხოვრებაში კი რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის შესაფერისი დღეა საკუთარ თავზე სამუშაოდ. კარგი დღეა ასევე, თუ მუსიკით, ხელოვნებით დაკავდებით, მოდის სიახლეებითა და ხალხური ტრადიციებით დაინტერესდებით. საკუთარი ძალები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობებს მაქსიმალურად აარიდეთ თავი. გსურთ, სამსახურში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემები მალევე მოაგვაროთ, მაგრამ ვარსკვლავები გირჩევენ, თავი შეიკავოთ, რადგან არასახარბიელო დღეა. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, პაკტარებს დაუთმოთ და დრო ოჯახში გაატაროთ.

***თევზები*** — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ. კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ. მხოლოდ საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნეთ სხვა საქმეებისგან და მასში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. დღეს გაგიმართლებთ ასევე საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, ამიტომ თამამად დათანხმდით რომანტიკული შეხვედრის შემოთავაზებას. ენდეთ საკუთარ ინტუიციასაც.

## ამინდის პროგნოზი

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +5 | +10 |
| ქუთაისი | +13 | +15 |
| ბათუმი | +16 | +17 |
| სოხუმი | +15 | +16 |
| თელავი | +5 | +8 |
| გუდაური | -2 | 0 |
| ბაკურიანი | -1 | 0 |
| მესტია | +8 | +10 |

## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 2 | 9 | 7 | 8 | 4 | 1 | 6 |
| 9 | 1 | 8 | 6 | 4 | 5 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 5 |
| 8 | 4 | 5 | 2 | 3 | 9 | 6 | 7 | 1 |
| 6 | 3 | 1 | 8 | 5 | 7 | 2 | 4 | 9 |
| 2 | 9 | 7 | 1 | 6 | 4 | 3 | 5 | 8 |
| 1 | 7 | 6 | 5 | 9 | 3 | 8 | 2 | 4 |
| 5 | 2 | 3 | 4 | 8 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 4 | 8 | 9 | 7 | 1 | 2 | 5 | 6 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 5 | 8 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 6 | 8 | 1 | 7 | 5 | 9 | 3 | 2 | 4 |
| 2 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 9 | 6 |
| 9 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 5 | 8 | 7 |
| 5 | 2 | 9 | 1 | 7 | 8 | 4 | 6 | 3 |
| 3 | 6 | 4 | 5 | 9 | 2 | 7 | 1 | 8 |
| 8 | 1 | 7 | 6 | 3 | 4 | 2 | 5 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 4 | 5 | 9 | 6 | 8 | 3 |
| 9 | 3 | 6 | 2 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 | 7 |
| 1 | 2 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 | 3 | 8 |
| 3 | 9 | 8 | 1 | 7 | 4 | 2 | 6 | 5 |
| 7 | 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 8 | 2 | 7 | 4 | 3 | 9 | 1 | 6 |
| 4 | 6 | 9 | 8 | 1 | 5 | 3 | 7 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 4 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 6 | 2 | 3 | 9 | 5 | 1 | 8 | 7 | 4 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 6 | 3 | 5 |
| 4 | 5 | 2 | 6 | 1 | 7 | 3 | 9 | 8 |
| 9 | 6 | 1 | 4 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 |
| 8 | 3 | 7 | 5 | 2 | 9 | 1 | 4 | 6 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 7 | 8 | 6 | 1 | 9 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 2 | 4 | 5 | 3 | 7 | 6 | 9 | 8 | 1 |



# ჰოროსკოპი
## 17 იანვარი

***ვერძი*** — თქვენი ბიუჯეტი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. ვარსკვლავები სწორედ დღეს გირჩევენ კონტაქტების დამყარებას საქმიან პარტნიორებთან, თუმცა საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს შრომისუნარიანობაზე. დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია კამათი ახლობელ ადამიანებთან.

***კურო*** — ბედი შანსს გაძლევთ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. დღე სასიკეთოდ ვითარდება და შეგიძლიათ, თავი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმოაჩინოთ. ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მატულობს — ეს, განსაკუთრებით, მანდილოსნებს ეხება. კაცებს კი ვარსკვლავები დაწყებულ საქმეებთან მიბრუნებას ურჩევენ. აუცილებელია, უფრო სერიოზულად მიუდგეთ თქვენს მოვალეობებს. ეს გაგიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას — შესაძლოა, გარკვეული თანხა მიიღოთ, რომელიც სჯობს, სარფიან პროექტებში დააბანდოთ.

***ტყუპები*** — თქვენს სახლში არსებული სიყვარული და ჰარმონია მატერიალურ მდგომარეობაზეც აისახება. თქვენი თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ნუ შეეცდებით პრობლემის უმალ გადაჭრას, ცხოვრება თავად გიკარნახებთ საჭირო დროს. დღის მეორე ნახევარი უმჯობესია, მყუდრო გარემოში, მეგობრების წრეში გაატაროთ.

***კირჩხიბი*** — დღეს ცვლილებების, მოლაპარაკებების, ახალი კონტაქტების დღეა. გამოსწორდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც. შესაძლოა, გარკვეული თანხა მიიღოთ, მაგრამ უპირველესად, გათავისუფლდით ვალდებულებებისგან. დღის პირველ ნახევარში საქმის წარმატებას შეიძლება ხელი ზედმეტმა სიმკაცრემ შეუშალოს, მეორე ნახევარში კი — სიჩქარემ.

***ლომი*** — დღეს თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალ დონეზეა, რაც ხელს შეუშლის თქვენი ორგანიზატორული ნიჭისა და საქმის ცოდნის კარგად წარმოჩენას. ნუ შეეცდებით ახლავე დაიპყროთ ახალი მწვერვალები, გლობალურ ამოცანებს ნუ შეეჭიდებით, ვარსკვლავები ასევე არ გირჩევენ სამსახურის შეცვლას ან დამატებითი შემოსავლის ძიებას საქმიანობის სხვა სფეროებში, რადგან დიდია ალბათობა, რომ მოგატყუებენ და იმედგაცრუებული დარჩებით.

***ქალწული*** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა ივსება. დღეს არ ღირს, რაიმე ახლით დაკავდეთ, სჯობს, ძველი ქაღალდები გადაარჩიოთ, ჩანაწერები მოძებნოთ, რადგან შესაძლოა, ის ახლა საკმაოდ აქტუალური იყოს. სასიკეთო დღეა ასევე, საკამათო და სასამართლო საკითხების მოსაგვარებლად.

***სასწორი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა, თუკი ისინი გადაწყვეტენ, დაწყებული საქმე კონკრეტულ შედეგამდე მიიყვანონ. დღეს იზრდება თქვენი შემოქმედებითი და ენერგეტიკული პოტენციალი. დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, შეგექმნათ პრობლემები ახლობლებთან ურთიერთობაში.

***მორიელი*** — ნიშნის წარმომადგენლებისთვის რთული დღეა, არასასურველი გარიგებებისთვის, საყიდლებისა და ურთიერთობების გარკვევისთვის. დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, ფეხი აუწყოთ სამუშაო რიტმს. სჯობს, აზრები მოიკრიბოთ, ცხოვრება კი თავად გიკარნახებთ გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან. დღის მეორე ნახევარში გადადეთ ყველა ვიზიტი და ნუ დაიშურებთ დროს გამოსაძინებლად.

***მშვილდოსანი*** — დღეს თქვენი ფინანსური მდგომარეობა, შესაძლოა, გაუმჯობესდეს. პასუხისმგებლობის გრძნობა და მათემატიკური აზროვნება წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში ან მნიშვნელოვნად აგიმაღლებთ ავტორიტეტს უფროსობასა და კოლეგებში. საღამოს დიდია ალბათობა რომანტიკული შეხვედრის ან ახალი ნაცნობობისა, რაც შესაძლოა, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

***თხის რქა*** — შესაძლოა, დღე ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. მამაკაცებისთვის ახალი ნაცნობობა მეტად ხანმოკლე იქნება. უნდობლობა ძლიერი ემოციებისადმი, თავშეკავებულობა, ასევე ეჭვიანობა, ღალატი ურთიერთობას გაგიფუჭებთ საყვარელ ადამიანთან. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა კი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. დღის მეორე ნახევარში შეგიძლიათ ცოტა მოეშვათ და მეგობრებთან ერთად გასართობად წახვიდეთ.

***მერწყული*** — დღე ემოციურად დაძაბული იქნება, მოსალოდნელია რაღაც ვერ გათვალოთ საქმეში ან პარტნიორის არჩევაში შეცდეთ. დღეს ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს, არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ ოპტიმიზმი.

***თევზები*** — ამ ნიშნის ბევრი წარმომადგენელი დღეს ადგილს ვერ პოულობს — ახლობლებში თავს უცხოდ გრძნობს, უცნობებთან კი — კომფორტულად. სავარაუდოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. ნუ იჩქარებთ დათანხმებას, ყველა პლუს-მინუსი აწონ-დაწონეთ. შესაძლოა, შემოთავაზებული საქმე არ შეესაბამებოდეს თქვენს ცხოვრებისეულ ღირებულებებს. ნუ წახვალთ გარიგებაზე საკუთარ სინდისთან. დღის მეორე ნახევარი შინ, ახლობლებთან გაატარეთ, მათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

# საგენტო ახალ ამბებს ჩეკებზე დაბეჭდავს




ცნობილი საინფორმაციო სააგენტო „ასოშეიტედ პრესი“ ახალი ამბების ბეჭდვას იმ ჩეკებზე აპირებს, რომელსაც კლიენტები რესტორნებში ანგარიშთან ერთად მიიღებენ. პროექტის იდეა იმაში მდგომარეობს, ადამიანებს ცხელ-ცხელი ახალი ამბები სადილობისას ან ვახშმობისას აცნობონ. ინფორმაცია რესტორანში სპეციალურ სერვერზე ყოველ ორ წუთში ერთხელ მივა. სააგენტოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ეს პროექტი მილიონობით მკითხველისთვის ახალ არხს გახსნის ინფორმაციისა და რეკლამის გავრცელებისთვის. ამ მეთოდით კლიენტებს აღარ მოუხდებათ ჭამის დროს სმარტფონებზე ახალი ამბების გვერდის ხშირად განახლება და ამაზე დროის დაკარგვა — ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს მას ჭამის შემდეგ მიაწვდიან. პირველი რესტორანი, რომელიც ამ ექსპერიმენტში მიიღებს მონაწილეობას, ვაშინგტონის ერთ-ერთი უძველესი დაწესებულებაა Old Ebbitt Grill. ეს რესტორანი 1856 წელს გაიხსნა და დედაქალაქელი პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და ცნობილი ადამიანების თავშეყრის საყვარელი ადგილია. შემოსავლის მიხედვით, ის ამერიკის რესტორნებს შორის მეხუთე ადგილს იკავებს.



# თანამედროვე ადამიანის ახალი ფობია

**ნომოფობია** — თავსმოხვეული შიშია იმისა, საკუთარი მობილური ტელეფონის გარეშე არ დარჩე. ეს ფობია გაცილებით ხშირად გვხვდება ადამიანებში, ვიდრე წარმოგვიდგენია. როგორც ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, ადამიანების 66%, ამა თუ იმ ხარისხით, ნომოფობია. უფრო ხშირად ამ შიშით შეპყრობილები ახალგაზრდები არიან. 18-დან 24 წლამდე ასაკის გამოკითხულების 77%-სა და 25-34 წლის რესპონდენტების 64%-ს აშკარად აღენიშნებათ ნომოფობიის სიმპტომები. ის ფაქტი, რომ შეიძლება მათ ტელეფონში უცხომ ჩაიხედოს, ამ შიშს უფრო უძლიერებს. ერთი შეხედვით, ნომოფობია თითქოსდა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მისი გავლენა მაინც სერიოზულია. ნომოფობიის სიმპტომებში შედის პანიკის შეტევები, თავბრუხვევა, ჟანგბადის უკმარისობა, ღებინება, ოფლიანობა, აჩქარებული გულისცემა და გულის ტკივილი.




# ჯინსი დეპრესიას იწვევს?

ჩვეულებრივი ლურჯი ჯინსის ჩაცმა, შესაძლოა, დეპრესიის მანიშნებელი იყოს, — გამოარკვიეს ჰარტფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა. მათი კვლევის თანახმად, ჯინსი გვანიშნებს, რომ ადამიანს დიდად არ აღელვებს საკუთარი გარეგნობა. დეპრესიაში მყოფები ხშირად კარგავენ ინტერესს, როგორ გამოიყურებიან და არ სურთ, მასიდან გამოირჩეოდნენ. ასე რომ, კორელაცია დეპრესიასა და ჯინსის ჩაცმას შორის გასაგებია, — აცხადებენ მკვლევარები. ფსიქოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ტანსაცმლის არჩევასა და განწყობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მათი მოსაზრებით, დეპრესიის დროს ადამიანმა ხშირად უნდა ჩაიცვას ის სამოსი, რაც მისთვის ბედნიერებასთან ასოცირდება.

# ქალაქის გზამკვლევი სურნელით




ემბერ ჯონსი — კონსიერჟი ნიუ-იორკიდან, ერთ-ერთ სასტუმროში მთელი ცხოვრება მუშაობდა. მან შესანიშნავად იცის, ქალაქში სად ადუღებენ ყველაზე გემრიელ ყავას და ისიც, სად შეიძლება „იაგუარის“ ყიდვა, თანაც, ემბერი გიჟდება მშობლიურ მეგაპოლისზე. სწორედ ამის გაზიარებას აპირებს ტურისტებისა და ადგილობრივებისთვის. საამისოდ წიგნი გამოსცა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ადრე გამოსული ყველა გზამკვლევისა თუ ბროშურისგან. ეს უჩვეულო გამოცემა სურნელის მქონე ნიუ-იორკის კომიქსი-გზამკვლევია. ავტორი იმედოვნებს, რომ წიგნი ქალაქის ერთგვარ სიმბოლოდ იქცევა. ემბერ ჯონსის კომიქსში პატარა ბიჭის ისტორიაა მოთხრობილი, რომელიც მეგაპოლისში მშობლებთან ერთად ჩავიდა და მის ქუჩებში დადის, შედის სხვადასხვა კაფეებში, მიირთმევს ფუნთუშებს, პიცასა თუ ჰოთ-დოგს. გარდა მადისაღმძვრელი არომატებისა, გზამკვლევში ნიუ-იორკის პარკებისა და მისი ღარიბი რაიონების სურნელსაც შეიგრძნობთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 2 | | | 4 | |
| | | 6 | 3 | | | | | |
| 7 | | | 9 | 5 | | | 1 | |
| | | | | | 2 | | 8 | 7 |
| | | | 7 | | 5 | | | |
| 4 | 2 | | 6 | | | | | |
| | 8 | | | 6 | 9 | | | 5 |
| | | | | | 3 | 1 | | |
| | 5 | | | 7 | | | | 2 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | 5 | | | |
| 8 | | 2 | | 6 | | | | |
| 5 | | | | | | 1 | | 7 |
| | 5 | | 9 | 7 | | | | |
| | 4 | 1 | | 5 | | 7 | 6 | |
| | | | | 4 | 1 | | 3 | |
| 7 | | 6 | | | | | | 4 |
| | | | | 3 | | 2 | | 6 |
| | | | 2 | | | | | 8 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 8 | 6 | | |
| | | | | | | 9 | | 4 |
| | | | | | 3 | | 1 | 7 |
| | 9 | | | | 4 | 2 | | |
| 6 | | | 9 | 2 | 1 | | | 8 |
| | | 3 | 5 | | | | 6 | |
| 3 | 1 | | 4 | | | | | |
| 8 | | 7 | | | | | | |
| | | 9 | 8 | | | | | 2 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | 5 | | 3 | |
| | | 8 | | 7 | | | | 4 |
| 2 | | | | | 8 | 1 | | |
| | 4 | 6 | 1 | | 3 | | 7 | |
| | | | | | | | | |
| | 1 | | 6 | | 2 | 9 | 8 | |
| | | 4 | 7 | | | | | 9 |
| 6 | | | | 2 | | 8 | | |
| | 7 | | 8 | | | | 1 | |

# როდის იწყება დაბერება?



ბრიტანელმა ექსპერტებმა 2162 ადამიანი გამოკითხეს და დაადგინეს: საშუალოსტატისტიკური ბრიტანელის აზრით, დაბერება 59 წლის, ორი თვისა და ორი კვირის ასაკში იწყება. ახალგაზრდობა სრულდება, როცა ადამიანი 40 წელს გადააბიჯებს. მიუხედავად მიღებული შედეგებისა, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დაბერების პროცესის აღქმა ადამიანებში განსხვავებულია — ეს დამოკიდებულია ასაკზე, სამსახურსა და სქესზეც კი. საშუალოდ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ სიბერე 60 წლის, ოთხი თვისა და ორი კვირის ასაკიდან იწყება. მამაკაცებისთვის ეს 58 წელია, ცოტა უმცროსები კი აცხადებენ, რომ სიბერე ჯერ კიდევ 46 წლის ასაკში იწყება. საერთოდ, მამაკაცები უფრო ადრე გრძნობენ, რომ ახალგაზრდობა დასრულდა, ვიდრე მანდილოსნები.



# ყველაზე ძვირი პასტა მოამზადეს

ნიუ-იორკში, მანჰეტენზე არსებულმა იტალიურმა რესტორანმა **Bice** გადაწყვიტა, საკუთარი 25 წლის იუბილე უჩვეულოდ აღენიშნა. დაწესებულებამ კლიენტებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული პასტა შესთავაზა, რომლის ღირებულებაც 2 ათასი დოლარია. კერძის შემადგენლობაში შედის ხელით მომზადებული მაკარონი (პასტა) ტალიოლინი, ტყის სოკო, ერთი კილოგრამი ასთაკვის (ომარი) ხორცი, რომელიც აშშ-ს მენის შტატშია დაჭერილი და 30 გრამი შავი ტრიუფელი. რესტორნის შეფ-მზარეულის განცხადებით, კერძს განსაკუთრებულ პიკანტურობას ჰმატებს ოქროსფერი ლანგარი, რომელზეც კერძია განთავსებული — თავის დროზე, მისი ექსკლუზიური დიზაინი ცნობილმა მოდელიერმა, ჯანი ვერსაჩემ სპეციალურად ამ რესტორნისთვის შექმნა. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამ ძვირადღირებულ კერძს შეუკვეთავს, სადილის შემდეგ შეუძლია **Bice**-სა და **Versace**-ს ლოგოტიპიანი თეფში შინ წაიღოს, რომლის მხოლოდ 800 ეგზემპლარია დამზადებული.

# მძღოლებისთვის ყველაზე საშიში მუსიკა გამოავლინეს

მკვლევარებმა უარყვეს მოსაზრება, რომ კლასიკური მუსიკის მოსმენა მანქანის საჭესთან უსაფრთხო მგზავრობას უწყობს ხელს. დიდ ბრიტანეთში London Metropolitan University-ის სწავლულებმა დაადგინეს, რომ კლასიკური მუსიკა მძღოლებში ყურადღების მოდუნებას იწვევს. სპეციალისტებმა მძღოლებისთვის „შედარებით საშიში" კლასიკური ნაწარმოებების სია შეადგინეს, სადაც ლიდერის პოზიციაზე ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია აღმოჩნდა. მეორე ადგილი ბახის ტოკატამ და ფუგამ დაიკავა, „საშიში მუსიკის" სამეულში შევიდა ასევე შტრაუსის ვალსი „მშვენიერ ცისფერ დუნაიზე". მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ მძღოლებისთვის საუკეთესოა მუსიკა, რომლის ტემპი გულისცემის სიხშირეს შეესაბამება. მელოდია, რომელიც გულის რიტმის აჩქარებას იწვევს, საფრთხის შემცველია. ქალ-მძღოლებში მანქანის აგრესიულ მართვას ჰიპ-ჰოპი და საცეკვაო მუსიკა იწვევს, მამაკაცებში ლიდერი „ჰევი-მეტალია", ორივე სქესის წარმომადგენლები კი ყველაზე ხშირად შეცდომებს მაშინ უშვებენ, როცა საჭესთან კლასიკას უსმენენ.



# ყველაზე სექსუალური და ყველაზე... მოუვლელი ვარსკვლავი



შარშან პოპულარულმა ჟურნალმა **Esquire** უკრაინული წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, 29 წლის მილა კუნისი პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელა, თუმცა ეს ტიტული მილას დიდხანს არ შეარჩინეს. კიდევ ერთმა გამოცემამ **New York Daily News** მას სრულიად საპირისპირო წოდება — ჰოლივუდის „ყველაზე მოუვლელი ქალი" — მიანიჭა. ეს საწყენი სახელი კუნისმა თავისი ჩაცმულობით კი არა, იმით დაიმსახურა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყურება. ჩანს, წარმატებისგან მოგვრილმა ეიფორიამ მსახიობი იმდენად შეიპყრო, რომ საერთოდ მოეშვა და თავს აღარ უვლის. არადა, ჰოლივუდის ცნობილ გულთამპყრობელთან, დემი მურის ყოფილ მეუღლესთან, 34 წლის ეშტონ კატჩერთან რომანის გამო, პაპარაცები მის სახლთან ათენ-აღამებენ. კუნისი კი ყოველთვის, რბილად რომ ვთქვათ, სახლიდან მოუწესრიგებელი გამოდის. — სექსუალური? არა, მსოფლიოში ყველაზე არამომხიბვლელი ქალი. წითელი ხალიჩის მიღმა ის თმადაუვარცხნელი, ყოველგვარი კოსმეტიკის გარეშე, ფართო შარვლებითა და სპორტული ელასტიკებით დადის, თითქოს ყველა სხვა ტანსაცმელი სამრეცხაოში აქვს დატოვებული, — წერს მასზე **New York Daily News**. რას იზამ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველა ვარსკვლავი უნაკლოდ არ გამოიყურება, ეკრანზე კი მილა ყველაზე მომხიბვლელი და სექსუალურია, თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ ამის გამო არ გიჟდება მასზე ეშტონ კატჩერი. დღემდე მისტირის მას ყოფილი შეყვარებული, „მარტო სახლში"-ს გმირი, 32 წლის მაკოლეი კალკინი. როგორც მედიაში წერენ, მილასთან დაშორების გამო მან, სუიციდის მიზნით, ნარკოტიკების დიდი დოზა მიიღო და ძლივს გადაარჩინეს.



# ღამის ქოთანი Ipad-ით

ბავშვი მაღალ ტექნოლოგიებს შეგიძლიათ თვეებიდან მიაჩვიოთ. ამერიკელების ახალი გამოგონება უკვე მონათლეს „XXI საუკუნის ქოთნად". ყველაზე პატარებისთვის განკუთვნილი პლასტმასის საჯდომი აღჭურვილია სპეციალური სამაგრით **Ipad**-თვის. საკუთარ გამოგონებას ავტორებმა — კომპანია **CTA Digital**-ის თანამშრომლებმა ხუმრობით, **IPotty** უწოდეს. ახალი პროდუქტის პრეზენტაცია ცოტა ხნის წინ მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ღამის ქოთანი კი გასაყიდად მარტიდან გამოვა. მისი ფასი 40 დოლარია. სიახლის ავტორების თქმით, **IPotty**-იანი ღამის ქოთნის დანიშნულებაა, ის ბავშვები გაართოს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მიჩვეულნი ღამის ქოთანზე ჯდომას. როცა პატარა წამოიზრდება, ქოთნიდან პლანშეტის მოხსნა და ბავშვის სკამზე მისი მიმაგრებაც მარტივია.

# „თუ გინდა, პრეზიდენტი გააცილე, ვიცი, რომ უფრო მეტად გიყვარს!"

„თუ გინდა, პრეზიდენტი გააცილე, ვიცი, რომ უფრო მეტად გიყვარს!" — ასე მიმართა პრემიერმა ივანიშვილმა დამშვიდობებისას მის უწმინდესობას ილია მეორეს, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა ხუმრობითვე უპასუხა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ძველით ახალ წელს საპატრიარქოში, პატრიარქის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გამართულ საღამოს დაესწრნენ, რომლის შემდეგაც საზეიმო ვახშამიც გაიმართა. ღონისძიებას მსოფლიო პატრიარქი, ასევე, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოში ვიზიტად მყოფი სხვა სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის საახალწლო შეხვედრის ინიციატორი, „ვერსიის" ინფორმაციით, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბრძანდებოდა. სწორედ ამ საღამოს ამსახველი კადრები გამოქვეყნდა ჯერ ბიძინა ივანიშვილის, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ გვერდზე „ფეისბუქში", რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. „ვერსია" რამდენიმე მათგანს უკომენტაროდ გთავაზობთ.













იკითხეთ ჩვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com